ობის არკერიო მიზანობა, არკერიო ინტონაცია არ ეპარება. მილი-
ანადა „ჩართული“ ამ სცენის შემობრუნებულ ატმოსფეროში.
ედინბურგში კი ამ სცენას უფრო თავისუფლად აღიქვამდნენ. რჩი-
ნარდის მიერ ფიხით გაორბეული კუბის ხტოვანსა და ლედი
ანას „სექსობიზმი მონსტრის“ მომენტს მონსტრის გამომხატე-
ლი სიკვით ხვდებოდნენ, რადგან რჩინარდის ფრად მოვლენი-
ლი ევეტკის მოწენი ხვდებოდნენ. მონსტრულიყოფა შესუქერისა
მაყურებელი რჩინარდისა და კლარენსის პარალელურ სცენებს ტა-
ფერში, კლარენსის კომპარული სიზმრებს და შემდეგ ევადრ IV
სახსიკვილით აგონას. „გამ მიხედვლდება ედვარდ IV სიკვილის
სცენის დაიწვევა, მისი თავი, რომელიც გომბმოს თავს მთავს,
დათვანული ურკის ხარბებს შორის ილი" („გარდიანი“, 24 აგ-
ვისტო „რჩინარდ III“). რ. ჩხიკაძემ ისე დათქრა მათერებელი,
რომ გაქრა ენობივი პარიტი, ნამდვილად ისეთი შთაბედილე-
ბა იქმნებოდა, რომ მაყურებელი ცილილად არ გამოპაროდა
არკერიო სიტყვა, ფრანკის ინტონაცია, ნიუანსი — იგი უაღრესი
დაბატაცია, უსმენდა“ რჩინარდს და მისი მონოლოგის დროს,
ნესამე მოქმედებაში, დარბაზში ისეთი სამარისებური, დამთრგუნ-
ველი სიჩუქ დღებოდა, თითქმის მათერებელი გააგონა, ენა წარ-
კრა რჩინარდის კომპარული ძალამ და წარმოუდგენლმა ბირტბე-

რობერტ სტურუა





ბამ. თბილისში მაყურებელი მხურვალე ოვაციით ხვდება რჩარდისა და რინჩინდის ბრძოლის სცენას, მასწინე უღებს ადლოს რეჟისორული მეტაფორა — უზარმაზარი რუკის ქრდილებიდან მახვალაშორებელი მეტორების დასარსებების. ამ მშვენიერ მომარაგი, ცოცხალი რუკა-სამყაროს „ტრავიკულ გრამებს“ და მომავლადი რინჩინდის ავინის ამ რუკის ქვეშ, რომელიც თითქოს მისი პატივობლობის სიმოსიცაა და დაშლილი, ქაოსური სამყაროს სიმბოლოც.

„მთელ სცენაზე გაშლილია ინგლისის რუკა — ორბრივი ქრილით — ერთი რინჩინდისათვის, ერთი რინჩინდისათვის. ისინი უზარმაზარი მახვილებით არიან შეიარაღებული. ბრძოლის დროს რუკა ტრიალებს, იწვირება და ეს შეზღობილია ქმნის უფრო ეფექტს, ვიდრე ნებისმიერი ტრადიციული სცენური ბრძოლა“ (ლინდენ ნიუსი); „შე ავიტოო „შექსპირი — დანახული ახლებურად“.

„უარესად ეფექტურია დღეობი რინჩინდისა და ახალგაზრდა რინჩინდის შორის, რომლის დროს ისინი დღეობამდე ჩავლდნენ არიან უზარმაზარ, ამბოჯობებულ მველ რუკაში და მის ზევით იწვევს სასაცილომდე წაგრძელებულ ფართო მახვილებს. ეს მხატვრული სახე ზოგარტისეულ სიზუსტეს შეიცავს და ერთადერთია იმ მრავალთა შორის, რომელიც ამ ქეშპირიკად შექსპირული სადამის განმავლობაში ვიხილოთ“ („ობზერვერი“); „შე ავიტოო „რამაში — „კავასის მეფე“). სწორედ ეს სცენა მრავალ სიზუმემში მიდიოდა, აი. დეკა რინჩინდი, უკანასკნელი, კონველსური მოქრობით წინ გაიწია და ისევ დავიშო სახით მიჩნ, დარბაზში სრულ სიჩუმეში. ჩაქვდა უკანასკნელი ნიშანი სივცებლის სხეულის პერიფერიებში. შექვი ნელ-ნელა ქრება დარბაზში, კვლავ სრული სიჩუმე დარბაზში, შექვი მთლად ჩაქრა. ირგვლივ ყველფერი დაბნეულა. ამ სრულ სიჩუმეში, სრულ სიბნელეში ზის მაყურებელი. მცირე პაუზა სიბნელეში და უფეს... მქსუზარე ოვაცია და მაყურებლის ფეხზე იტანტეტიკური წამოქრა დარბაზში სინათლის ანთებისთანავე...“

„წარმოდგენის ბოლოს მაყურებელი ფეხზე წამოდგა ამ დიდებულ ქართულებს საპაციემულოდ, რომლებიც, იმის მიხედვით თუ იმეჭლებთ, რაც მათ ედინებურში გვაჩვენეს, როგორც სჩანს მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო დას წარმოდგენენ“ („გარდინა“; 24 აგვისტო). რუსთაველის თეატრის ყველა წამყვანი მსახიობის შესრულების ოსტატობა აღინიშნა, როგორც პრესაში, ასევე კონფერენციებზე თუ ოფიციალურ შეხვედრებზე (გ. გავეკეო, გ. საღარაძე, ნ. ჩხავა, მ. თბილელი, კ. უანელი, ი. გიგოშვილი, თ. ლომოველი, თ. დლოძი, კ. საკანდელი, გ. ხარაბაძე, კ. კავასძე, ა. მახარაძე, ნ. ფარუშვილი, ჟ. ღალაძე, კონცერტმეიტერი ლ. სიგმვილი). მაგრამ სრულიად განსაკუთრებული წარმატება ხვდა რ. ჩხიკვაძეს. ჩვენი სექტაკლებისადმი მიძღვნილ უკვე რეცენზიაში ცენტრალური აფილი ეტორა მსახიობის შემოქმედების შეფასებას. დაწერილობით იყო აღწერილი მისი გარეგნული პორტრეტი (როგორც აზღაის ასევე რინჩინდის როლებში), ყოველი მისი მოძრაობა და მოქმედების თავისებურებანი და, უფრო რელიეფურად, მისი შინაგანი ძალა, დიაპაზონი, რომელიც დიდ ზემოქმედებას ახდენს მაყურებელზე. ჯონ ბარბერი „დეილი ტელეგრაფის“ თეატრალური მიმოხილველი აღწერს „რინჩინდი III“-ის ზოედ სცენურ გარემოს, სექტაკლის, სექტაკლის მხატვრულ თავისებურებას და შენიშნავს „...და ყველაფერი ეს ანტურაჟია რამაშ ჩხიკვაძის გამაოგნებელი რინჩინდისათვის, მისი ძალბოსილება ჩვენივის გასაგებ ხდის იმ მოუგერიებელ გამოსხივებას, რასაც ულობდენე ჰიტლერი და აღ კაპონე“ („დეილი ტელეგრაფი“; 24 აგვისტო).

„...ძალბოსილება, რომლითაც ჩხიკვაძე ასრულებს თავის როლს, მისი თამაში გაუხვებ ენობრივი ბარბოს მიღმა... მსახიობის მამო მცირედითაა დავალებული „სატანური მასტერი“ ოლივიერის ტრადიციებისაგან და მართლაც, ამ მსახიობთან საუბრისას შე გავიჯ, რომ მის მხოლოდ, ერთხელ უნახავს ოლივიერ კონფილში. ისიც დღეობს წინ“ („გარდინა“; 14 აგვისტო).

ერთგვარ ოპონენტობას უწევს „გარდინის“ თეატრალურ მიმომხილველს კვლავ „ობზერვერინ“, რომელიც მეტს მსახიობს სედვს ოლივიერ რინჩინდის და ჩხიკვაძის რინჩინდის შორის.

„...ყველაფრის ცენტრშია მაინც ის, რაც ამ სექტაკლს პირდაპირ მოუგერიებელ ძალს ანიჭებს — ოლივიერად აღიარებული ტრეშპირი და იგივე შესრულების... ტყუილად როდენ უწოდებენ რამაშ ჩხიკვაძეს კავასის ლოურენს ოლივიერ. მისი რინჩინდი — ოლივიერს რინჩინდის დარა... შემაძრწვნილებელი გარემოსი ქმნილობა. იგი დიდბარა, გრძელცხობა, მოფრფრეცე უარბანი როდია, არამედ გადღენილი გომბემო — ნალოდონი. ბოროტად გალინებული მისი მაგეების კიდეშა ქედმალობის ნახაბი მოჩანს... მისი კომპაქტური ფიგურა ყველაზეა. რინჩინდი ხან ზურგს უკან იწვიოს ხვლებს და ხან კი მახვილის ირგვლივ გრესს მათ. ნახევრად კლონა, ნახევრად ფსიქოპათი, ზოგჯერ ჩამოქრებული, ზოგჯერ კი ჰაერს სკვეის მკვეერი ეესტებიო. მისი დრამატული განსახიერება პირდაპირ ექმლი სწვდება მაყურებელს...“ („ობზერვერი“; 24 აგვისტო).

ოცდამეათე აგვისტოს „ლაისნიმის სამეფო თეატრთან“ გამოთხოვების დღე დადგა. დასმა ორგერ, შუდღეს და სადამის თამაშს „კავასიური ცარტის წყე“. მსახიობებს არ გაუხდათ კოსტუმები — იმდენად მჭირე იყო ინტერობა ამ ორ წარმოდგენას შორის. ორივე წარმოდგენის დაწყების წინ ავიტაბუი სუფედა საპარადო შემოსასვლელთან — გამოდებით ეცხად ხალხი ზედმეტ ბოლოს, ეს იყო სრული ანშუღა. დიდბანს უტრად და ზის თეატრში მოსული მაყურებელი. ისინი ეთხოვებოდნენ დასს, რომელმაც „სენსაციური“, „თავბრუნდაზვიევი“, „დამაქმდექტროვებელი“ სექტაკლები წარმოადგინა ფესტივალზე. ეს მხურვალე გამოთხოვება გადბარდა დასის ტრიუმფში, რომლის ეტო შორის, მიეღს ეტროპაში გაისმა (ამის დამაძახებუბელია მრავალი მოწვევა ეტროპული ქვეყენბიდან).

რუსთაველის თეატრის წარმატების პირველი გამოწვებენი იყვენს საბჭოთა სცაღლის წარმომადგენლები, რომლებმაც გულთბილი, დასამხსობრებელი მიღება და სადამო გამართეს ლონდონში. საღაღოს თანამშრომლები განსაკუთრებით უსვანდენ ხაზს რუსთაველის თეატრის ბრწყინვალე გამოსვლის არა მარტო შემოქმედებით მხარეს, არამედ მის იდეოლოგიურ, პოლიტიკურ ასპექტებს. თეატრმა იძულებული გახდა ინგლისური კონსერვატორული პრესა ტინი შეტევადა საბჭოთა თეატრალურ ხელფენბაზე მსქელობისას, დეკავებინა ობიექტური პოზიცია და ეროვნული კულტურის თვითმყოფადობა და მაღალი დონე ელიარბინა.

გაიღოს დრო და კვლავ სიამოვნებით წავიკითხავთ „გარდინის“ ამ სტრუქტურებს: „ამა წლისი ენობრივების ფესტივალზე რუსთაველის თეატრის გარდა ხვდა რომ ენობრივი უყოლოდოე წარმოდგენილი, იგი ამით გამარბლებდა თავის არსებობას“ (24 აგვისტო).

ედინბურგის საღამოები

ამას წინათ, გაზეთ „სოვეტსკია კულტურაში“ (მიმდინარე წლის №№ 82, 83) გამოქვეყნდა ამ გაზეთის სპეციალური კორესპონდენტის **მ. შირაკის** სტატია „ედინბურგის საღამოები“, რომელშიც წარმოდგენილია ამ სახელგანთქმული ფესტივალის მრავალფეროვანი პანორამა. ავტორი განსაკუთრებულ ადგილს უთმობს რუსთაველის თეატრის გასტროლებს, მეთხველებს უზირაძეს იმ დიდ შთაბეჭდილებას, რუსთაველზე მათ რომ მოახდინეს სპექტაკლებით „რიჩარდ III“ და „კავკასიური ცარცის წრე“. ეთრნალ „საბუთა ხელოვნება“ რედაქციამ მიზანშეწონილად სცნო ე. შირაკის სტატიად იმ ადგილების გადმოხვეწვა, რომელიც ეხება ედინბურგის ფესტივალზე რუსთაველის თეატრის გამოცელებს.

...წლიდან წლიად იზრდება და ფართოვდება წრე ედინბურგის ფესტივალის ორბიტაში ნოვებდრილი რუსული და საბუთა ხელოვნების ნაშუქებისა, რომლებიც, როგორც ამას გვიმორწმუნებს ანთიმანდელი სეზონი, არსებითად ამოდრებენ საფესტივალო პროგრამას, მთელი სიმღავრით „მუშაობენ“ მისი პრესტიჟის ამღლებასზე და მათურებულთა მოზიდვასაც აპირობენ. ამის დასამტკიცებლად შორს წასვლა არ დაგვირდება. ამაზე თვალსაჩინოდ მეტყველებს ის ჭეშმარიტად არანახული წარმატება, ფესტივალზე რომ ხვდა საბუთოთი დაწარგავნილ ქართულ თეატრს, რომელიც დღეს ერთ-ერთი საუფრთესო ეროვნული დასია, მსჯავსი წარმატება დიდი ხანია არ ასისოთ თვით ინგლისელებსაც კი...

აქამდელი ფესტივალის ზოგად რეგენდ იქცნენ რუსთაველის თეატრის გასტროლები და დღვას ნაწარმოებთა გამოცენა...

უცხოეთში დრამატული თეატრის გამოცელებს ახლავს თავისი პრობლემები, რომელთა გადაწყვეტა უზარალ ამბავი როდია. მათ შორის მთავარი ენობრივი ბარიერია. ეს ბარიერი ყველაზე რთულია, რადგან ატარებს ფსიქოლოგიურ ხასიათს. როგორ უნდა მოიზიდო მათურებელი, რომელიც თავს არიდებს თეატრს გაუგებრობის შიშით — რა მიზნა თეატრში თუკი სცენაზე წარმოთქმული სიტყვა არ მესმისო. ქართული დასის მოწვევის ცდამ, ასე ბრწყინვალედ რომ დაგვირგვინდა, ედინბურგის ფესტივალის ორგანიზატორებს, ცერძოდ კი მისტერ დრამონდს (ედინბურგის ფესტივალის დირექტორს) ამ მხრივ ოპტიმისტური განწყობილება შეუქმნა. მისტერ დრამონდის აზრით, რუსთაველელთა გასტროლების დასასრულებლისათვის მათი სპექტაკლები ისე დაშკიდრდნენ, რომ შეიძლებოდა საშქრუკები ბილეთების გაყიდვა, რაც მაინც ვერ დააჰყოფილდა მათურებულთა მოზიდავებებს. მისივე შეხედულებით უკანასკნელ წლებში ასეთი დიდი წარმა-

ტება არ განუცდია ინგლისში გამოსულ არც ერთ უცხოურ თეატრს და რომ ეს ბრიტანეთის მათურებულთა თვის ნამდვილი აღმონენ იყო, უკველივე ეს უსადასაღებია მით უფრო, რომ ლაპარაკი, სხვათა შორის, ეხება შექსპირულ სპექტაკლს, თანაც ინგლისის სცენის ყველაზე რეპერტუარულ პიესას დიდი დრამატურგისას „რიჩარდ III“. მისტერ დრამონდმა მომიხებულე დიდი დიმილით თქვა:

„ამას წინათ, ლონდონის ნაციონალურ თეატრში შედგა „რიჩარდ III“ პრემიერა, დასი ძალზე შეშფოთებულა იმ გარემოებით, რომ მას თქვენს „რიჩარდთს“ შედარებენო“...

მართლაც, ედინბურგში რუსთაველის თეატრის გამოცელებს, თეატრ „ლიცეუმი“ წარმოდგენილ ბრეტის „კავკასიური ცარცის წრესა“ და შექსპირის „რიჩარდ III“-ს ინდენად დიდი და უჩვეულო რეზონანსი მოჰყვა, იმდენად აღფრთოვანებელი ტონი ჰქონდათ ინგლისურ გაზეთებს, რომ ეს ფაქტი ცალკე ლაპარაკის იმსახურებს.

იმათთვის, ვინც იცნობს რუსთაველის თეატრის უკანასკნელი წლების ნამუშევრებს, სულაც არ არის მოულოდნელი ის დიდი წარმატება, რომელიც მას ხვდა ედინბურგის ფესტივალზე. დასი აბალოლოს განიცდის, მუშაობს მძაფრად და საინტერესოდ მას შეუდგება, რაც ამ თეატრში მთავარ რეჟისორად რომ უკნაღ სტურთა მოვიდა. დედაქალაქის თეატრის მოყვარულებს დღედენ ასსოთ მათი გასტროლები, მოსოველთა განსაკუთრებული ინტერესი რომ გამოიწვია. და მაინც, იყო რაღაც უჩვეულო იმ წარმატებაში, უფრო ზუსტად: იმ გამოძახილებაში, ინგლისური პრესის სარტეში რომ მოჰყვა ასახვა. რუსთაველელთა გამოცელებს ზომ ყველა ცნობილი გაზეთი გამოეხმარა.

სიმართლე რომ ჰქონა, სპექტაკლების საერთო მაღალი შეფასება ერთსოვლოვნების მომასწავებელი არ იყო. იყო კრიტიკული შენიშვნებიც ცალკეული სცენ-

ნებისა თუ დეტალების მიმართ (გაფორმება, კოსტუმბი, მუსიკა და ა. შ.), აშკარად არაკეთილშობილურნი გამოხატვებიც. უპიკეთილშობილოა ჩვეულებრივად ამ მხრის უკუღმავლად უიღბრესი პოზიცია დაიქარა გახსოვს „სკოტსენის“ კრიტიკისა, ერთ-ერთი პირველი რომ გამოცხადებდა რუსთაველებს. მას „რიჩარდ ნესამეში“ (ბუნებრივია, რომ დამარჯავი, ძირითადად, ამ ნაწარმების ირგვლივ მიმდინარებდა) არ აწუხებდა სამოქმედო ამბისფერის მტისმტერი გამოხატვები. უიღბრესი „გაბრიელისა“ შთავარი გმირისა, რომლის სვლა ძალაუფლებისაგან, მისი აზრით, მოცემულია უადრესად თარქუმ ფერებში, რასაც იგი ხსნის რეჟისორული თანხაზრების ტენდენციურობით, რამაც, თავის მხრივ, პიესისა და მისი დედაზარის საფუძვლიანი მოდერნიზაცია გამოიწვია.

ეს გამოხატვები იმითაც კი არ მომავს, რათა დავწამო ტენდენციურობა თითო კრიტიკოსს. საკმე ისაა, რომ ასეთი შეხედულება მთლიან უსაფუძვლო არ არის. ამ სექტაკლში ხომ უკუღმავლო თავდაფირად დგას. მაგრამ სწორედ ამასა რუსთაველებსა ძალა. შექსპირის ტრავადისათვის სრულ შესაბამისობაში გამოხატულია აზრი იმისა, რომ ძალაუფლების დალოკებელი წყურფრობი ადამიანში სისხლის უკუღმავლო ადამიანურს, რასაც მოჰყვება გარკვეული დეგრადაცია და გადაჯერება არა მხოლოდ პროცენტებისა, არამედ თვით ძალაუფლებისაც კი.

სწორედ ამასა არის ამ სექტაკლში რამაჰ ჩივიკაძის მიერ შექმნილი სახისა, ასე თანმიმდევრულად, მრავალმხრივად რომ ამდგავებენ გმირის დეგრადაციის პროცესს. მსახიობი თავისი გმირის გარკვეულად აღიქვას ხსნის მის მიერვე გაბიზრებულბო ზნეობრივი პრინციპების უფლებდებულობით. იგი დროს, სკეპტიკი ელვარეო ვაქციუნებს ინდივიდუალუაზმის რიჯორც „ცხოვრების ფილოსოფიის“ დაჟალა, და ჰეუსტორიკის მოზოცენითაჟ მის სრულ შოუთავიზებლობას.

ფიქტორბო, თვალსაზრისა „სკოტსენის“ კრიტიკოსის „გაჯერებულობი“ შეხედულების სიმცადარ, რაც კიდევ უფრო ნათლად ვიწინდებ ინფლისურ პრესაში გამოქმნილი იმ სხვადასხვაგვარი, მაგრამ მისივე ზნეობრივად განსხვავებული შეხედულებების ფონზე, სწორად რომ აღიქვას სექტაკლში ხორცმსხმულო რეჟისორული შთანაფიქრი.

და მინც, სხვა რამ არის შთავარი და ხაზგასმებლი: როგორი სხვაობაც არ უნდა იყოს შეფასებაში (თვით ზემოაღნიშნული, აშკარად არაკეთილშობილურნი შეხედულებების ჩათვლით) აქ საერთო მისი, რაც თავისთავად იგაფილსხმება: ინფლისელი მაყურებლის წინაშე გამოიღობდა მაღალი წყობისა და წესის თეატრი, რომლის სექტაკლები დგანან თანამედროვე სცენის საუკეთესო ნიმუშების დონეზე.

„შესანიშნავი“, „განსაცვიფრებელი“, „უხლოდ“ — ასეთი და ანალიგიური ეპითეტები ახლდა დასის შეფასებებს. მიმოიხილეთი ხასიათის სტატები და სექცილური რეცენზიები პირველბოლო იყო ამგვარი გამოთქმებით: „უიღბრესი წარმოდგენა“, „ენით აუწერებელი ძალის სექტაკლი“, შემხრატლებლთა განსაუორებელი შეზადგენლობა“, „შექსპირის სენსაციური დაღაჟ“ და ა. შ. შეუმღებელია უკუღმავლის ჩამოთვლა. რამაჰ ჩივიკაძის ნამუშევრები კი უკუღმავლად მაღალი შკალით ფასდებულა.

იყოი კრიტიკოსი თვლის, რომ ამ დადგმის შემდგ უფერულდება შექსპირზე მანამდე მიღებულნი ნებისმიერი შეხედულება და რომ ვერც ერთი ეს შეხედულება ვერ უძლებს შედარებას რუსთაველებლთან. თითქმის ყველა შეფასებაში გატარებულია აზ-

რი, რომ რუსთაველებლთა ნამუშევრები თანამედროვემ, ამ სიტუაციის უკუღმავლად საუკეთესო გაგებნი.

ზოგიერთი კრიტიკოსი შექსპირული ტექსტის პოდერნიზების მიმართ შესაძლებელი საუკეთესოების აცდენის მიზნის, თითქმის შეგნებულად ამასულებს უურადლებს სწორედ ამ საკითხზე და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მიუხედავად ტრავადის თავისებური სცენური მოქმედებისა, იგი დანახულია დავანდელი თვალთი და რომ ესაა დღევანდელი გაგნებრტა მასში წამოტრული სულისმიერი და ზნეობრივი პრობლემებისა. სტურუსს დამსახურებლად მინდუნლია ის, რომ მას მხოვა იქნოს შუალედი მრავალბო რეჟისორული მოქმედების ვადწევრტისა. რომელიც უოცდენლვის ინიუფება სცილასა და ქაზიბას შორის — კანონიურ ტექსტსა და მის თავისებურ გააზრებას შორის. ავტორისადმი ერთგულბამ არ შეუშალა ხელი რეჟისორის ტრავადია წარმოუხასა ციციანდ, უშუალოდ.

„რობერტ სტურუმი — წერდა „მორინგ სტარის“ კრიტიკოსი — შექმნა აბლები და გამომსახველი ვერისა, სათავის რომ ბიბლი ტექსტლან, სილდანაც მან ჩამოაჯალბა თვისი სამშუო ხერტები. იგი არსად ამ ქარკავის იორიგინალის მთლიანობის შეგარძენებას და არც მისდამი მონერ მორილბას განიცდილი“. ამარადიანა, ჩვენც არ ვგვეხის ქარბული ენა — ეხმიაუნება მას მეორე კრიტიკოსი — მაგრამ საცსტები ნათელია, რომ დამდგმული გაჟავა პიესის შთავარი ხაზებს და რომ ბიბლის იღებენ გამოგნებელი ძალით არის განსახიერებელი“.

არასაკლებ საუარადებოა მეორე არსებელი მომენტაც: გამოჟავთ რა რუსთაველებლთა ნამუშევრების რუსთაველებლთი დანახიანებენ რეალისტური ტრადიციებდამ, ჰუმანიტარული მიზანწარცილდან, აღნიშნავენ რა მათ სექტაკლებში ბორობებისადმი აქტიურ შეურბებლობას, მრავალი კრიტიკოსი ეცნეს საუთრბობით ენება ბრტების დადგმისა. სამართლანდალ ეტებს უოცდენლვ ამის ფეცებებს ხალხურ შემოქმედებაში, ხალხურ შემოქმედებით ტრადიციულად დარდინობაში. ეს გამოცხვივის არა მარტო ჰუმანიტარულიდან, რაც თავისთავად ცხებაა. არამედ შემოქმედების სტილიდან. ზნეობრივი პრობლემების დაუქვების ხასიათიდან, გათამაშებულ კონფლიქტების ბუნებათა ხედვისა და გაგნებრებისაგან.

მრავალჯის ისმობდა აღიარება იმისა, რომ რობერტ სტურუსს სექტაკლები წარმოდგენენ „მომაჯადებელ ალტერნატივის ისტორიის თემებზე დადგმული ჩინევიც საკუთარი შექსპირული სტილისა“ და რომ „ამ დადგმამ და ამ შესრულბამ გამოათავიუღლია ის პირველქმნილი დანახიანბი, რომლის განსახლდა და დამუშავებას ინფლისელი რეჟისორები აშორცილბოზენ უკვე მერამდევ წელიწადი“.

ეს მრავალბოქმნილი აღიარებაჟ იგი არ ქარკავს ძალას მამშობა კი, როცა მის კატეგორიულბან მოვანერო კრიტიკოსის სუბიექტურ ხედვას თანაშეროვრე ინფლისის სცენური შექსპირიანისა.

განა შეიძლება არ აღფრთოვანდ, როცა საბჭოთა თეატრული სკოლის დამსახურებას უიღბრესი ცრამატორებს მემკვიდრეობის ათვისებისათვის ასეთი მაღალ შეფასებას აქდენენ მთი უფრო, რომ ეს აღიარება ხალდად კი არ ხდება, არამედ შექსპირის სამშობლოშივე.

სიამოვნებით ეცნე ერთბელ და უქანსკენლად მივმართო მასალებს ინფლისური გაზეთებისის. მრავალი ინფლისელი კრიტიკოსის შეხედულებით, ედნებურეში თეატრის განსვლებმა, ისევე როგორც, „მალაია ბრონიაის“ თეატრისა გასულ წელს, ტონი მისციეს მთელ თეატრული პროგრამას, ამაღლეს ფესკივალის ღირსებაჟ...“

„მინდია“ ქუთაისის საოპერო თეატრის სცენაზე

მანანა ახმეტელი

მიმდინარე წელი საიუბილეოა ქუთაისის საოპერო თეატრისათვის. 27 დეკემბერს ათი წელი სრულდება ამ მხარდი ახალგაზრდული კოლექტივის დაარსებიდან ათი წელი მეტრამეტად მცირე დროა ისეთი რთული, მრავალწახანოვანი და სპექტივური შემოქმედებითი ორგანიზმის ჩამოყალიბებისათვის, როგორცაა საოპერო თეატრი მაგრამ ამ მოკლე დროში ქუთაისის საოპერო თეატრი არა მარტო ჩამოყალიბდა, არამედ გადაიქცა დასავლეთ საქართველოს მუსიკალური ცხოვრების ცენტრად, მუსიკალური კულტურის კერად, რითაც დამატკიცა აუცილებლობა თავისი არსებობისა.

საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად ქუთაისის საოპერო თეატრში გაცხადებული მუშაობა მიმდინარეობს. შედიხედ იდგმება ახალი სპექტაკლები, ახლებურ მუსიკალურსა და სცენურ გააზრებას პოულობენ ის ქართული კლასიკური და თანამედროვე ოპერები, რომლებიც თეატრის შემოქმედებითი ცხოვრების საყრდენს, მის ბირთვს ქმნიან. მართლაც, ეროვნული საოპერო მექვიდრობის თანამიმდევრული ათვისების გზამ იმდენად მოამწიფა და მოალონიერა ქუთაისის საოპერო თეატრი, რომ დღეს იგი სრულიად დამოუკიდებლად წყვეტს რთულ შემოქმედებით ამოცანებს, მეტ-ნაკლები წარმატებით ანხორციელებს როსინის, ვერდის, პუჩინის, ლეონკავალოსა და სხვათა ოპერების დადგმებს.

საიუბილეო დღეებში ქუთაისის საოპერო თეატრი ფართო საზოგადოებრიობის წინაშე თავისებური შემოქმედებითი ანგარიშით წარსდგება — წარმოაჩენს ათწლიანი შემოქმედებითი ძიებებისა და მუშაობის შედეგს. ამ მიზნით უკვე განხორციელდა ოპერა „დაისის“ ახალი დადგმა. მზადდება „აბესალომ და ეთერის“ ახალი პრემიერა, აღსდგება „ბაში-აჩუკი“. სეზონის დასასრულს კი თეატრმა წარმოადგინა ასევე საიუბილეოდ გამოიხსული ახალი სპექტაკლი — ოთარ თაქთაქიშვილის ოპერა „მინდია“.

ეს სპექტაკლი მრავალმხრივ საყურადღებოა და მნიშვნელოვანი. საინტერესოა თუნდაც იმიტომ, რომ ამ სპექტაკლის რეჟისორია ზურაბ ანჯაფარიძე — ამ ოპერის ერთ-ერთი სულისჩამდგემლი, მინდაის როლის პირველი და შესანიშნავი შემსრულებელი, რომელიც ამ ახალ როლსაც, ვგულისხმობ საოპერო რეჟისურის ამოცანებს, მოეციდა მისთვის ჩვეული გზნებითა და გაცაცებით. მან ამჯერადაც მოიოფა წარმატება, რა თქმა უნდა, თავისი ნიჭის, პროფესიონალიზმის, მრავალწლიანი გამოცდილებისა და, რაც მთავარია, მუსიკალური თეატრის თავისებურებათა საფუძვლიანი ცოდნის წყალობით.

ამ დადგმის მთავარი ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ იგი გვაძლევს საოპერო პარტიკურისადმი სწორი და ტემზარიტად შემოქმედებითი მიდგომის მაგალიტს. სპექტაკლზე მუშაობის დროს ზურაბ ანჯაფარიძემ გამოიყენა და განაზოგადა ის შემოქმედებითი მეთოდი, რომლითაც იგი სულმძღვანელობს ამა თუ იმ ოპერის შესწავლის დროს, ამა თუ იმ მხატვრული სახის გააზრების პროცესში. თუ რა შედეგი მოაქვს მისთვის ამ მეთოდს, ყველასათვის კარგადაა ცნობილი. აქედან გამომდინარე, უ. ანჯაფარიძემ სპექტაკლის გადაწყვეტაც დაუმორჩილა მუსიკალური შთანაფიქრის,

შინარსის, სახეების სცენური წარმოსახვის ამოცანებს, რასაც ასე იშვიათად ვხვდებით ჩვენს საოპერო სცენებზე და რის გამოც საოპერო დადგმების უმეტესობას ამრწყევიათ დაღი მუსიკის უცოდინარობის, მუსიკისადმი ფორმალური, ზედაპირული, თვითმიზნური დანოკიდებულებისა.

ზურაბ ანჯაფარიძემ კი, როგორც მუსიკალური კატეგორიებით მოაზროვნე ხელოვანმა, შეძლო სცენაზე გაეცოცხლებინა ოპერა „მინდიას“ მუსიკალური სტილისა და ესთეტიკისათვის დამახასიათებელი მრავალი თვისება, რომლებსაც მიენიჭა სიესხადე, სიმკვეთრე, თეატრალური სახოვანება. ამიტომაც განიმსჭვალა ეს სპექტაკლი პარტიტურიდან მომდინარე ეროვნული ენერგიით, ტემპერამენტით, ვაჟკაცური გზნებით, პოეტურობით. ეს თვისებები, შესატყვისი განსანიერება რომ ჰპოვეს პლასტიკასა და დინამიკაში. ზ. ანჯაფარიძემ თავის მხრივაც გაამძაფრა, გაამახვილა, რის შედეგადაც სპექტაკლი გმირული შემართებით, რომანტიკული პათოსით განიმსჭვალა. გმირულ-რომანტიკულმა სტილმა კი მთელი სისასით წარმოაჩინა მხურვალეობა და სიწვრველე სიცოცხლით სახეს სახეებისა, ლირიკული გზნება ფსიქოლოგიური წიაღსვლებისა, დრამატული სიმწვავე კონფლიქტური სიტუაციებისა.

პარტიტურის სწორი წაითხვის შედეგად სცენაზე გამოიკვლია ოპერის მთლიანი და მრავალწანაგოვანი მუსიკალური დრამატურგია, რომელშიც მონოლოგური, დიალოგური, ანამბლური ფორმები შენაცვლებულა მიონუმენტურ მასობრივ სცენებთან. სპექტაკლში ეს ნარსახოვანი თეატრალური ფორმები საგანგებოდაა ინდივიდუალიზებული, ერთიან მხრივ, იმ ფართოდ გაშლილი, პოეტური და რელიეფური მიზანსცენებით, ხელს რომ უწყობენ გმირთა შორის ურთიერთობის ჩამოყალიბებას, მეორეს მხრივ, კი მჭიდროდ შეგრული, მოხარავი, მონოლითური კომპოზიციური სტრუქტურებით, რომელთა შეუწყვეტელი გარდასახვები მასობრივი სცენების აქტივიზებას, მოქმედების დინამიზებას აპირობებენ. ამ ფორმების შენაცვლებისა და შეპირისპირების საფუძველზე აღმოცენდა ცოცხალი თეატრალური ქმედება, ლოგიკურად და შეუწყვეტლად რომ ვითარდება. წრფელია და მრავალხატოვანიც, რადგან მუსიკალური აზროვნების, მუსიკალური ემოციის ხორცშენახას ემსახურება. მუსიკალურ-თეატრალური სინქრონულობის თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია მინდიასა და მზიას ლირიკული სცენები, მინდიას და ფშაგების, მინდიასა და ჩალხიას დრამატული შეპირისპირების მიმენტები, პირველა მოქმედების პერიო-



მზია — ლ. ასალაძე

სცენა სპექტაკლიდან



კული ფინალი. ჩაღბიას დაღუპვის, მინდას სიკვდილის სცენები და სხვა.

ეს საექტაკლო იმითაცა აღხანიშნავი, რომ მასში საოპერო გამომწვევლის კომპონენტები — დირიჟორული და რეჟისორული ინტერპრეტაცია, სცენოგრაფია და ქორეოგრაფია ერთმანეთიდან მომდინარებენ, ურთიერთს ავსებენ და ერწყმინან. მხატვარმა ივანე ასუკიანამ სადა და საკონიური სცენოგრაფიით, კოლორიტული ფერწერული კოსტუმებით გააცოცხლა მაკარი და ფერადოვანი სამყარო ფშვებია. მან გეოგრაფიული გერეფის ისტორიულ-ეთნოგრაფიული პირობათობის მინიშნების მიზნით გამოიყენა რამდენიმე სასცენო კონკრეტული სახვითი ნატი, რომლებიც საექტაკლომ ისეთმანირადა გათამაშებული, რომ მათი საშუალებით ხდება სიმბოლიზება ოპერის იდეური მოტივებისა, პერსონიფიცირება ფსიქოლოგიური, ეთიკური ქვეტექსტებისა. ასეა წარმოდგენილი საექტაკლის ფარადექსული ფარი, რომელიც მონუმენტურობის შთაბეჭდილება-საც ქმნის და იკითხება, როგორც სიმბოლო გამუდმებული ბრძოლებისა, ფშვათა გმირული, მეომრული სულისკვეთებისა. ლეგენდარულ ელფერს წარმოქმნის საექტაკლის პეიზაჟურ ფონადექსული მყინვარწვერი, რომელიც ფშვათა შეუვლოობის, შურეყველობის, სიმკაცრის სიმბოლოდაც აღიქვამება, აუნსუნაზე გამოტანილი სამრველო კი მინდასეული კეთილშობილების, სისპეტაკის, საწინდის სიმბოლური გამოხატვაა, კლდეგანი ბლიკი გააჩრებულა როგორც სიმბოლო სიკვდილ-სიკოცხლის შესაყრელი გზისა. იფივე მიზანს ემსახურება ის უნაურად ჩამომხმარი ტოტი. მინდას მიერ უნებოდ ჩადენილი მკვლელობის შემდეგ რომ ჩამოეშვება როგორც სიმბოლო შეძრწუნებული ბუნებისა. სასურველია ოლინდ, რომ ეს ტოტი („შეძრწუნებული“ კი არა, არამედ „გახარებული“) გათამაშებულიყო საექტაკლის ექსპოზიციამიც, როცა სამშობლოში დაბრუნებულ მინდას მიღეი ბუნება ეგებება (ველუსიმბობა სცნის მიღეი ხშივან გუნდს „მანდაი მოდის. მინდაი!“), ამით თავიდანვე გაიხსნებოდა დამოკიდებულება ბუნებისა და მინდაისა, ნაწილობრივ მაინც შეიფხეოდა ის საკმაოდ ხანგრძლივი სცენური პაუზაც, საექტაკლის დასაწყისში რომ წარმოიშვა მკითხველის ტექსტის ამოგების მიზენით.

რეჟისორულ პარტიტურაში ასევე ორგანულადაა ჩაწერილი ქორეოგრაფ ელგუჯა გუმბერაძის მიერ ოსტატურად დადგმული მეომრული გზნებით აღსავსე ცეკვები — პლასტიკურად მოხდენილი, ტემპერამენტული, დინამიკური — თავის მხრივაც რომ ამბაფრებენ საექტაკლის გმირულ სულს, ფშვათა პატრიოტულ შემართებასაც.

სადადგმო ჩანაფიქრის გახსნას ემსახურება



პინდა — ვ. შოთაშვილი

ნიჭიერი ნამუშევარი დირიჟორ თეიმურაზ ზეკელიძის ხიძისა, რომელმაც შემოქმედებითად განაწესა ოპერის ტემპორიტმული დრამატურგია, რის შედეგადაც ექსპრესიულად აქლერდა ორკესტრი, ფშვათა გუნდები, კონფლიტების სიტუაციების დრამატისმაც გაძლიერდა. თ კობახიძემ პირველივე ტაქტებში გააძვინდა ის იღვამალი მღვღინვარება, რომელიც დამახასიათებელია ოპერის მუსიკალური მეტყველებისათვის. ფაქიზად, შთაგონებით ააზმოვანა ლირიკული სცენები, რითაც მკვეთრი ემოციური კონტრასტები წარმოაჩინა.

ნაგრამ, ამათან ერთად, საჭიროა სერიოზული მუშაობა და ფსიქიკი ნიუანსირების ხელოვნებაზე, ეს ერთხანად ემება ორკესტრს, მომღერლებს, გუნდს... თუმცა ამ რთული ამოცანის გადაწყვეტა მარტოდენ დირიჟორს როდი ევალება. ნიუანსირების ხელოვნება მაღალ სამეხსრულებლო ტექნიკას მოითხოვს. შემოქმედებითი კოლექტივის პროფესიულ-ტექნიკური წრთვინსათვის კი საჭიროა ქმედური ზომების მიღება, მტერი მუშაობა ორკესტრთან, გუნდთან, მომღერლებთან... სხვაფერი თეატრში თავმოყრილი ნიჭიერი ახალგაზრდობას გაუჩიერება ზრდა.

სერიოზული მუშაობა ჩაატარა ქორმესტერმა ავთანდილ მაჭავარიანმა, რომელმაც ახალგაზრდა საგუნდო კოლექტივს დააძღვინა ტემბორულ-ავსტიკური თავისებურებანი სცენაზე მყოფი და სცენის მიღმა ხმოვანი გუნდებისა. განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას სტოვებენ ოპოხიანად შესრულებული ფშვათა გუნდები, საიდანაც გამოსჭვივს ძალა, ენერჯია, გმირული ტემპერამენტი. საერთოდაც საქებარია ის თავდადება, გატაცება, ენთუზიაზმი, რომელსაც ამჟღავნებს ახალგაზრდა საგუნდო კოლექტივი რთული მუსიკალურ-სცენური პარტიტურის შესრულების დროს, ამიტომაც საექტაკლის წარმატებაში დიდია გუნდის მსახიობთა წვლალი უკმარისობის გრძობას იწვევენ კულისებიდან შესრულებული გუნდები — დასაუსტეტებელი, დასაფეწია ინტონაციას, საგუნდო კოლექტივმა უნდა გამოიმუშავოს პიანოს შესრულების ცოდნა, ნუანსების გამოხატვის უნარი.

დაბოლოს, სიამოვნებით მოიხსენიებ ნიჭიერი მსახიობებს — შესანიშნავი ხმებით დაჯილდოებულ მომღერლებს — ვახტანგ მითაიშვილს, რონელიც მინდას როლს ჭაბუკური სიწრფელით, შთაგონებით, გააჩრებით ახსახიერებს. თავისუფლად მძღერი მისი მეზნებარე ხმა განსაკუთრებულ სასოვანებას დრამატულ სცენებში აღწევს. შედარებით ნაკლებადაა გამოკვეთილი როლის ლირიკული მხარე, ის იღვამალი სიფაქიზე, პოეტურობა, უფრო მეტად რომ ამბაფრებს, აკეთილშობილებს მინდაისეულ დრამატისმს. ვ. მითაიშვილი ამ ტექნიკურად რთული, შინაგანად დაძაბული ეოკალური პარტიკის შესრულების დროს



90

დავით კაკაბაძე

ვახტანგ ბერიძე

შემოქმედებით ენერგიასაც ამკლავებს. ენერჯის სსთავს კი, ნიჭიერებასთან ერთად, წარმოქმნის სამომღერლო პროფესიონალიზმი, რომლის მისაღწევად ვ. მითაიშვილი ყოველდღიურ თავდაუზოგავ, მიზანდასახულ მუშაობას აწარმოებს. ამატომაც დაზღვეულია იგი იმ სტიქიური, გაუთვით-ცნობიერებელი სიმღერისაგან, ახალგაზრდა ვოკალისტებს რომ ახასიათებთ. მათ შორის მზიას შემსრულებელს — მხურვალე, ფერსავსე, ძლიერი ხმის მომღერალს ლუიზა ახალაძესაც, რომელსაც ყველა თვისება აქვს საოპერო სცენისათვის. დასახვეწი, დასამუშავებელია მისი სიმღერის პლასტიკური მხარე. მოსადრეგია ლ. ახალაძის მასშტაბური ხმა, რომელსაც აკლია ელასტიურობა, სირბილე, თვატრის ხელმძღვანელობის გასაგონად ვამბობ, რომ დაუხმარებლად ამ ნიჭიერ, მოხდენილ ახალგაზრდა მსახიობს გაუჭირდება ბუნებით მომადლებული სამომღერლო პოტენციის სრული გამოვლინება. ვოკალური მონაცემების წყალობით მან მაინც შეიძლო გამოხატვა მზიას მევეთრი და ძლიერი ხასიათისა

არტისტული ტემპერამენტი და მუსიკალობა გამოარჩევს ჩალხიას როლის შემსრულებელს ამირან ფხაკაძეს, რომელიც განსაკუთრებული წარმატებით ქართულ საოპერო გმირებს ანახიერებს. ამას გვიმოწმებს მისი კიანჯო, რომელიც შთაბეჭდილებას ახდენს როგორც გამომსახველი ვოკალიზაციით, ისე აქტიურული თავდაჭერითაც. ამ წარმატებებს განაპირობებს ეროვნული კოლორიტით შეფერადებული ხმის თბილი ტემბრი, ინტონაციის წარმოთქმის თავისებური ეროვნული მანერაც. ამ თვისებების წყალობით ა. ფხაკაძე დრამად ჩასწვდა ჩალხიას პარტიის ლირიკულ წიადსელებს, სულისმიერ ტკივილებს. მთლიანობაში კი იგი ამ პარტიას არათანაბრი გამოშახველობით მღერის. დრამატულ, კონფლიქტურ სცენებში მას დროდადრო ძალა დაღატობს, რაც წარმოადგენს არა სისტემატური სასიმღერო ტრენაჟის შედეგს.

მონდომებით ანსახიერებენ ხვეისბერის როლს ქუთაისის საოპერო თვატრის მომღერალი-ბანები ი. ქუთათელაძე და კუბულაშვილი. მათ მიერ წარმოსახული გმირიც ჩაწერილია ამ რომანტიკული სპექტაკლის პანორამაში...

დავით კაკაბაძის დაბადებიდან 90 წელი შესრულდა, ვარდაცვალებიდან კი ოცდაშვიდი. მან სამოცდასამი წელი იცოცხლა, ბევრის თქმა მოასწრო და წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენი ეროვნული კულტურის ისტორიაში. მისი ხელოვნება დღესაც იმდენად ცოცხალია, იმდენად თანამედროვე, იმდენად საჭირო, რომ ძნელი წარმოსადგენიც კია, თუ თვით მხატვარი ჩვენ შორის აღარ არის, რომ აღარ მონაწილეობს ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში.

მისი ცხოვრება დაემთხვა დიდი ისტორიული ვარდატეხის ხანას, რომელმაც შესძრა მთელი მსოფლიო. ეს იყო არსებობის ვარდატეხის ხანა მისი სამშობლოს, ქართული კულტურისა და ხელოვნების ისტორიაშიც. დავით კაკაბაძე ყოველთვის ორგანულად იყო დავაუმორებელი თანამედროვეობასთან, მუდამ ცხოველ ინტერესს იჩენდა არა მარტო შობილიური, არამედ მსოფლიო კულტურის ბედ-იბღბისადმი; ევროპელი; ევროპული ხელოვნების უახლეს მიმდინარეობათა ერთ-ერთ აქტიურ მონაწილესა და პროპაგანდისტს, ანალიზური გონების ადამიანს, მუდამ მიძიებელს, სურდა ბოლომდე ჩასწვდომოდა ხელოვნების როლსა და დანიშნულებას თანამედროვე ცხოვრებაში. უფროსი თაობის ქართველ მხატვართა შორის არავის იმდენი არ უწერია ხელოვნების თეორიულ საკითხებზე, რამდენიც კაკაბაძემ დაწერა. იგი ყოველთვის გარკვევით, მოუტირდებლად ამქვადენებდა თავის პოზიციას. თავის აზრს ხელოვნების განვითარების მომავალი გზების შესახებ, თავის დამოკიდებულებას მხატვართა და ხელოვნ-



ნების მოვლენათა მიმართ. შესაძლებელია, ამითაც აიხსნებოდეს, რომ მისი ურთიერთობა „გაერგო წრესთან“ რთული იყო: კაკაბაძე თავიდანვე აღიარებულ იქნა, როგორც ოსტატი და მხატვარი, რომელმაც ერთბაშად გამოავლინა თავისი მკაფიო ინდივიდუალობა: შემდეგ მას ეკისრა თვალთ დასწევო ყურება რეალიზმის ზოგამა და „დამცველმა“ და „მხრუნველმა“, თუმცა მისი, როგორც შემოქმედისა და პიროვნების, ავტორიტეტი კოლეგებსა და მხატვრული ინტელიგენციის ფართო წრეებში არასოდეს არ შერყეულა. მისი გარდაცვალების შემდეგ დავით კაკაბაძის პოპულარობა საკვირველი სისწრაფით იზრდებოდა. დღეს — როგორც ვთქვით — მის შემოქმედებას ჩვენ აღვიკვამთ, როგორც დღევანდელი ქართული ხელოვნების განუყოფელ ნაწილს და მისი მომავალი განვითარებისათვის აუცილებლად საჭიროს.

ჩვეულებრივ, დავით კაკაბაძის სახელი უკავშირდება — და სახეობის სამართლიანადაც — მის სახელგანთქმულ იმერულ პერიზაჟებს. მისი თავისებური მხატვრული ენა ალ პერიზაჟებში განსაკუთრებით მკაფიოდ გამოისახა. მაგრამ თავისი დიაპაზონით დავით ბევრად უფრო მრავალმხრივი იყო: შემოქმედების ადრეულ ხანაში მან

უარესად საინტერესო პორტრეტები შექმნა იჯა არის ავტორი ბრეტანისა, სვანეთისა და ძველი თბილისის: დიმიტრი შიშკინილი მწვენიერი ავტორილებს: იგი ერთი პირველთაგანი იყო განახლებული ქართული თეატრის მხატვართა შორის: იგი ძველი ქართული ხელოვნების მკვლევარი, დასასრულ, გამოამგონებელი, რომელიც ვერ კიდევ ოციან წლებში ამუშავებდა სტერეოტიპის საკითხებს.

დ. კაკაბაძე ეცუთვნოდა ახალი ქართული მხატვრობის წარმომადგენელია მეორე თაობას, რომელიც საბოლოო აწყო ასპარეზზე უშუალოდ ოქტომბრის რევოლუციის წინა ხანებში გამოვიდა. ეს თაობა შეგნებულად ისახავდა სრულიად გარკვეულ — ქართული ხელოვნებისათვის ახალ — ამოცანებს. ამ ამოცანების გასაგებად უნდა გავითვალისწინოთ, როგორი იყო ახალი რეალისტური ქართული ხელოვნების ჩამოყალიბების თავისებურება, როგორი სპეციფიკური პრობლემები ისახებოდა მის წინაშე.

როგორც ცნობილია, ჩვენი ქვეყნის ისტორიული ვითარება ისე აწყო, რომ ქართული ხელოვნება თითო XIX საუკუნემდე შუა საუკუნეების ხელოვნებად რჩებოდა. ჯერ V — VII, შემდეგ კი X — XIII საუკუნეებში ქართულმა ხელოვნებამ უმაღლესი განვითარებას მიაღწია: ამ დროს შეიქმნა ხუროთმოძღვრების, მონუმენტური ფერწერის, დეკორატიული ქანდაკების, ჰედურობისა და ხელნაწერთა მორთულობის მხატვრულად მოწიფებელი ბევრი ნაწარმოები, რომელთაც დღემდე შეიხარუნეს ემოციური ზემოქმედების ძალა. ცნობილია ისიც, რომ საქართველოში ადრევე ჩაისახა ჰუმანიტური იდეები, ინტერესი ცოცხალი, „მატერიალური“ ადამიანისადმი საერო მწერლობა და ხელოვნება მიუახლოვდა იმ მიჯნას, რომლის შემდეგაც მოსალოდნელი იყო დასავლური რენესანსის ანალიტიკური განვითარება. მაგრამ ყველაფერი შეფერხდა XIII ს-ის შუა წლებიდან — საქართველოსთვის უარესად არახელსაყრელი ისტორიული ვითარების გამო — ამას ერთვოდა შინაგანი სოციალური ევოლუციის თავისებურებაც (მონღოლთა ხანგრძლივი ბატონობა, თემურ-ლენგის განმანადგურებელი შემოსევები). XVI ს-დან თითქმის შეუწყვეტელი ბრძოლა დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად ძძლავრ და აგრესიულ მუხობლებთან — სეფიანთა ირანსა და ოსმალთა თურქებთან, რაც უზომო მსხვერპლს მოითხოვდა და ძირს უთხრიდა ქვეყნის ეკონომიკას; ერთიანი სახელმწიფოს დაშლა წერილ ფეოდალურ სამეფო-სამთავროებად, სოციალური დიფერენციალის გაღრმავება). სწორედ მაშინ, როდესაც დასავლეთ ევროპას ალიორინების ხანა დაუდგა, საქართველომ — დასავლეთს მოწვევებობდა კონსტანტინეპოლს დაციემის შემდეგ, მტრული ძალების სალტეში მოქცეულმა — ვერ შეძლო თავი დაეღწია შუა საუკუნეების არტაქებისაგან. რა თქმა უნდა, ხელოვნება არ ჩამოკდარა, ზოგი რამ საინტერესო შეიქმნა (მაგ., XIV ს-ის კელის მხატვრობა, XVII ს-ის ხელნაწერთა მორთულობა, ხე-

როთმოდგებოდა და ქედურობის (ზოგი ნიმუში), მაგრამ, არსებითად, ეს მანც ერთი ადგილის ტყეპს იყო: ახალ საფეხურზე, ე. ი. რენესანსული გავებით რეალისტური ფერწერისა და ქანდაკების საფეხურზე ასვლა ქართულმა ხელოვნებამ მაშინ ვერ შეძლო. მისი თემატიკა შემოფარგლული იყო შუა საუკუნეების ჩვეულებრივი რეპერტუარით. მრავალი ქანდაკება და დაზგური სურათი არ განვითარებულა.


XVII საუკუნეში საზოგადოების ზედა ფენების ხელოვნებაში თქვა ისინი ირანულ გავლენა, რაც საკმაოდ გასაგები იქნება, თუ გავიხსენებთ, რომ ეს ირანის პოლიტიკური მოძალებების ხანა იყო, ხანა იძულებითი ორიენტაციისა მუსლიმანური კულტურისაკენ. ეს გავლენა ყველზე მეტად გამოემჟღავნა სასახლეების, ქარავანებისა და აპანაგების ხელოვნობაში და — ეს ხაზგასასმელია — საერო მინიატურის ხელოვნებაში. გარდატეხა იწყება მხოლოდ XIX საუკუნეში, როდესაც საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა და კვლავ ევროპული კულტურის ორბიტაში მოექცა. უპირველეს ყოვლისა, ეს დაიწყო ფერწერის, რომელშიც ერთგვარი ძეგა უკვე XVIII ს-ის დასასრულიდან შეინიშნება (ქართული არისტოკრატიის წარმომადგენელთა პორტრეტები, შესრულებული ჩამოსული ოსტატების მიერ — ეს მანც უმეტესად მოწინააღმდეგეა, რომ ჩაისახა ინტერესი ახალი, ევროპული ტიპის ფერწერისადმი). უკვე XIX ს-ის დასაწყისიდან შუა საუკუნეების კედლის მხატვრობის პირობითობა, სინატიკითობა, აგების დეკორაციულობა თანდათან ადგილს უთმობს დაზგურ სურათს, მის ყველა თავისებურებას — ცოცხალი, ინდივიდუალიზებული ნატურის გადმოცემას, მოცულობას, შექ-ჩრდილით მოდელირებას. მაგრამ ეს მხატვრობა, რომლის ცენტრდაც თბილისი იქცა, ერთადერთი ეანრიო იფარგლებოდა — ეს იყო პორტრეტი — უნარი, რომელსაც ჯერ კიდევ მთლიანად არ ჰქონდა გაწყვეტილი კავშირი წარსულთან. ეს მანც „გარდამავალი“ ხასიათის მხატვრობა იყო.

შუა საუკუნეთა ტრადიციების, მაშინდელი იდეური და ფორმალური შეზღუდულობის სრული დამღვეის ამოცანა დაისახა მხოლოდ XIX ს-ის მიწურულიდან, როდესაც ასპარეზზე გამოვიდნენ აკადემიური განათლების მქონე ახალგაზრდა მხატვრები, რომელთაც რუსეთისა და დასავლეთ ევროპის სასწავლებელთა კურსი ჰქონდათ დამთავრებული. ვინც კი იცნობს სამოციან-სამოცდაათიანი წლების საქართველოს კულტურულ-ისტორიულ ვითარებას, იცის, როგორ ვალციედა ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეები, როგორი მნიშვნელობა მოიპოვეს დემოკრატიულმა მწერლობამ და პრესამ, როგორ გაიზარდა ინტერესი ხალხის ყოფა-ცხოვრებისა, სოციალური პრობლემებისა და, იმავე დროს, ეროვნული წარსულისადმი, იმისთვის ნათელი იქნება, რომ არც ახალი ქართული მხატვრობის ჩასახვა ყოფილა შემთხვევითი: იგი საზოგადოებრივი განვითარების გარკვეულ ეტაპს უკავშირდებოდა, მისი შედეგი იყო. ეს არის ხანა ახალ სამეცნიერო საზოგადოებათა და დაწესებულებების, მუზეუმების, სამხატვრო და სამუსიკო სასწავლებლების დაარსებისა, ეროვნული პროფესიული თეატრის აღმოჩენებისა, გაცხოვრებული იდეური და შემოქმედებითი

მოღვაწეობისა. იმავე დროს, ეს არის ხეხა რუსეთის მიერ იმპერიაში და, კერძოდ, საქართველოში, ქალაქთა მხატვრობის ცალკეული განვითარებისა, რაც მოასწავებდა ახალი საქალაქო ბურჟუაზიული საზოგადოების საბოლოო ჩამოყალიბებას, ხელოვნების ახალი „მოძმარების“ გაჩენას. თბილისში ამ დროს უკვე ჩვეულებრივ მოვლენად იქცევა სამხატვრო გამოფენების მწყობა (საკმაოდ ბევრი იყო ჩამოსული და თბილისში დამკვიდრებული მხატვარი), იქმნება ნატივი ხელოვნების წამახალისებელი საზოგადოება, იხსნება ხატვის კურსები და სკოლა.

ახალი ქართული მხატვრობის პიონერთა — რომანოს გველსიანის (სწავლობდა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში), გიგო გაბაშვილის (სწავლობდა იქვე და მოუხსენებდა), ალექსანდრე ბერიძის, შემდეგ მოსე თოიძის (რეპნის მიწაზე იყო) და ალექსანდრე მრეველიშვილის (სწავლობდა მოსკოვის და პარიზში) — სახელები საყოველთაოდ არის ცნობილი. მათ იმდენად დამკვიდრდა გაწყვეტილი კავშირი წარსულთან, რომ მწალი კი არის მემკვიდრეობითი ურთიერთობის აღმოჩენა მათს შემოქმედებასა და უშუალოდ მათ წინამორბედ თბილისის პორტრეტულ მხატვრობას შორისაც კი. პრინციპულად ახალი ის იყო, რომ: ა) დიდად გაფართოვდა თემატიკური დიაპაზონი და, თუ შეიძლება ასე ითქვას, „პირდაპირი“, უშუალო კავშირი დამყარდა გარემოსთან, ცოცხალ ყოფაცხოვრებასთან; პორტრეტულ ეანრთან ერთად ჩაისახა (პირველად ქართულ ხელოვნებაში!) სხვა ეანრები, რომლებიც ევროპულ ხელოვნებაში ვითარდებოდა:

„იმერეთი—ღვამეში“ 1918. ფრაგმენტი



საყოფაცხოვრებო ანუ ეანრული მხატვრობა, პეიზაჟი, ნატურმორტი, მრავალფეროვანი სიუჟეტური კომპოზიციები, ბ) ფორმის მხრივ: საესებო დალუღული იქნა შუა საუკუნეთა ხელოვნების პირობითობა, მხატვრები დაუფლნენ გამოსახვის ყველა საშუალებას, რომლებიც კი ევროპული რეალისტური ფერწერის ხელი იყო... ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ამ სათუნრზე ასკლა ქართულ ხელოვნებას დიდი დაგვიანებით მოუხდა (მიზნეები ზემოთ მოვიხსენიეთ), ე. ი. იგი უნდა დასწოდა დასაუღეთ ევროპისა და რუსეთის ხელოვნებას, უნდა ვაეღო მათ მიერ კარგა ხნის წინათ განვლოლი გზა. ამიტომ ბუნებრივია, იმ დროს იგი არ იყო ჟერ კიდევ მზად, რომ შეეთვისებინა XIX ს-ის უქანასწული ათეული წლების ევროპული ხელოვნების უახლესი მიმდინარეობანი, მაგალითად, იმპრესიონიზმი, რომ აღარაფერი ექვევათ მომდევნო მიმდინარეობათა შესახებ! ფორმა მან შეითვისა XIX ს-ის მეორე ნახევრის რუსული რეალიზმისაგან, ე. ი., უპირველეს ყოვლისა, „პერედევიენიებისაგან“. გვიღა გაბაშვილი გარკვეულ ნათესაობას ამჟღავნებს ვერშხაგინთანაც. ეს ახალი ხელოვნება თავისი მიმართულებით დემოკრატიული იყო, ხოლო მრეველიშვილი, როგორც ცნობილია, არც სოციალური უსამართლობის უშუალო „მხილვას“ ერიდებოდა — ამ მხრივ იგი ხალხონებს უახლოვდებოდა. იყო თუ არა ეს მხატვრობა ეროვნული? უუკველად იყო თავისი შინაარსით — ტბაჟით, აქსესუარებით, კოსტუმებით, პეიზაჟით, სიუჟეტებით (თუმცა ნამდვილად სიუჟეტური სურათი ჟერ კიდევ ძალიან კოტა იქნებოდა); ხოლო ეროვნული ფორმის საკითხი მაშინ არც ისმოდა და ეერც დაისმებოდა. საამისოდ ნიადაგი ჟერ კიდევ არ იყო შემზადებული. ეს ყველაფერი საესებოთ კანონზომიერი იყო, ეს იყო შემდგომი დამოუკიდებელი წინსვლისთვის სრულიად აუცილებელი საფეხური.

მომდევნო საფეხური დაეკვირებულა იმ ხანასთან, როდესაც დავით კავბაძის თაობა იწყებს მოღვაწეობას. ეს რეველუციის წინა წლებია. ის იყო გადაიარა ათასცხრაას ხუთამ: ქვეყანამ გადაიტანა აღვირახსნილი რეაქციის წლებიც; დაიწყო პირველი მსოფლიო ომი. ატმოსფერო უდიდეს ცვლილებათა წინათგარმობითა გაეღვლილი. საქართველოს და მეტის რუსეთის სხვა ცლონებისთვის ეს ცვლილებები არა მარტო სოციალური, არამედ ეროვნული გათავისუფლების მომასწავებელიც უნდა ყოფილიყო. საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრება უკიდურესად დაძაბულია, ქართული კულტურის მოღვაწეთა რიგებს ახალი ძალები ემატება. მზადდება ქართული უნივერსიტეტის დაარსება, ბერად უფრო ინტენსიურად წარმოებს ეროვნული ისტორიის, მწერლობის, სიგელეთა მეცნიერული კვლევა; პირველი ნაბიჯები იდგმის ეროვნული ოპერის შესაქმნელად. ქართულ ლიტერატურაში ახალ დურცლებს შლიან სრულიად ახალგაზრდა პოეტები და მწერლები — გალაკტიონ ტაბიძე, იოსებ გრიშაშვილი, ცისფერყაწველები, ნიკოლორთქიფანიძე და მრავალნი სხვანი. დაბახასათებელია, რომ საგანგებო მნიშვნელობას იქნეს ლიტერატურული, კერძოდ პოეტური, ფორმის საკითხები (ციტატორყანწველები ხომ თავდაპირველად ბრალს სდებენ XIX საუკუნის ქართველ მწერლებს — ლიტერატურა გაზეთად აქ-



მამის პორტრეტი. 1914

(ციკოს). ცხადია, ამ დროს ქართული კულტურა და ხელოვნება არ შეიძლება მოვეყვიტოთ დასაუღეთ ევროპისა და, უფრო კი, რუსეთის ლიტერატურისა და ხელოვნების მივეღვნებს. რუსეთში კი რეველუციის წინა ათწლეული მხატვრული ცხოვრების ეასათკარი ინტენსიობით ხასიათდება. დავით კავბაძის თაობა, ე. ი., 1880-90-იან წლებში დაბადებულ მხატვრები, უკვე ისინდნენ არა მარტო იმპრესიონიზმს. არა მარტო „ამირ ისესუსტვას“ რაფინირებულ კულტურასა და სხვადსხვა პოსტიმპრესიონისტულ მიმდინარეობას, არამედ ფუტურიზმსაც, ექსპრესიონიზმსაც, კუბიზმსა და უსაგნო ხელოვნებასაც, რომელთა ჩამოყალიბებაშიც რუსმა მხატვრებმა განსაუღეთ დიდი როლი შეასრულეს. დავით კავბაძის ტლოათან ზოგი მწიდიობინად გადაიარა ამ ქაბიშხლებს. მაგრამ დავითი იმ ტბის შემოქმედი არ იყო, რომ პროფესულ დახელოვნებასა და ტრადიციის მიყოლას დასერებოდა. გარეგნულად იგი ძალიან მშვიდი და გაწონასწორებულ კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მაგრამ თავისი შინაგანი ბუნებით, როგორც მხატვარი და მოქალაქე (ეს კი მუდამ მოქალაქედ გრმნობდა თავს), დავითი სრულიად მოკლეული იყო სიმშვიდის, მით უფრო უცხო: იყო მისთვის ვულგარობა.

იგი, როგორც რენესანსის ისტატები, ყველაფერს თვითონვე უნდა ჩაწვიდომოდა: ანალიზის საფუძველზე უნდა გავკვირა და დავდგინა, რა ხდებოდა ქვეყანად მის გარშემო, უნდა დაედგინა, რა გზას უნდა დადგომოდა თვითონ, როგორც ქართველი მხატვარი, მშობლიურ ხელოვნებასთან დაეკვირებული თავისი ფესვებით, მოქალაქეობითი პასუხისმგებლობითა და ზნეობრივ. მოვალეობით.

როგორი უნდა იყოს XX საუკუნის ქართული ხელო-

ნება, რომ იგი თანამედროვე მოთხოვნებთან დონეზეც აღმოჩნდეს და, იმავე დროს, ერთგულად, სწორედ ქართულ ხელოვნებად დარჩეს? სხვაგვარად რომ ვთქვათ — **თანამედროვეობა და ეროვნულობა** — ეს იყო დავით კავთაძის ზრუნვისა და ფიქრის, მის მიზეზთა უმთავრესი საგნისა და კიდევ: ხელოვნების „ავტონომიურობა“, ისტატივის საკითხი, საკითხი გამოსახვის სპეციფიკურ საშუალებათა საკუთარი ღრებულებისა, სურათის ლიტერატურული შესაარსის პოზიციდავად. უფრო გვიანდელი გამოქვეყნებული ჩანაწერები გვიჩვენებს, როგორ ფიქსება კავთაძე, ამ თვალსაზრისით, თავის წინამორბედებს — უფროსი თაობის ქართველ მხატვრებს. იგი აღიარებდა მათი მოღვაწეობის დიდ **საზოგადოებრივ მნიშვნელობას**, მაგრამ მიიჩნდა, რომ **საკუთრივ ხელოვნება** არ იღვრა საქართველში, რომ მათ არ გაჩანდით შეგნებელი, გაპარებული დამოკიდებულება საკუთარი შემოქმედებისადმი. კავთაძეს სწამდა, რომ სწორედ მის თაობას უნდა ამოეხსნა შეგნებულად დასახული მხატვრული ამოცანები. ტყუილად კი არ წერდა იგი, ჯერ კიდევ თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის დასაწყისშივე: „მხატვრის დევიზია: ვიცი რას ვაკეთებ“.


საკვირველია, რომ ოცზე ცოტა მეტი წლის დავით კავთაძეს უკვე საესეებით ჩამოყალიბებულ შეხედულება აქვს ხელოვნების შესახებ. საკვირველია, რადგანაც იმ წრეს, რომელშიც იგი სიჭაბუკის წლებში იმყოფებოდა, არ შეეძლო ხელი შეეწყო მისი შემოქმედებითი მომწიფებისათვის, მის მიერ მხატვრული კულტურის შექმნისთვის. რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვარა და დიდი ბუნებრივი ნიჭისა, მხატვრის განსაკუთრებულ მოხანსწრაფვას, დიდ შრომისმოყვარეობას და მტკიცე მეთოდურობას ყოველ საქმეში, რომელსაც კი იგი ხელს ჰკიდებდა.

დავითი ღარიბი გლეხის შვილი იყო. იგი 1889 წელს დაიბადა ქვემო-იმერეთის სოფელ კუხში. მამამისი ნესტორი ხან რკინიგზაზე მუშაობდა, ხან მტკვითავად შვიი ზღვის ნავსადგურებში, 1893 წელს კი ქუთაისში დასახლდა და მებორნეობას მიჰყო ხელი. მან შეძლო, რომ ყვე-

ლა თავისი ვაჟისთვის განათლება მიეცა (დავითი 1908 წლის მამა იყო ცნობილი ისტორიკოსი სარკისი კავთაძე). დავითის ბავშვობის წლები ქუთაისთან არის დაკავშირებული. მამის, ორი საუკუნის მკვანსე, ქუთაისი ქართული კულტურის მნიშვნელოვანი ცენტრი იყო — იქ თავს იფრიდნენ გამოჩენილი მწერლები, მასობრივი, პედაგოგები, საზოგადო მოღვაწეები. დემოკრატიულად განსჯილი ინტელიგენცია. პრესა, ქართული თეატრი (ლადო მესხიშვილი), რომლის წარმოადგენებიც ფართო აუდიტორიის მხურვალე გამომხატულებს იწვევდა, ქმნიდნენ საკუთარ შესაფერის ატმოსფეროს ჭაბუკის სულაური განვითარებისათვის, მაგრამ სახლით ხელოვნების ნამდვილ ნიმუშებთან კონტაქტ მას არ ჰქონდა და ვერც ექნებოდა. დავითს კი სიყრმიდანვე უყვარდა ხატვა და ფერწერა. ამიტომ იყო, რომ ხარბად ეწაფებოდა წიგნებსა და ჟურნალებს, ეცნობოდა რეპორტაჟიკებს, კითხულობდა ხელოვნების შესახებ, ყიდულობდა ზეთის საღებავებსა და მოღებრებს; გახუთში გამოქვეყნებულ განცხადების მიხედვით ფერწერის სახელმძღვანელოც გამოიწერა, ვილაც ვამეღელი მხატვრის მიერ შესრულებული მამამისის პორტრეტიც გადაიხატა. ერთხანს სწავლობდა ქუთაისში, საიდანაც ჩასულ მხატვარ პავესკისთან (ამას მოწმობს 1908 წლის სექტემბრით დათარიღებული წერილი მამასთან), მაგრამ შეკადნიშობა სულ ცოტა ხანს გაგრძელდა; შემდეგ — კვლავ ცოტა ხანს — ვასილ კროტკოვთან, რომელსაც სტროგანოვის სასწავლებელი ჰქონდა დამოთავრებული.² ჰაბუკი მხატვრის „ალიარება“ იყო, როცა გიმნაზიის დირექტორმა დაავალა გადაეხატა მწერალთა პორტრეტები, ხოლო როდესაც დავითი VII კლასში გადავიდა, გიმნაზიაში მისი „პერსონალური“ გამოფენაც კი მოეწყო. ამას გარდა, მას დაევალა დეკორაციების შესრულებას ხონის თეატრისთვის (მცირე პონორარაც მიიღო). მის არქივში ინახება ვალერიან გუნიას წერილი დავითისადმი, რომელშიც იგი ურჩევს დავითს, სცადოს თავისი უნარი კარიკატურის დარგშიც.

1908 წელს ჟურნალ „საქართველოში“ მართლაც გა-

ავტობიოგრაფიკი ბროწეულით. 1913



ავტობიოგრაფიკი სარკისთან. 1913



ავტობიოგრაფიკი. 1917





მოქყენდა დავითის ნახატები: კარიკატურები სხვადასხვა საზოგადო თემაზე (გიმნაზიის ცხოვრება, ქუთაისის თეატრის მდგომარეობა) — ნახატი ჯერ კიდევ უსტატია, სატირულ სიმახვილესაც მოკლებული (ნახატები ინიციალებითაა ხელმოწერილი; ნატურიდან ჩანახატები: „შემძღბული გლეხის მოსახლობა“, „შეძღბული გლეხის სახლში“, „უფროსის კრების დრო იმერეთში“ და სხვა... აქ უკვე ჩანს, რომ ავტორს დაკვირვების უნარი აქვს, მით უფრო, რომ მას ნაცნობი, თავისთვის ახლობელი თემები აქვს არჩეული, იგი კომპოზიციასაც ასე თვს იმდროინდელს, მაგრამ ნამდვილი პროფესიული დახელოვნება მაინც არ გააჩნია.

მატერის ატივიმ დარჩენილი მასალა მოწმობს მისი ინტერესების მრავალფეროვნებას, გვიჩვენებს როგორ ბეიტად, დაუცხრომლად მუშაობდა იმ ხანებში: ისაჯავდა ნატურიდან (თავეები, ფიგურები, მწოლიარე მოდელები, ფანქრით დახატული, ძალიან გულმოდრინედ დამუშავებული პატარა პორტრეტი ხნაირი მამაკაცისა, რომელშიაც აშკარად ჩანს სახის „ფსიქოლოგიური გახსნის“ სურვილი, სებითი შესრულებული, ჯერ კიდევ სრულად მოწაფური, პეიზაჟები 1908 წლისა), კვლავ ასრულებდა კარიკატურებს (სხვდ გიმნაზიის ცხოვრებისადმი მიძღვნილი), დასასრულად, აკვარელის პატარა კომპოზიციებს (1909 წ.). ორი მთავანის შინაარსი გაურკვეველია, ერთს კი შეიძლება ვწოდოს „საპატრიოსო კომპოზიციას“; ქეის მაღალი გალავანი, დაეტილი ჰიმნარი; კაცები და ქალები ფუთებით, ზურგინებით — ზოგი გალავანთანაა მოკუთხული, ზოგი წინ და უკან დაბაივებს. რუჟეციის ხანისთვის სრულიად რეალური და რეალისტური სურათია, რომელიც ამჟღავნებს ახალგაზრდა დავით კავშირის ცხოველ ინტერესს მისი თანამედროვე სოციალური ცხოვრების მოვლენებისადმი (1905 წელს თექვსმეტი წლის დავითი წერდა მასს პეტერბურგში პოლიციის აღვირახსნილობის, კრების მონაწილეთა დახვების შესახებ, უამბობდა, რომ ტელეგრაფის ბოიკოტზე ეცდო შავი დროშები და მოწოდებები).


გიმნაზიის დამთავრების შემდეგ დავით კავშირად პეტერბურგს მიემგზავრება უმაღლესი განათლების მრავალხაზად. 1910 წელს იგი შედის უნივერსიტეტის საზღუნებისმეტყველო ფაკულტეტზე, როგორც ჰიათურის შავი ქეის მიუწვეული საზოგადოების სტიპენდიანტი (ეს საზოგადოება ყოველწლიურად გარკვეულ თანხას გამოკყოფდა ელტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობისთვის); იმავე დროს იწყებს მეცადინეობას მხატვარ ლ. ე. დმირტიე-კავკასისის სახელისნაშთი. მეცადინეობა 1915 წლამდე გრძელდება, აკადემიაში. და კავშირის არ უსწავლია. დმირტიე-კავკასისი, როგორც მხატვარი, სრულიად უცხო იყო კავშირისთვის, რომელიც იმთავითვე დიდად დაინტერესდა რუსული და დასავლეთ ევროპული ხელოვნების უახლესი ტენდენციებით; მაგრამ სახელოსნო მას ესაკირობოდა პროფესიული დაოსტატეპისათვის და ამიტომ იყო, რომ დავითი არ აცდენდა ხატვის კლასში მეცადინეობას; ამას გარდა, ესწრებოდა ცნობილი ხელოვნების ისტორიკოსი, პროფესორი დმირტიე ანალოვის ლექციებს უნივერსიტეტში.³

ლექცია-სამისი საბუთებზე არ გავიხანია, უკვირ არ შე-

იძლება შეგვეპაროს, რომ იგი იცნობდა „ბუნდის პარტიის“ და „ვირის კლდის“ (Олиный хвост.) პარტიების პირველსავე გამოცემებს, პეტერბურგის „ახალგაზრდა კავშირის“ (Сюз молодёжи) გამოცემებს (ეს „კავშირი“ აერთიანებდა სხვადასხვა ახალი მიმართულების წარმომადგენლებს,⁴ იცნობდა დოქტრინას და სეზანისზმს (თავდაპირველად ალბათ, მისი რუსი მიმდევრების წყალობით) და, რაღა უნდა უნდა, განსაკუთრებული ინტერესით აღევნებდა თვალს ახლად ჩასახული კუბიზმის, აბსტრაქციონიზმისა და იტალიური ფუტურისზმის პირველ ნაბიჯებს; რომლებიც ზუსტად ემთხვევა პეტერბურგში მისი ჩასვლის წელს.

როდესაც ეცნობი დავით კავშირის მოღვიწიობას პეტერბურგ-პეტროგრადში ცხოვრების წლებში, ვაიკება გავყარვას (იქ 1918-მდე დარჩა, თუმცა უნივერსიტეტი 1916 წელს დაამთავრა). გავკირვებს მისი დაუცხრომელი შრომისმოყვარეობა, მისი ინტერესებსა და საქმიანობის მრავალფეროვნება. ეს მრავალფეროვნება სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ის ყველაფერს ეტანებოდა განურჩევლად. პირიქით, მამონაც და შემდეგშიც, ცხოვრების მთელ მანძილზე, მისი მუშაობის დამახასიათებელი იყო სისტემატობა, მკითხი მიზანდასახულობა და მიზანსწრაფვა. შეიძლება ითქვას, რომ არსებობდა მთელი მისი საქმიანობა — რომელ დარგშიც არ უნდა ემუშავებდა მას — ერთი მიზნისკენ იყო მიმართული: ეს მიზანი იყო მუშებისა და ხელოვნების კანონზომიერებათა, მათი ურთიერთობისა და ურთიერთხეობამქმელების შეცნობა. მან უნივერსიტეტში ყველა გამოცდა ჩააბარა, მაგრამ მეცნიერებას სკორდებოდა ხელოვნებისათვის, რადგანაც ღრმად სწავლდა, რომ „ხელოვნება მეცნიერებაა“, რომ ხელოვნება „სიბრძნისაა ერთი დარგი“.

პეტერბურგის დროის ადრინდელი აღზომები და ჩანახატები სწორად ამა დასტურებს, ადსტურებს მხატვრის სურვილს, რომ რაც შეეძლება მუშტუ ვაიგოს, რაც შეიძლება ღრმად ჩაწედეს ყველაფერს. ამ ნახატებს უმეტესად წმინდა სასწავლო-სავარჯიშო დანიშნულება აქვს; ეს არის ფანქრით შესრულებული ნახატები სხუელის ცალკეული ნაწილებისა, ძვლებისა, კუნთებისა და ყველაფის თან ახლავს განმარტებითი ტექსტები. შიშველი ნატურისა და თავეების სწრაფ ჩანახატებში და კავშირის იმუშავებდა მოდელირების მანერას — მოკლე, სწორი, იბობი, სხვადასხვა სიხშირისა და ძალის შტრიხებით (ფიგურები ზოგჯერ უკონტუროდ არის დატოვებული); აქვე აკვარელის პატარა პორტრეტებიც (სავსებით ტრადიციული, ხალკებ მეტყველი; არის კარამყველი პანის ესკიზი (ყენატრები, ანურები), რომელიც ამჟღავნებს „მოდერნის“ სტილის გაფურნას (შემოსვენებისა და ხანმოკლეს). აღზომებში გვხვდება მრავალფეროვანი სრულეტიური კომპოზიციების ესკიზებიც — თემები აშკარად საქართველოს ისტორიიდანაა (ერთს 1912 წელი უთხის), მაგრამ მას შემოქმედებაში ეს მიმართულება აღარ განვითარებულა. ორნამენტისადმი ინტერესი კი არც შემოსვენებით ყოილდა და არც წარმოადგინა; დავითი მართლებს უფკითხის აღმოსავლენა ორნამენტებისკენ (ერთ შემოსვენებაში მითითებული აქვს წყარო — რველისური ქერხალი), თვითონაც ქმნის ორნამენტურ ორ-



დევორაკი ელი მოტივი

ნამენტულ კომპოზიციებს — შემდეგში იგი ბევრს ფიქრობს ორნამენტის აგების კანონზომიერებათა შესახებ და იწყებს მუშაობას ამ საკითხებისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ტრაქტატზე. დამახასიათებელია, რომ იმ დროსვე ჩნდება კუბოფუტურისმით შთაგონებული ეგზეზისებიც — ცხოველებისა და აღმინანების ფიგურები, რომლებშიც მხატვარი ფორმათა დაშლას ცდილობს.

1911-1915 წლებს მიეკუთვნება ფინეთისა და საქართველოს პეიზაჟები (ზეთი), არაღდეგების დროს, თუკი რაიმე არ შეუშლიდა ხელს, დავითი საქართველოში ჩამოდიოდა. მშობლებისადმი გაგზავნილ წერილებში იგი კითხულობდა, სიმშვიდეა თუ არა საქართველოში, შეეძლება თუ არა მოგზაურობასა და ხატვასო; თუ არა — ჩამოსვლას აზრი არა აქვსო. იმავე ხანებშია შესრულებული დიდი პორტრეტებიც — ამ ადრეულ ეტაპზე პორტრეტებს მის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, თუმცა მათი რაოდენობა მცირეა: „მეგობრის პორტრეტი“, ოთხი ავტოპორტრეტი, მამის, დედისა და ძმის პორტრეტები, უკანასკნელი დიდი პორტრეტი, რომელიც ამთავრებს და თითქმის აჯამებს მის ძიებას ამ ეტაპში, მიეკუთვნება 1918 წელს. ამის შემდეგ დავით კაკაბაძე პორტრეტს აღარ დაბრუნებია.

პეტერბურგის პერიოდს მიეკუთვნება ფუტურისტული ნ.მ.შეშვიცი.

მაგრამ ეს მხოლოდ ერთი მხარეა მისი მოღვაწეობისა. შემოქმედებით პრაქტიკასთან ერთად, დავითი დიდ ადგილს უთმობს მეცნიერულ კვლევა-ძიებასაც. ბევრს ფიქრობს ხელოვნების თეორიულ საკითხებზე. აქვეყნებს წერილებს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. 1912 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის სამეცნიერო წრის კრებულში (რომელიც ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით გამოვიდა) იბეჭდება მისი ნარკვევი შუა საუკუნეების ქართული ჰელდორბის ირანმენტული მოტივების შესა-

ხებზე, იკვლევს ბექა ოპიზარის შემოქმედებას, სწავლობს ქართული ტაძრების ჩუქურთმასაც (არქივში ინახება მოხსენების ტექსტი და ბევრი ნახატი ქართული ჩუქურთმისა მამინდელ გამოცემათა მიხედვით).

1914 წელს პეტერბურგში გამოდის მოკლე მანიფესტი — სულ ერთი გვერდი — ფრიალ თავისებური სათაურით „«Интимная мастерская живописцев и рисовальщиков. Сделанные картины. მას ხელს აწერენ დავით კაკაბაძე, კირილოვა, ლასონ-სპიროვა, ფსკოვიტინოვი და ფილნოვი. საქმოდ თავმოყურელი ტექსტიდან ორი ძირითადი აზრი მაინც შეიძლება გამოვიტანოთ: „რომ ყველაზე ძვირფასი სურათსა და ნახატში არის ადამიანის მძლავრი მუშაობა ნივთზე, რომელშიაც იგი გამოაულებს საკუთარ თავსა და თავის უკუდას სულს“; და რომ მანიფესტის ავტორები „ადადგენენ ნახატის უფლებებს“. ეს მანიფესტი, როგორც ჩანს, ჩაიღუპა სხვა იმდროინდელ მანიფესტთა ზღვაში: მას არაკითარი გამოძახილი არ მოჰყოლია. სტილის მიხედვით ტექსტი ნაკლებად გავს დავით კაკაბაძის ნაწერებს, მაგრამ ორივე დებულება — ხელოვნებაში შეუპოვარი შრომის მნიშვნელობისა და ნახატის როლის შესახებ — არაერთხელ განმეორდება მის სხვა წერილებშიც. ამ დროიდან მოყოლებული 1920-იანი წლების ნახევრამდის დავითი ხშირად აქვეყნებს პრესაში წერილებს, მანიფესტებს, ბუკლეტს წიგნებს. უკვე მაშინ, 1910-იან წლებში, ოციანი წლების მიჯნაზე, მისი მოსაზრებები ხელოვნების სპეციფიკის, დანიშნულების, გზების (კერძოდ, ქართული ეროვნული ხელოვნების გზების) შესახებ, მის მიერ ფერწერის თანამედროვე მიმდინარეობათა შეფასება უკვე საკვებით შემუშავებულია და შემდგომ, არსებითად, აღარც შეიცვლება. ზოგი დებულება გადამდის ერთი წერილიდან და წიგნიდან მეორეში და მხოლოდ ახალ-ახალი კონკრეტული მაგალითებით იესება. კაკაბაძის თეო-



რული მოსაზრებების გაცნობა აუცილებელია. იმიტომ, რომ თავის შემოქმედებაში, პრაქტიკაში, იგი ძირითადად ამ თავის თეორიულ შეხედულებებს მისდევდა, თუმცა კი ყოველთვის და სრულად ვერ იცავდა თანამედვერობას (უაზრობა იწებოდა, რომ მხატვრის გან ეს მიგვეხივება).

კაკაბაძის მსვლელობის კატეგორიულობა, მის მიერ ხელოვნების მიხედვითა და ფაქტობრივად მოუზღვებელი შეფასება დადებითად და უარყოფითად, მისაღებად და მიუღებლად — დამახასიათებელია გრადამავალი ხანისთვის, ნგრევისა და შენების დროისათვის. ამას გარდა, არ უნდა დაგვავწყვიდეს, რომ ამ ნაწერების ავტორი ხელოვნების ისტორიკოსი კი არ არის, რომელსაც შეუძლია მშობილად, ობიექტურად შეაფასოს დიმიტრიულად საწინააღმდეგო მოვლენები და ყველას თავისი მიუზღას, არამედ მხატვარი, რომელიც თვითონვეა ჩართული ცხოვრების დუღილში, „ხელნართულ“ ბრძოლაში, რომელიც ეძებს „აზნაბს“ და, ცხადია, არ შეუძლია მიუღებელი იყოს.⁸

1915 წლის ჩანაწერი მხატვრის არქივიდან — ეს გვრკილვე იღონდა „თეორია“ კი არ არის, რამდენადაც მიველი შემოგამო მუშაობის პროგრამა (დავითი იმ დროს 26 წლისაა):

1. ჭირველეს ყოვლისა, დიდი და ხანგრძლივი მუშაობა.
2. ხალხის, მისი ზნე-ჩვეულებების და ცხოვრების შესწავლა.
3. გაცნობა ხელოვნების ნაშრომებს, რათა შევიგნო რაში გამოხატებოდა წინათ „მხატვრული განა“.
4. რაც შეიძლება მეტი ცოდნა — გაცნო ხელოვნების სხვადასხვა პრინციპებს (შექმნილს სხვადასხვა ერის მიერ).
5. მხატვარს უნდა ახსოვდეს, რომ ხელოვნება — მეცნიერებაა.
6. საუფეთესო მასწავლებელი ქართული „მხატვრული ენის“ მიგნებისთვის არის ბუნება, სადაც აღიზარდა და ცხოვრობს ქართველი ერი.⁷

აქედან უნდა გამოვყოთ მეცნიერი მუხლი — ყველაზე მნიშვნელოვანი კაკაბაძის მსოფლმხედველობისა და მისი შემოქმედების გავების ავალ-აზრისით.

ხელოვნება — მეცნიერებაა. ეს რენესანსული თეზისი, ლიონარდო და ვინჩის თეზისი — ეს არის კაკაბაძის თეორიისა და პრაქტიკის საფუძველი. ხელოვნება რაციონალურია, მასში ყველაფერი კანონზომიერი უნდა იყოს: „თანამედროვე ცხოვრება მეცნიერულ შინაარსზე თანდათან მკვიდრდება... და მეცნიერება კი, როგორც ვიცით, პოზიტიური ცნებაა.⁸ დღევანდელი მხატვრობა წარსული“ სალუკონის მხატვრობისაგან უმთავრესად იმით განსხვავდება, რომ წინათ შემოქმედების პროცესში უმთავრესი ადგილი ეკურა გიტონობიერებას, ახლა კი მის ადგილს იკავებს აზროვნება.“⁹ „სურათში ყოველი მისი ნაწილი, ყოველი სიბრტყე, ყოველი ხაზი და ყოველი ფერი უნდა იყოს თავის ადგილას და ზედმეტად არც ერთი სურათის ნაწილი არ უნდა ჩანდეს... როდესაც სურათის რომელიმე ნაწილს დავესვამთ კითხვას — რისთვის? პასუხი უნდა გამომდინარეობდეს ბუნებრივად თვით სურათის შემადგენელ ნაწილებიდან.“¹⁰

ამ პოზიციიდან აფასებს დ. კაკაბაძე წარსული დროისა და სხვადასხვა ქვეყნის ხელოვნებას. იგი გვაძლევს მტრისმეტად განზოგადებულ, სქემატურ კლასიფიკაციას. არსებითად ანტითეზების ორ წყვილს: „კლასიციზმი —

რომანტიზმი“, „აღმოსავლეთი — დასავლეთი“. რა ზემოქმედება უნდა, ამ ტერმინების ხმარება — მით უფრო, პრინციპული ორისა — პრობოთია: მასთან „კლასიციზმი“ და „რომანტიზმი“ სრულიად არ უკავშირდება იმ ისტორიულ ეპოქებს, რომლებთანაც მათ ჩვეულებრივ აკავშირებენ. „კლასიციზმი“ უნდა გვევლინოს სოციალისტური თვალსაზრისით, როგორც კლასიკურია, დროისკანად დამოუკიდებელი. ასევე „რომანტიზმის“ ცნებაში კაკაბაძე თავს უყრის ყველაფერს, რაც არ არის „კლასიკური“ და რაციონალური — თვით სიმბოლისმისა და ფუტურისმის ჩათვლით. „კლასიციზმის“ მეთოდი გამოისახება საღ აზროვნებაში... ფორმისა და შინაარსის შეთანხმებაში, ნების დაქვემდებარებაში იმ კანონებთან და მოთხოვნებთან, რომელნიც ორგანულად გამომდინარეობს მხატვრულ პრინციპისგან. კლასიციზმი, როგორც მეთოდი, გამოისახება საღ და აზრზედ დამყარებულ შემოქმედების ფორმაში“ (ხაზი ჩქობა. ვ. ბ.). „რომანტიზმი... გამოისახება ნების სრულ თავისუფლებაში, ასტებულ კანონებს თავისუფლად ხმარებაში და მის უარყოფაში-დაც, შემთხვევითი ელემენტების განმტკიცებაში (შემთხვევითობა კი დავითისთვის სრულიად შეუწყვენარებელია! ვ. ბ.), ფორმის ვახლოვებას უარყოფაში“¹¹

კაკაბაძის სიმპათია, როგორც დავინახეთ, „კლასიციზმის“ მხარესაა, რამდენადაც: ა) მისი პრინციპები შეესატყვისება თანამედროვე ხელოვნებას, ბ) ქართული ხელოვნება თავისი ხასიათით „კლასიკურია“. რაციონალურია, მისთვის დამახასიათებელია, ღერადონების სიმღერისთან ერთად, უბრალოება. ნათელი ფორმა, ხაზობრობა (აქ დავითი ხმარობს სიტყვა „ნახაზობას“, რომელიც შეილება ნიშნავდეს გრაფიკულობას, ხაზობრი-

წერბლებლის გამოცეველი. 1920-23





ნატურმორტი. 1918

ობას, მაგრამ შეიძლება გულისხმობდეს აგრეთვე მკაფიო აგებას, ხათელ კომპოზიციას, სტრუქტურულობას). მისი აზრით, ცისფერყანწულთა პოეზია თავისი სულით არ იყო ერთნაირი. ამ პოეზიას იგი რომანტიზმს მიაკუთვნებდა და ასკენდა, რომ ქართული ხელოვნება ამ გზით ვერ განვითარდება: „კლასიციზმი... შეურყეველი გზაა შემოქმედებს დამთავრებული ფორმის მიღწევისათვის. ამ მეთოდის-საშუალებით ჩვენი ახალი მხატვრობა მიიღებს თავის ბუნებრივ სახეს და განამტკიცებს ნ.მ. დავით ქართულ მხატვრულ სულს.“¹²

შორე ანტიოზა: აღმოსავლეთი — დასავლეთი. ძველის-ძველი საკითხია, მრავალჯერ წამოჭრილი მსოფლიო ხელოვნების სხედასხვა ასპექტის განხილვის დროს. აი, როგორ სახე აქვს ამ დაპირისპირებას კავბაძესთან „აღმოსავლეთის ხელოვნება ხასიათდება გამოყენებული ცნებით და ფორმებით. დასავლეთის ხელოვნება დამყარებულია კონკრეტულ და მატერიალურ ფორმებზე.“

აღმოსავლეთის ხელოვნება მიიღებს მარადისკენ, დასავლეთისა — დროულისკენ.

აბსტრაქტულ და სპირიტუალურ წარმოდგენას აღმოსავლეთისა წინააღმდეგ დასავლეთის კონკრეტული და მატერიალისტური აზრით...

აღმოსავლეთის ქვეყნების ხელოვნებისათვის ბუნების გადმოცემა იმ სახით, როგორც არსებობს, არასდროს არ ყოფილა მისიანი. დასავლეთის ხელოვნებისათვის კი ბუნება ოვით არის მისიანი.¹³

და შემდეგ: „აღსტაკურ ხელოვნება, რომელიც დამარბებულია Trompe l'oeil სისტემაზე, ეუთვნის დასავლეთის ქვეყნების გამოფინებას. ეს სისტემა ვადმოსცემს კონკრეტულ ფორმებში სტატუკურ სივრცეს...“

Trompe l'oeil სისტემა სრულებით უცნობია აღმოსავლეთის ხელოვნებაში. ამდინი, რომელიც ვანიცდის სივრცეს გაყენებულ ფორმებში ვერ დააკაყოფილებდა

Trompe l'oeil სისტემის წარმოდგენით“ აღმოსავლურ პლასტიკურ ხელოვნებაში „გადმოცემულია სივრცის განუსაზღვრელი მანძილი და ხანუზომელ დროში.“¹³

დ. კავბაძე უპირატესობას ანიჭებს აღმოსავლეთს. მისთვის ეს უკავშირდება უარყოფით დამოკიდებულებას უშუალო, კონკრეტული თხრობისადმი, რაც მას არ მიაწინა უმთავრესად ხელოვნების ნაწარმოებში. აქ ჩვენ მივადქით ხელოვნებაში გამოსახვის ფორმათა ავტონომიურობისა და დამოუკიდებლობის საკითხს: „

„პლასტიკური ფორმა არსებობს ყოველგვარ მოთხრობითი შინაარსის გარეშე.“

ნაწარმოები აგებული პლასტიკური ელემენტების სრულ წესების დაცვით, წარმოადგენს დამოუკიდებელ პლასტიკურ საგანს.

მხატვრული ნაწარმოების ღირებულება არასოდეს არ ამოიწურება მისი თემბატორი შინაარსით. პლასტიკური ელემენტების შეტყველება და ფორმალური ღირსება განსაზღვრავს ნაწარმოების ღირებულებას.¹⁴

1920-30-იან წლებში დავით კავბაძის ამგვარი მოსაზრებები იმის მიზეზი გახდა, რომ მას ცხოვრებისაგან მოწყვეტას, ფორმალისმსა და სხვა ცოდვებს მიაწერდნენ. შეეცლება დავთანხმობ ან არ დავთანხმობ კავბაძეს, რაცა მას (არა მარტო მას) მოიხნდა, თითქმის „მხატვრობა ესეა უყვე აღარ არის... ხალხთა ცხოვრების, თუ წესის სააღწერლო საშუალება: ამას ჩვენს დროში ასრულებს წიგნი და ფოტოგრაფია... მხატვრობა მოშორდება ამ სახის უტილიტარულ შინაარსს.“¹⁵ ცხოვრებამ დადგინდა ამ აზრის ცალმხრობობა და ახლა, ექვსი ათეული წლის შემდეგ ცხადია, სრულიად უაზროა ამის თაობაზე კავბაძესთან კამათი. მთავარი ის არის, რომ თუ მოკანლ ტექსტებს შევადარებთ ავტორის ბევრ სხვა გამოწათქვამს, განსაკუთრებით კი მისი შემოქმედების მაკსტრალურ ხასს (გამოთვითით მხოლოდ აბსტრაქციონისტული ექსპერიმენტო), აღმოჩნდება, რომ საქმე



სრულიად არ ხვება ცხოვრებისაგან მოწყვეტას. დავით კავაძე, ერთი მხრივ მოითხოვდა სახვითი ხელოვნების სპეციალური ენის, მისი ფორმის დამოუკიდებელი მნიშვნელობის აღიარებას, უფრო სწორად, ფორმის სრულყოფილობას, მეორე მხრივ, ის ვერ ეუბებოდა ისეთ ხელოვნებას, რომელიც მხოლოდ მოგვიბრუნებს, გვიყვება ცხოვრების ამბავს, ე. ი. მხოლოდ „ლიტერატურულ“ ინფორმაციას გვაწოდებს. მისი იდეალი იყო განმაზოგადებელი, გააზრებელი ხელოვნება, რომელიც ამალბულ მხატვრულ სახეებს ქმნის. ხოლო რაღვთურ ცხოვრებასთან, თავისი დროისა და თავისი სამშობლოს ცხოვრებასთან, ის მუდამ საჭიროდ იყო დაკავშირებული, უფრო მეტიც—მას ვერც წარმოუდგენია თავისი შემოქმედება ამ კავშირის გარეშე. გავიხსენოთ: „საუცხოეთსო მასწავლებელი ქართული „მხატვრული ენის“ მიგნებისათვის არის ბუნება, სადაც აღიზარდა და ცხოვრობს ქართული ერი“; და კიდევ: „ხელოვნება ადამიანის სულიერი განცდის და გრძნობის შედეგია, ამიტომაც მასში გამოიხატება ცხოვრების შინაარსი, ადამიანის სულიერი და დაკავშირებულია ადგილობრივ ცხოვრების პირობებთან, წარსულთან და აწმყოსთან. ხელოვნების ადგილობრივი, ეროვნული სახე სწორედ ამდაგვარი განწყობილების შედეგია და ეს გვაძლევს ჩვენ საზოგადო კულტურის სფეროში ხელოვნების მრავალფეროვნებას.“¹⁶

რა თქმა უნდა, მხატვარი, რომელიც ამდენად იყო სამშობლოსთან დაკავშირებული, რომელიც აღიარებდა ეროვნული ხელოვნების არსებობის აუცილებლობას, ვერ მოწყდებოდა რეალურ ნიადაგს, რომელიც, არსებობდა, მათგანვე იღებდა მას.

1918 წელს დავით კავაძემ სამშობლოში დაბრუნდა. სანამ რუსეთში იყო, საქართველოს მხატვრულ ცხოვრებაში ბევრი რამ მნიშვნელოვანი მოხდა. კავაძემ, ცხადია, ყველაფერი იცოდა, რაკი საქართველოსთან მედნიე კონტაქტი ჰქონდა. თბილისში ნელ-ნელა თავს იყრდა ნიჭიერი ახალგაზრდობა — მხატვრები, რომელთაც განალოდა მოსკოვში, პეტერბურგსა და დასავლეთ ევროპაში მიღებს და ისინიც, ერისკე, თბილისშივე ჩამოყალიბდა. 1916 წელს დაარსდა „ქართველ მხატვართა საზოგადოება“ — ეს თავისთავად მნიშვნელოვანი და დამახასიათებელი მოვლენა იყო. მისი მთავად იყო მიიხსენიება დაბრუნებული დიმიტრი შვეარძელი, შემდგომი სურათების ეროვნული გალერეის დამფუძნებელი და პირველი დირექტორი, თეატრის მხატვარი და ეროვნული კულტურის ერთგული მოამაგე. დებულებაში ნათქვამი იყო, რომ საზოგადოება „არსდება ტელეონის იმ აზრით, რომ ხელი შეუწყოს: ა) მხატვართა, მოქანდაკეთა და ხელომთმოდებთა ურთიერთ შორის დაახლოება-დაკავშირებას, ბ) ქართველთა შორის ხელოვნების სხვადასხვა დარგის გავრცელებას, ე) აგრეთვე მკვლე ქართული ხელოვნების ნაშთების შეგროვებას, დაცვას და შესწავლას.“¹⁷

საზოგადოება აერთიანებდა სხვადასხვა თაობის და სხვადასხვა მიმართულების მხატვრებს (თუმცა მიმართულებები უფრო მკაფიოდ მოგვიჩინოვდა გამოქმედება) — იმ დროს მიზანი იყო ხელოვნების დარგში ერთგულად მძღვლის კონსოლიდაცია. იმავე 1916 წელს, მხატვართა საზოგადოებამ, საქართველოს საისტორიო და საეთნო-

გრაფიო საზოგადოებასთან ერთად, მოაწყო ექსპედიცია XV ს-ის კელის მხატვრობის პირების გადმოსაგნად. საოველ ნაბახტევის ეკლესიაში. 1917 წელს ქართული მხატვრები მონაწილეობდნენ დიდ სამეცნიერო თესვ-დიციაში, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილმა მოაწყო ტოპოგრაფიკის ძეგლების შესასწავლად — ამ ექსპედიციის უმდიდრესი სამეცნიერო „ნაღველი“ უკვე საქვეყნოდ არის ცნობილი. შემოღობული ხელოვნებისადმი მხატვართა ინტერესის ამგვარი გავლივება, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა თქტობების რევოლუციის წინა წლებში, რომელთა ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი ეროვნული აღტყინებაც იყო: ხალხი ზომ დიდ ქარიშხალს მოელოდა.

ისევე, როგორც დავით კავაძე, სხვა ქართველი მხატვრებიც უფიქრდებოდნენ შემოღობული ხელოვნების პედ-იღებას, მისი თვითმოყოფადობის აღორძინებას, აფასებდნენ ძველი ქართული ხელოვნების მემკვიდრეობის როლს, მათაც აუღვებდა ეროვნული ფორმის პრობლე-მა და საერთოდ — მეტყველი, „ლიტერატურულობა-გან“ თავისუფალი ფორმის პრობლემა. მათ შორის ყვე-ლაზე ნიჭიერი იყო ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა რამო გუდიაშვილი (1918 წელს ოცდაათი წლის იყო), რომელმაც უკვე მიიყარა საზოგადოების ყურადღება გაბედული და უჩვეული სურათებით. ლადო დავითის პირადი მეგობარი და „მოკავშირე“ გახდა.

მაგრამ თბილისში მაშინ არა მარტო ქართველი მხატ-ვრები მუშაობდნენ: აქ იყვნენ რუსი ს. სუდეიკინი, სა-ქართველოში დაბადებული, დიდად ნიჭიერი სიგზზმუნდ ვალენსკი, რომელმაც შემდეგ დიდი სახელი მოიხვე-ჭა პოლინიუმში, ძმები ილია და კირილე ზნანცივიჩი, ა. ზალცმანი, რომელმაც საოპერო თეატრის ფარდა მოხატა, სომეხ მხატვრების მთელი ჯგუფი. ყველაში — ქართველნიც და არა ქართველნიც — მეგობრულად შეწყობილად ცხოვრობდნენ და იცუვრდნენ, თან მჭიდ-რო ურთიერთობა ჰქონდათ სხვადასხვა მიმართულების ახალგაზრდა მწერლებთან, რომელნიც მამინდელი საქა-რთველის მხატვრული ცხოვრების ყველაზე აქტიურ ძალას შეადგენდნენ. მათთან ერთად ხშირად მონაწილე-ობდნენ ლიტერატურულ-მხატვრულ შეხვედრებსა და დღესასწაულებში, გამოფენებში. ახალგაზრდების ყუ-რადღებას იზიდავდა და ცხოველ ინტერესს იწვევდა „პრიმიტივი“ ნიკო ფიროსმანი (რომელიც სწორედ იმ წელს გარდაიცვალა, როცა დავითი საქართველოში ჩამო-ვიდა), რომლის შემოქმედებამაც უშუალოდ თუ „არა-პირდაპირ“ გავლენა ახალგაზრდების შემოქ-მედებაზე. მათ იზიდავდა, უპირველეს ყოვლისა, ნიკოს ორგანულიადა, მისი სურათების ბუნებრივი ეროვნული ფორმა, რომელიც „შვინიდან“ იყო აღმოჩენილი (მა-შინ ის ზომ მწვავე პრობლემა იყო), რომ აღიარებდა ვიქტორ პრიმიტიული ხელოვნებით გატაცებაზე, რომელ-მაც საუკუნის დასაწყისში მთელი ეკუყანა მოიკვა.

და, კავაძე ჩამოსვლისთანავე ჩაერთო საერთო საქმი-ანობაში და საქართველო მხატვრული ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მონაწილე გახდა. მაშინ მან სამშობლოში ცოტა ხანი დასკო, მაგრამ სწორედ იმ წლებში შექმნა თავისი უმნიშვნელოვანესი, მხატვრულ-ლად მოპირფებული სურათები, მაშინ გამოიკეთა სა-

ბლოოდ მისი მკაფიო, განუმეორებელი მხატვრული ინდივიდუალობა. დავით ბეჭდავს წერილების სერიას ხელოვნების თეორიულ საკითხებზე (დამახასიათებელია მათი სათაურები: „ჩვენი გზა“, „თანამედროვე მხატვრობის გზა“, „ფორმა“), წერილებს ძველი თბილისის შესახებ, დასასრულს, წერილს ლენინარდო და ვინჩის გარდაცვალებიდან 400 წლის შესრულების გამო.¹⁸

1919 წელს დავით კაკაბაძე, ლალო გულიაშვილთან, კირილე ზდანევიჩთან, ვალიშევსკისა და სუდევიკონთან ერთად ხატავს კაფე „ქიბორჩის“ კედლებს — ეს კაფე, მწერართა, მხატვართა, მსახიობთა, ხელოვნების მოღვაწეთა თავმოყრის ადგილი, რუსთაველის თეატრის სარდაფში იყო მოთავსებული. დიდად სამწუხაროა, რომ ეს მხატვრობა, ქართული კულტურის გარკვეული საფეხურის საინტერესო ძეგლი, შექმნილი უნიკიურესი მხატვრების მიერ, უგუნურად იქნა მოსპობილი.¹⁹

მაგრამ 1919 წელს მიეკუთვნება ბევრად უფრო მნიშვნელოვანი მოვლენაც — ქართველ მხატვართა პირველი გამოფენა, რომელზედაც 15 მხატვრის 270 ნამუშევარი იყო წარმოდგენილი. მონაწილეთა შორის იყვნენ ახალი ქართული მხატვრობის პიონერები — გიგო გაბაშვილი, ალექსანდრე მრეველიშვილი, მისე თიძე, მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე, რომელნიც მაშინ არც ისე ხნიერი იყვნენ (ყველაზე უფროსი, გიგო გაბაშვილი — 57 წლისა), იყო უკვე გარდაცვლილი ნიკო ფიროსმანაშვილიც. მაგრამ არსებითად, მაინც ეს იყო ახალგაზრდობის „მასირებელი“ გამოსვლა, რომელმაც არასდროს ინტერესს გამოიწვია და სრულიად განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა: გამოფენა სამართლიანად იქნა შეფასებული, როგორც მნიშვნელოვანი საფეხური ეროვნული ხელოვნების აღორძინებისა და განვითარების გზაზე, როგორც დამამბედებელი „განაცხადი“ მომავლისათვის. და მართლაც, თუ გავიხსენებთ, რომ ეს იყო დავით კაკაბაძის, ლალო გულიაშვილის, ელენე ხელე

დიანისა და ვალერიან სიღამონ-ერისთავის ნამუშევარი, თუ პირველი ხაჯარო გამოფენა, შეიძლება ვთქვათ, რომ იმდენი დიდი გადაჭარბებით განზორციელდა. მაშინდელი პრესის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ (თბილისის ქართულსა და რუსულ გაზეთებში დაიბეჭდა ვახტანგ კოტეხიშვილის, მხატვარ სუდევიკინის, ცნობილი რუსი პოეტის სერგეი ფიროლევის წერილები), ყველაზე დიდი ყურადღება, ფიროსმანთან ერთად, მიიპყრეს კაკაბაძემ და გულიაშვილმა. ყველაწი ერთხმად აღნიშნავდნენ მათი შემოქმედების ეროვნულობას და ყველაწი უარყოფითად აფასებდნენ კაკაბაძის „ფუტურისტულ“ ნამუშევრებს (მაშ გამოაფინა 1913-1919 წლების 49 ნამუშევარი: ფერწერა — პორტრეტები, ნატურმორტი, „დასაფლავება იმერეთში“, პეიზაჟები; ნახატები — იმერეთის პეიზაჟები, ძველი თბილისის ჩანახატები და სხვ.).

იმევე 1919 წელს დავით კაკაბაძე მიემგზავრება პარიზს. იქ სხვა ახალგაზრდა მხატვრებზე მიავლინეს ლალო გულიაშვილი, შალვა ჩქიძე, ელენე ახვლედიანი, ქეთო მელაშვილი, მიხეილ ბილაშვილი, რომელთაც პარიზში თავისებური ქართული მხატვრული კოლონია შეადგინეს. საფრანგეთში წასვლაზე დავითი დიდხანა ოცნებობდა — ამის შესახებ იგი ჯერ კიდევ პეტერბურგში ყოფნისას წერდა მამას. საინტერესოა: მამამისი, უსწავლელი გლეხი, მაგრამ გონიერი და, როგორც ჩანს, ნაიტიხი კაცი, შვილს ეეთხება, რატომ გსურს მანცადამიან საფრანგეთში წასვლა, მე ვაბრაშობი, რომ ხელმეფენას იტალიაში ასწავლიაო. დავითი უპასუხებს: ასე მხოლოდ წინათ იყო, ახლა კი მხატვრობის ცენტრი პარიზიაო.

საფრანგეთში გამგზავრებით მთავრდება პირველი. პეტერბურგში დაწყებული, პერიოდი დავით კაკაბაძის შემოქმედებისა. და თუმცა ოცდაათი წლის დავითი, ისევე, როგორც მისი ამხანაგები, საფრანგეთს „დახელოვნებისათვის“ მიემგზავრებოდა, შეიძლება თამამად ითქვას, რომ იმ დროს იგი უკვე სავსებით ჩამოყალიბებული დიდი მხატვარი იყო. უფრო მეტიც: მიუხედავად იმისა, რომ მან ამის შემდეგაც ბევრი ღირსშესანიშნავი ნაწარმოები შექმნა, ხოლო საფრანგეთში ყოფნისას აბსტრაქტული ხელოვნების მიმდევართა შორის თვალსაჩინო ადვილი დამკვიდრა, უმთავრესი, არსებითი და განუმეორებელი, სწორედ „კაკაბაძისეული“. მას უკვე ნათქვამი ჰქონდა.

როგორც იყო შე ოქმელებითი ველსა და ი პირველი პერიოდი, რომელიც — მაქვს თქვამის — წლებს არ ჩათვლით — სულ 7-8 წელია, მაგრამ ბაზა? როგორც უკვე აღვნიშნეთ, რომ ელენე, რომელიც ესკიზის გამოკლებით. დავით კაკაბაძე, რომელიც მნია მრავალფეროვანი, თხრობითი კომპოზიციონერის მას მიაჩნდა, რომ მათი დრო უკვე გასული იყო მხატვრობაში თხრობა წარსულს ჩ ბარდა (ჩვენ დავით კაკაბაძე კიდევ მისი სიტყვებით). ფუტურისტული „დასაფლავება იმერეთში“, თუმცა კი მას სილუეტი აქვს, რა თქმა უნდა, სრულიად „თავისუფალია“ მოთხრობისაგან.

მხატვარს ორა მთავარი თემა აქვს: პორტრეტი და პეიზაჟი. პირველი ამთავანი — ეს უკვე ითქვა — მთლიანად ამოიწურება პირველსავე პერიოდში. განცალკევებ-



თბილისი. 1918

ბით დგას „იმერული ნატურ-მორტი“. გრაფიკაში დავითი გარკვეულ ადგილს უთმობს ორნამენტულ კომპოზიციებს: როგორც ჩანს, მას იზიდავდა ორნამენტის აგების გარკვეულ კანონზომიერებათა ძიება.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ 1911-1912 წლებში ფანქრით და აკვარელით შესრულებული მცირე პორტრეტები, რომელთაც აკადემიური ფუნქცია ჰქონდათ, ისეთივას არ იწვევენ. ორიგინალობით არ გამოირჩევა არც „მეგობრის პორტრეტი“ (1913). ეს პატარა ეტიუდია, ცხოველხატული მანერით შესრულებული სწრაფი და ფაოთით მონასმებით, რაც იმ დროის ბევრ რუს მხატვრას ახასიათებდა.

გაკილებით უფრო სანტერესოა იმავე 1913 წლით დათარიღებული უჩვეულო „ავტოპორტრეტი სარკესთან“. მას პირობით ვუწოდებთ ასე, რადგანაც მხატვარი აქ მარტო თავის თავს კი არ გვიჩვენებს, არამედ იმ სარკის ნაწილსაც, რომელშიც მისი სახე ჩანს. სარკე ოდნავ დაქანებულია, ამიტომ მისი ჩარჩოს ორი ხაზივით მხარე არ არის სურათის კიდეების პარალელური. ეს ამხვილებს კომპოზიციას, თუმცა კი არ ართლებს მას. აქ არ არის ხაზებისა და სიბრტყეების რაიმე გადაკვეთა, პირიქით, პორტრეტის აღნაგობა მარტივია და — მისივე სხვა ავტოპორტრეტებისაგან განსხვავებით — უშუალოა. ინარჩუნებს ეტიუდის სიხალსეს. წელზევით გამოსახული და მკურებელთან სულ ახლო ოჯდომი მხატვარი ნაჩვენებია მისივე გარემოში, მის უკან ოთახის კუთხვა, ჩანს კაღრის მიერ გარკვეული კარი და სარკემკელი, ხის უბრალო მაგიდა, კედელზე დაკიდული წიგნიანი თარო. უკვლავური გადმოცემული სწრაფი, მარჯვე მონასმებით, მსუბუქად და გამჭვირვალედ, თითქოს მხატვარი ოდნავ ეხებოდა ფუხებით ტილოს, რომელიც არა მარტო გამოსკვივის აქა-იქ, არამედ ზოგან ხელხებულადაც არის დატოვებული — მისი რუხი ფერი ორგანულად ერთვის საერთო რუხ-მომავლის გამას, რომლის ფონზეც მკაფიოდ გამოიყოფა თეთრი და მონაცისფრო მონასმებით დაწერილი პერანგი. სახე ძალიან ლაკონურად არის შესრულებული, თვლები კი მამინვე იყრობუნე ყურადღებას დაძაბული, ჩამტერებული მჭრით. დაკვირვების სიმახვილე, უმთავრესის დანახვის უნარი, გრაფიკული მკაფიობა — ეს უკვე კვაკვაბი-სეული თვისებებია, მაგრამ თავისი საერთო ხასიათით, პასტოზური ფერწერით (თუმცა ეს აქ ნაკლებ შესამჩნევია, ვიდრე „მეგობრის პორტრეტში“), პორტრეტი მაინც კვაკვაბისწინაა პერიოდს მიეკუთვნება. მარტო იმიტომ კი არა, რომ იგი „ნატურალურია“ და ეტიუდის ხასიათს ინარჩუნებს, არამედ შუქის გადმოცემის მხრივაც: ნაჩვენებია მისი წყარო — გაკაშკაშებული სარკმელი, საღიანაც ოთახში „იღვრება“ და საგნებს ვარს ეკლებს მზის სინათლე. ნაჩვენებია ბლოკები, ვარდნილი ჩრდილები — შემდეგში მხატვარი უქუაგდებს ყველა ამ ნიშანს.

მეორე ავტოპორტრეტი, ე. წ. „ავტოპორტრეტი ბროწეულით“, კვლავ 1913 წლისაა. ამოცანისადმი მიდგომა აქ სულ სხვაგვარია, რაც მოწმობს, რომ ოცდაათიხი წლის მხატვარი განაგრძობდა დაეცნობა...
სწორად ამ ძიებათა გავომეღვებას კვლავ...
სწორად ამ ძიებათა გავომეღვებას კვლავ...



გივიანი ქოთლი გზით. 1918

1917 წლის, ავტოპორტრეტი — ეს ორი ნამუშევარი ყველაზე უფრო ორგანულად ერთვის კვაკვაბის ფედაღმით გახეთქების ძიოთად ხასს.

უპირველეს ყოვლისა: ეს უკვე ნატურით შესრულებული ეტიუდები კი არ არის, არამედ წინასწარ შემუშავებული აროგამის თახხბად ავეტული „ფოსტოურეტილი“ სურათებია. თუ მათი წიხაპების ძიებას დავიყუებთ, აღმოვაჩნებთ, რომ ეს რემბრანდტის ავტოპორტრეტი კი არ იქნება, არამედ დიორერის და პუსენისა („ჟუსაიტიტი“). აღარავითარი იხტიურობა და „მინაულოობა“, ყოფითობის, ყოველდღიუობის ნატამალიც აღარ დარჩებია. თუ „სარკის ავტოპორტრეტი“ თითქოს „თავისთვის“ იყო შესრულებული, უბრეტეხნოოდ, მხატვრის მდგომარეობისა და ხელის მიუხიხნებლად, ამ ორ ახალ ავტოპორტრეტში შექმნილია სავსებეობი გარემო, რომელიც ვეგარძმონინებს, რომ ივეს წინაშე ხელოვნებასთან დაკავშირებულ კაცია (თუმცა კი მხატვრის „საწარმოო იარაღები“ ნაჩვენებ არ არის). თვით დახატული პიროვნებაც წარმოადგენს იათი. ეს მხატვარი ა, რომელიც აღსავსაყუთარი ღირსების გრძნობით, თავისი მაღალი დანიშნულების შეგნებით. მისი სახე მშველია, გამომტყველება — მინაჯანი რწმენისა და თვითდაჯერების მაჩვენებელია.

ავტოპორტრეტები დიდი ზომისა არ არის (დაახლ. ერთი მეტრის ფარგლებშია), ორივე ვერტიკალური ფორმატისაა. პირველი („ბროწეულით“) გიგურა ნაჩვენებია მუხლები ზემოთ, დიდად, თულ წინა პლანზე, ისე რომ აესებს კაღრის შუა ნაწილს. თუმცა ტანი სამი-მეოთხედით არის მობრუნებული, არ არის შთაბეჭდილება, რომ იგი სიღრმეში ვითარდებოდეს; პირიქით, ხალაის ქვედა ხაზის და იდაყვს ქვემოთ მოღუნული ხელის პირი-ზონტალების წყალობით, თიგურა სასურათო სიბრტყეშია ჩახატული. სიღრმე, სივრცე გადმოცემულია რამდენადმე ეგზოტრიკური პეიზაჟით, რომელიც თითქოს უპირისპირდება ფიგურას: დიდი, ამწვენებული ეხო, შორს ღობე და თალღუნა ჭიშკარი, ვიწრო გზა, რომელიც ეგრტიკალურად მიემართება ჭიშკრისაკენ და სიღრმეს უს-

ვამს ხაზს, პერსპექტივში ჩამწკრივებული კვიპაროსები, წინა პლანზე — ყვავილები, თავს ზემოთ კი, ზემო მარცხენა კუთხეში, ჩარჩოს გარედან შემოჭრილი, ბროწეულებით დახუნძლული ტოტი; ღობის ჩქით, სულ უკანა პლანზე, შორეული ქედები ერთიმეორის უკან.

მხატვრის მიზანია შექმნას გაწონასწორებული და დასრულებული კომპოზიცია: თავი მოთავსებულია ზუსტად სურათის შუა მონაკვეთში, ისე, რომ მის ორსვე მხარეს თანაბარი მანძილია დატოვებული; შარდლისა და ღობის პორტიონტალური ხაზები სურათს დასრულებს თანაბარ, ნაწილად ჰყოფს; ყვავილები თანაბარზომიერადაა განლაგებული; ბროწეულის ნაყოფთა სიმძიმე გაწონასწორებულია ქვიშარა და მისკენ მიმავალი გზით; მთების შვედი მოხაზულობა ასრულებს სურათის აღნაგობას. მუქი ფიგურა მკაფიო სილუეტად აღქმის ფონზე, რომელიც არც თვითონ არის ღია ფერისა.

1917 წლის ავტობიოგრაფიულ ფიგურა, არსებობდა, ამეგვარადვე დაყვანებული, ისიც სულ ახლია მაყურებელთან, მაგრამ ნაწევნებია წელზევით. იქვე, ფიგურის უკან, ყვავილებით შემოქმედი ფარდა, რომელსაც სურათის ორ მესამედზე მეტი უჭირავს, ხოლო მისი ზედაპირი სასურათო სიბრტყის პარალელია. მხოლოდ მარცხნივ არის დატოვებული ვიწრო შვეული ზოლი პენსიასათვის: ჩანს ტეხილი ბილიკის ორი მონაკვეთი, ერთადერთი წვერილი ხე, მთები და — მათ ზემოთ — მძიმე ღრუბელი. თუ „ბროწეულიან ავტობიოგრაფიულ“ მხატვარს აშკარად აინტერესებდა სივრცის გადმოცემა, აქ სიღრმე შეზღუდულია არა მარტო ფარდით, არამედ პენსიასის გადმოცემის ხასიათითაც — იგი თითქმის ვერტიკალურ სიბრტყეზე იშლება.

აშკარა სტრუქტურულობა აქ უფრო მეტდაც კი იგრძნობა, ვიდრე წინა ავტობიოგრაფიულ — ყველაფერი გაწონასწორებულია ვერტიკალუბითა და კონსტრუქციულობით (ხელებისა და ჭიბების ხაზები, ფარდა, ხე, ღრუბელი. ფარდის საწაქულების რიტმული განლაგება.) ყველა კონსტრუქციული მკაფიოა, ყველა თვითდას ბოლომდე იკითხება; ფიგურა თითქმის დადებულია ფონზე. კომპოზიცია უფრო ლაკონიური და განზოგადებულია, ნაკლებია დეტალი, დაწაფერება. ფიგურის პოზაცია ნაკლებ ხელოვნურია, ვიდრე „ბროწეულიან ავტობიოგრაფიულ“, უფრო შვედია; აღარ არის პირობითი ექვსი — პარჯენა ხელის გაწვდილი თითი — ე. ი. მითვისი, რომელიც მას აშკარად შთაავსებს მისი საყვარელი ლეონარდო და ეინჩის სურათებში.

ორივე პორტრეტი ღრმად გააზრებულია კოლორიტის მხრივაც. „ბროწეულიან ავტობიოგრაფიულ“ ღილებშესხნილი მუქი ლურჯი ხალათი, რომლის ლაქი კიდევ უფრო ხაზგამსულია პერანგის თეთრად მოვლვარე ზოლი, შეხამებულია ბალახისა და პირველი მისი ღრმა მწვანე ფერთან, შორეული მთებისა და ცის მუქ ლურჯთან. და, თუმცა, ამ ფონში „ჩაკურთხულია“ ჰიპოკრისის, გზის, ცხვილებისა და ბროწეულების წითელ-ყავისფერი ტონი, სურათის მინც აღვიქვამთ, როგორც ლურჯ-მწვანე პარპინიას. აქ უკვე სრული ძალით იჩინს თავს კაკაბაძის, როგორც კოლორისტის, დახვეწილი და შეუცდომელი გემოვნება, უნარი ღრმა, ოდნავ ყრუ ტონების

შეხამებით მიღწარი, მაგრამ თავშეკავებული ფერადი ვანი გამოს შემქნისა.

1917 წლის ავტობიოგრაფიულ მხატვარი მიზნად ისახავს შექმნას რუხისა და წითელ-აგურისფერი ტონების პარპინია, და იგი აქაც რაფინირებულ თანხმოვნებას აღწევს.

კიდევ ერთი არსებობა თვისება ანათესავებს ამ ორ პორტრეტს — მათი დეკორაციულობა: კაკაბაძეს სამართლიანად მიიჩნდა, რომ ქართული ხელოვნებისათვის ნიშანდობლივია არა მარტო „კლასიკური“ აღნაგობა, გრავიულობა, ხაზობრივი მკაფიობა, არამედ დეკორაციულობაც. მაგრამ ადვილი შესაძენებია, რომ ავტობიოგრაფებში დეკორაციულობა საუკუნით ორგანული არ არის, იგი თითქმის გარედანაა „შედანილი“ სურათში. დეკორაციულობა ფონები და არა თვით ფიგურები. „ბროწეულიან ავტობიოგრაფიულ“ ფონი შთაავნებულია გვიანი ქართული მინიატურებით, რომლებსაც ირანული ვალენა ეტყობა (ეს შემოხვევითი არ არის: კაკაბაძე საგანგებოდ აღნიშნავდა ქართული ხელოვნების კავშირს აღმოსავლურთან, მაგრამ ასეთი „ორიენტალიზმი“ და, მით უფრო, ციტრებისათვის აღარაფერსაც არ მივითავს); 1917 წლის ავტობიოგრაფიულ დეკორაციულობა არა მარტო ყვავილებით მორთული ფარდა, არამედ პენსიაც — კაშვანა წითელი გზა და ღრუბელი, ხის ორნამენტული სილუეტი. ამ ავტობიოგრაფიულ ფარდას ხედება ისიც, რომ ფიგურა და ფონი განსაჯებულიად არის დაწერილი: ფონი (ფარდა, პენსა) შედგენილია ბრტყული ფერადიანი ლექებით, მოცულობისა და სპეციფიკური ფაქტურის გარეშე, ფიგურა კი მოცულობითაა, სიმძიმის მქონე, პლასტიკურად დამუშავებული — ლამაზი რუხი-მომწვანე ფერის ხალათი (ფარდის წითელ ფონზე) ვასაოცრად მკერვია ფერწერის მხრივ, იშვიათი ოსტატობით არის მიოდელირებული ხელი.

განათება ორივე პორტრეტში თანაბარზომიერია. მუქის წყარო მუნიშვნელოვანია. არ არის არც სხივებით „გაულებილი“ ჰაეროვანი ვარემო, სახეების მუქ-ჩრდილით მოდელირება რბილია, მკვეთრ დაპირისპირებათა გარეშე. სურათები ძალიან ბეჭითად არის დაწერილი, აღარ დარჩა აღარავითარი კვალი წინანდელი „ფართო“ მანერისა და „რელიეფური“ მონაშებისა — ზედაპირი გლუვია.

ორივე პორტრეტი გვიზიდავს შინაგანი მნიშვნელოვნებით, შინაარსის სიღრმით — ესეც დამახასიათებელი თვისებაა კაკაბაძის მომწიფებულ ხელოვნებისა, ხოლო „ბროწეულიან ავტობიოგრაფიულ“ — არ ვიცი, სურდა თუ არა ეს ავტორს — ერთგვარი რომანტიკულობაც ახასიათებს.

1914 წელს მიეკუთვნება დედისა და მამის პორტრეტები, რომელთა რეპროდუქციები, რამდენადაც ვიცი, არასოდეს არ გამოქვეყნებულა. ამიტომ ორივე ნაკლებად არის ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის. როგორც ჩანს, პორტრეტები შესრულებულია საზოგადოებრივად აღადგების დროს, როცა დავითი სჭარბოვდა მისი ჩამოდიდა. ორივე ძალიან ჩამუქებულია დაბრუნებისა.



მამის პორტრეტი თითქმის კვადრატულია (120 X 102 სმ). ტილოს შუა ნაწილში მოქცეულია გუმბათი შეგზობიანი მამაკაცის ფიგურა en face. როგორც კაკაბაძის ყველა პორტრეტში, იგი სასურათო სიბრტყესთან სულ ახლოა მიწეული. ეს ცხოვრების გამოცდილებით დამძიმებული კაცის სახეა; მისი თვალები მშვიდად, ყურადღებით გვაკვირდება. სურათი ყოველგვარი პირობითობის გარეშეა დაწერილი, საესებით „ნატურალურად“. ბუნებრივად არის გადმოცემული მგზზე გარუქული სახის ფერი. ფონი მთლიანად მუქი მწვანეა, სურათი ქვემო ნაწილში გულუბნა, არაფერს არ გამოსახავს (ეს ნაწილი მხატვარმა მოგვიანებით შეცვალა და შესაძლებელია, ვერც მოსაწერს დამთავრება); ზემო ნაწილში ჩანს პატარა, საქმაოდ პირობითი მოხაზულობის ხეობი, რომლებიც თითქმის ჩარჭობილია მიწაში, მთების ხაზი ახლი ორი სულ პატარა კაშკაშა წითელი ლაქა — სახლის სახურავი და ძველი ციხე. მაგრამ მთავარი ის არის, რომ მთელი ფიგურის გარშემო, წინა პლანზე, ნაყოფით დამძიმებული ტოტები იგრძნობა. მათ, რა თქმა უნდა, აზრობრივი მნიშვნელობა აქვთ, რაკი გამოსახული პიროვნება თავისი ფესვებით მიწას, ბუნებას უკავშირდება, მაგრამ ტოტების განლაგება სურათის სიბრტყეზე აშკარად მეტყველებს, რომ მათ დეკორაციული ფუნქციაც ეკისრებათ, ისევე, როგორც სახურავისა და ციხის პირობითად შერჩეულ წითელ ლაქებს. და, აი, აქ თვალს ხედება ერთგვარი შეუსაბამო მასიურ, საესებით მატერიალურ და მიწიერ ფიგურასა და დეკორაციული ელემენტების პირობითობას შორის, თუმცა, ეს ელემენტებიც რეალურად, მატერიალურად არის გადმოცემული. ეტყობა, თვით დ. კაკაბაძე საესებით კმაყოფილი არ იყო ამ თავისი ნამუშევრისა, რაკი მისი ცალკეული ნაწილის გადაწერა განიზრახა.

დედის პორტრეტი, აგრეთვე მოზრდილი ზომისა და აგრეთვე თითქმის კვადრატული, წარმოგვიდგენს ქალს პროფილში, რომელსაც თითისტარი უჭირავს და არათავს. მის თითქმის ერთგვარი მოსამზადებელი სავეცხურია, „მიახლოება“ იმ სურათთან, რომელსაც „იმერეთი — დედაჩემი“ ეწოდება და რომელსაც მთავრდება კაკაბაძისეული პორტრეტების ციკლი.

4 თუ კაკაბაძეს არც უნახავს „ვირის კუნძულის“ ეროდერიო გერაძე, რომელიც 1912 წ. მოეწყო მისთვის, „საქმის ურსის“ ინტენდენტი, რადგანაც კარგად იცნობდა ზოგიერთ „ვირის კუნძულს“; საქართველოში დაბადებულ კირილე ზდანევის, მიხილ ლენდარტს; დავითს მთთან ზოგი რამ საერთო ჰქონდა შემოქმედებითი პრინციპების მხრივაც, მაგრამ, ამას გარდა, მათ ახლოობდა საერთო ინტერესი ნიკო ფროსტმანისადმი, რომლის აღმოჩენასა და პოპულარიზაციაში უმთავრესი როლი შესარტულეს ძმებმა ზდანევიჩებმა და ლენდარტებმა, მათ შემდეგ კი დავით კაკაბაძემაც; ფროსტმანის მიმართ დიდ ყურადღებას იჩენდა მიხილ ლაბინოვიც.

5 რ. მებრეველი. იქვე.

6 ჩვენ ვეხებით დავით კაკაბაძის ნაწერთა მხოლოდ მცირე ნაწილს. დაწერილებით იხ. ვასტონ ბუაჩიძის ნარკვევი „დავით კაკაბაძე“; ეურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1975 წ. №№ 10, 11, 12. არაუბოლოდ, დავით კაკაბაძე პირველი ავტორი იყო, რომელიც ქართულ ენაზე პროფესიულად წერდა ხელოვნების შესახებ. ამით აიხსნება, რომ მას უხდებოდა საუბარი საყოველთაოდ ცნობილი ფაქტებისა და საკითხების შესახებ, აგრეთვე, ისიც, რომ ზოგი ტერმინი მოკლებულია სიზუსტეს. ეს საესებით ბუნებრივია — მაშინ ხომ ქართული ტერმინოლოგია დიდდგენილი იყო.

7 „დავით კაკაბაძე“. ალბომი. შესავალი წერილი ლ. რჩეულიშვილისა. თბ., 1966, გვ. 13.

8 „პარიზი, 1920—23 წლები“. გვ. 22.

9 „პარიზი, 1920—23 წლები“. გვ. 18.

10 სურათის პრინციპი: ეურნ. „შვიდი მნათობი“, 1919, № 1, გვ. 149—150.

11 თანამედროვე მხატვრობის გზა: ეურნ. „შვიდი მნათობი“, 1919, № 2, გვ. 113.

12 ჩვენს გზა: ეურნ. „შვიდი მნათობი“, 1919, № 1, გვ. 145—147.

13 დ. კაკაბაძე. ხელოვნება და სივრცე. პარიზი, 1924-25 წლები. 1926, გვ. 15-17.

14 პარიზი. 1920-27. დ. კაკაბაძის სურათების გამოფენა. თბილისი, მინი. 1928.

15 პარიზი. 1920-23 წლები. გვ. 11.

16 დ. კაკაბაძე. ხელოვნება და სივრცე, გვ. 20.

17 წესდება ქართველ ხელოვანთა საზოგადოებისა. თბ., 1916, გვ. 3.

18 იხ. ეურნ. „შვიდი მნათობი“, თბ., 1919, №№ 1, 2.

19 ნაწილობრივმა გაწმენდამ გამოაჩინა მხატვრობის ფრამგენტები. იქნებ, გაწმენდა თუ გაგრძელდა, უფრო მნიშვნელოვანი ნაწილებიც გამოჩნდეს?

შ ა ნ ი შ ხ ნ ა ბ :

1 მხოლოდ უფრო გვიან, XX ს. ათიან წლებში მოხე თითქვამოჩენს საგანგებო ინტერესს ფერისა და შუქის პრობლემებისადმი.

2 ვასილი კროტკოვი ოციან წლებში აქტიურად მონაწილეობდა თბილისის მხატვრულ ცხოვრებაში როგორც ფერმწერი და გრაფიკოსი, ასრულებდა ჩანახატებს გახეთქებისთვის (ნახატის კარგი ოსტატი იყო). მან გარკვეული კვალი დასტოვა ქართული საბჭოთა მხატვრობის განვითარებაში.

3 რ. მებრეველი. ივ. კვახიშვილი და ქართული კულტურის ზოგიერთი საკითხი. თბ., 1975, გვ. 149 და 150.

(დასასრულ შემდეგ ნომერში)

ქართული რევოლუციის ისტორიისათვის

ვასილ კიკნაძე

პროფ. სხვაობას იწვევს რევოლუციის გენეზისის საკითხის კი ცხადი უნდა იყოს, რომ რევოლუციის ფორმირების პროცესი დიფერენცირებულად უნდა განვიხილოთ, მკვეთრად არ უნდა გავმიჯნოთ განვითარების სხვადასხვა დონეს შორის წარმოქმნილი შეუსაბამობა. ვ. ი. ლენინის მითითება იმის შესახებ, რომ პიროვნების დამსახურება განისაზღვრება არა იმისა და მიხედვით თუ რა ვერ შექმნა მან დღევანდელთან შედარებით, არამედ რა გააკეთა წარსულისაგან განსხვავებით — საფუძვლად მივსვამთ რევოლუციასაც. ამ თვალსაზრისით ჩვენ საფუძვლად ლოკუტურად მივგაჩნია, თუ სადაღამო პროცესის ორგანიზაციის მეთაურს რევოლუციის ასტორიის სფეროში მოვაქცევთ. იგი თვითრთადა ერთად გაჩნდა და თანდათან მოხდა მისი პროფესიონალიზაცია. მან გაიარა ანტიკური პერიოდიდან მოყოლებით შუა საუკუნეები, აღორძინების ეპოქა და მხოლოდ ერთი საუკუნის წინ მიადწია პროფესიულ დამოუკიდებლობას. ფრანგებისათვის ეს არის ა. ანტუანის „თავისუფალი თეატრის“ დაბადების პერიოდი (1867 წ.), გერმანელებისათვის შეინიგელების თეატრის ჩამოყალიბება, რუსეთისათვის სამხატვრო თეატრის შექმნა, მაგრამ მათ წინ უძღვით რევოლუციის ფორმირების დიდი და რთული გზა.

როგორც აღვნიშნეთ, კლასიციზმის პრინციპები თავისებურად საინტერესო წინამძღვრებს ქმნიდა რევოლუციისათვის. სპექტაკლის მკაცრი ორგანიზაცია, ყველა დეტალის ზუსტი გა-

აზრება, დროსა და მოქმედების მთლიანობა, გარკვეულად ამაღლებდა დამდგმელის პროფესიულ დონეს, ზრდიდა მის ფუნქციას. ამ პერიოდის რუსულ თეატრში რევოლუციის მოვალეობას შემსრულებლად ჩნდება დასის ინსპექტორი, მის პარალელურად არის დადგმის ხელმძღვანელი, შემდეგ ისინი ერთიანდებიან და ანსახიერებენ რევოლუციის ფუნქციას. მე-19 საუკუნის მიწის მანძილზე რევოლუციის იურიდიული უფლებებით სარგებლობს პირველი მსახიობი რუსულ თეატრში მოღვაწეობდნენ ა. სუმარკოვი, ფ. ფოლკოვი, ა. ბასოლსკოი, მ. შნეპკინი, ე. ვორონოვი, ა. იაბლოჩკინა, ა. ლენკვი და სხვები, რომლებმაც არსებითად განსაზღვრეს რუსული რევოლუციის ხასიათი მე-19 საუკუნის ბოლომდე პრობლემები, რომელიც ამ ეპოქის პირველ მსახიობთა, რევოლუციონთა, დადგმის ორგანიზატორთა წინაშე იდგა, ძირითადად ამპლუის, ანსამბლის, სცენოგრაფიის სფეროს შეეხებოდა. იგი აერთიანებდა თეატრის სტილს, სარგებრეტუარო პოლიტიკისა და აქტიური გარდასახვის ურთულეს პერაპეტებს არსებითად იგივე პროცესები ხდება ქართულ თეატრშიც. საკითხი ეხება არა მერ ნიკოვ გამეორებას, არამედ თეატრის განვითარების საერთო კანონზომიერებას.

ქართული თეატრის რევოლუცია თავის პრაქტიკული და თეორიული განვითარების ახალ საფეხურს აღწევს მან-იან წლებში. ეს გასაგებია არის. მუდმივმოქმედი პროფესიული თეატრის შექმნა შეუძლებელი იქნებოდა, რომ მას თეორიული და ორგანიზაციული საფუძვლები არ ჰქონოდა (ცეონომიური თავის-

გაგრძელება. იხ. „საბჭოთა ხელოვნება“, № 9, 1979 წ.

მ. თუმანიშვილის, შემდეგ ილიას, ავაკის წერილებში... მზადის სთანადო წინამძღვრები იმისა, რომ... მწიგნობარულ დაუკმენველიყო პროფესიული თეატრი... მწიგნობარულ თეატრს სათავეში ყოფილა ნიჭიერი... მწიგნობარული მონზადებულყოფი უფრო ავად... მწიგნობარულ თეატრს პქონოდა „მინდინარე რეპერტუარი“. ბრძოლა გამოცხადებოდა სცენისმოყვარეთა ჩვევებს, პროფინციალიზმს. გამიჯდა ბრძოლა სასცენო მეტყველების სრულყოფისთვის, ენის სიწმინდის დასაცავად. წინა პლანზე წამოვიდა ანსამბლის პრობლემა, სპექტაკლის სცენოგრაფიის საკითხები. გაძლიერდა ყურადღება დრამის თეორიასა და მსახიობის ოსტატობის პრობლემაზე. ეყვალათ იეს არა მარტო თეატრი თვისი იბიტიკად იქცა, არამედ, უპირველესად თეატრალური პრაქტიკის ფორმაცხადდა. ორივე კი ურთიერთსიმოქმედობა და ხელის უწყობდა საერთოდ თეატრალური საქმიანობის განვითარებას.

კ. მესხი იგონებს: „1879 წ. გათავდა ჩვენი აქა-იქ ლოდა-ლი. სექტემბრის თვეში პირველი სეზონი გახსენით. ქართველი სასოგადოება, მწერლები, მოღვაწენი, ხალხი აღტაცებით მივლენდა ნორჩ დასსა¹. ასე რომ, ქართველი სასოგადოება მზად იყო კარგად შეეცნოთ თეატრის გახსნის ისტორიული მნიშვნელობა. თეატრს სჭირდებოდა რეჟისორ-ორგანიზატორი. „პირველი ზაფხულიერი თეატრი — წერს კ. მესხი — დ. ერისთავის ძემისი სამართარმზა და გადაკეთებინა ოთხი თუ ხუთი პიესა და ჩამოიტანა სცენისათვის. შეუდგით რეპერტოიებს და-იეთი თანსაბით დატარაილდა. მძროლს პრემიულს, იმ დემპორტისაგან მისაღებლად, მრთს ინტერნაციას სურნარება, გიმონს როლის ხსნიათს შესნიდა, მისამ მემარჯომს მიჰყავდა ღმტანსაცმელს სურნარება². (ხაზი ჩემია — გ. კ.) და შემდეგ...თავითი მიკად მგაცრი იყო, თუ ქართულ სტყევას დაამახინჯებდა ვინმე“.

ო. ერისთავის როორც დამდამლო რეჟისორს ყურადღება მი-ქცია. როლის ხასიათისათვის. მსახიობისათვის აუხნიდა. მწიგნობარულ თუ რუმული გვირი რას წარმოადგენს. ალბათ სა-უბარი იქნებოდა მის სოციალურ პუნქტაზეც. პიესის იდეურ მინარეთებაზე, დრამატურგის ჩანაფიქრზე. იმუნდა დეტალური დ კონკრეტული ყოფიდა რეჟისორის მუშაობა მსახიობთან, რომ როლის ინტენსივობის თავისებურებას აუხნიდა. მაშასადამე, ააორთითა თუ რომელ ხასიათს რა ხასის ინტენსივობა უფრო შიორებოდა. დამდამელს საგანგებო ყურადღება მიუქცევია სასცენო მეტაფორების საკითხისთვის, ქართულ თეატრს ხომ ძარბოლო ენის შინაგონის ისტორიული მისია პქონდა დაალოკ-პოლი. ამომ თეატრის რეჟისორები მას ამორჩეული ყურად-ღებას აქციოდნენ. არა მარტო დ. ერისთავი. არამედ სხვა ომომომლობიც. „მობად მგაცრები“ იყენენ, როცა ენის სიწმი-ნის ოხრობდა საქმე.

დ. ერისთავს რეპეტციების პარალელურად სადადგომ-ორ-განიხაციული ფუნქციე შეუსრულებია. „დეკორაციებს ანსა-უჯდა“. მსახიობებს „ტანსაცმელს ურჩევდაო“ — წერს კ. მეს-ხი. ამ დროისთვის ამგვარი რამ ბუნებრივც იყო. თეატრს არ ჰყავდა სთანადო ტექნიკური შესხონალი, ყველაფერი დამდამელს უნდა გაეკეთებინა, — მსახიობთა ტანსაცმელის მერეგავაზეც მას უნდა ვზრუნა ცხადია, აქ იგულისმება ორგანიზაციული მუშაობის არა ის ფორმა, რომელიც შემდეგ რეჟისურის ნაწილი გახდა, არამედ აქ ლაპარაკია წმინდა ორ-განიხაციებაზე, ტექნიკურ მხარეზე (თავის შემსრულებელი რომ უნდა ჰყავდეს).

ასე დიდიყო მდომივომედი პროფესიული თეატრის რეჟი-სურის ისტორია. ამ ერთ პატარა ფაქტშიაც ჩანს იმეამინდლი რეჟისურის საფიქრალი და სატკავარი. შესაძლია, ზოგი რამ აქ მარტივი, პრიმიტიული ფორმით იყოს გამოხატული, მაგ-რამ არც ეს არის შემთხვევითი. მაშინ, დიდებულ თეატრა-ლური პრინციპების (ტ. ტაბიძე) იყო მივლეს მსოფლიოში და არც ქართული თეატრი წარმოადგენდა გამონაკლისს. განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს თეატრის თეორიის სფე-როში. იგი უფრო მაღალ საფეხურზე დგას ვიდრე პრაქტი-კული რეჟისურა. ქართველ მწერალთა და მსახიობთა ნაა-რეგში მეტი სიღრმეა, მრავალმხრიობაა. უფრო მეტადაც იგ-რნობა აზროვნების ნაშტაბებში. ასე მაგალითად, ილია ჭავ-ჭავაძემ და აკაკი წერეთელმა, თითქმის ყოველმხრივ განიხი-ლის რეჟისურის სფეროსთან დაკავშირებული პრობლემები. თანდარბოლების დონეზე გააანალიზეს ქართულ თეატრში მიმ-დინარე პროცესები. რეალისტური თეატრის პრინციპებიდან შე-აფასეს მისი ავტორგანობა. მათ უდიდესი როლი შეასრულეს ქართული რეალისტური თეატრის ფორმირებაში.

რეჟისურა ამორჩეული ყურადღებით ეკიდება სასცენო მეტ-ყველების საკითხებს.

ილია ჭავჭავაძე სვიმონ ლეონიძის მეტყველების შესახებ წერდა: „...სვიმონ ლეონიძის დიდ-ბუნებოგანობის ზარი მიე-ლის თახის ძალმომრებობით იგრნოს მივლამ სკოლა და მყუ-რობობისადა დ იმოდინად გაიანაა ყველამ კური, ბ-ნ გამწი-ლიძისაგან თქმული ლეგანს, ადთქმა, ადთქმა არ დაიყრი-ადთქმა“ — გასაეალ კარგში ხმადაბლად, თითქმის ჩუქ-ჩულით თქმული, მოფინა მივლად დარბას თეატრისას თავი-დან პოლომდე.

მაშასადამე, მხატვრული სახის შექმნაში დიდი როლი შე-უსრულებია მეტყველებას. დ. ერისთავი ხომ არავის არ აპაკი-ნბდა ქართული მეტყველების შებლავას, რეპერტოიებზე გან-საკუთრებულ ყურადღებას აქცივდა მეტყველებას.

როცა საკითხი სცენური რეალიზმის პრობლემა ისება, ჩვენ ავლად და ვლავ ვაჯიონდება სცენა „კამილიტონას“, „ათხობთ, ეს ლექსი ისე წარმოსთქვა, როგორც მე თვითონ გავჩენე, თავისუფლბით და ჩალა-დაუკანებოდა. ნაგრამ თუ ენით ახირობო მორთა, როგორც ზოგიერთ ჩვენს აქტიორებს ზნოა სჭირთ, სჯობს, ჩემი ლექსები ქუჩის გზირს გათქმევი-ნო“. შემდეგ არიგებს მსახიობებს თუ როგორ წარმოსთქვას

¹ მე ხი. „სტუდენტება“, 1933, გვ. 38.
² იქვე.



სიტყვა, როგორ იმოქმედოს აზრის გამიხატვის დროს. „ნუ გააპაბო პაერს, აი ასე, ხელეღბის ქველი და სიწყნარით მოაქმეც, ნურც ძალიან მოღუნდები და შენაჲე გონიერება მრგველად იყოლიე მოქმედება სიტყვას შეუფერებ და სიტყვა მოქმედებას“. განა ილიაც სწორედ ამგვარ ბუნებრიობაზე არ მიუთითებს? შეხედულებათა თანამისხვევა იმის მანიშნებელია, რომ დიდი რეალისტები ხშირად ერთნაირი მნიშვნელობით იასურებენ მხატვრულ სახეებს. მათი უხედელოებას ეტება არა მარტო მსახიობის ხელოვნებას, არამედ ეს არის ზუსტი რეჟისორული ამოცანაც, რომელიც ყველა დროის რეჟისორების არის საინიშუმო. ასე მასტრატებურად, ღრმად და საინტერესოდ გამოხატა ილიამ გამყრდილობის მხატვრული სახის ბუნება, ამავე დროს მასში გამოჩნდა რეალისტური რეჟისორული აზროვნება.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ რეჟისურას დიდხანს სტანჯავდა რეპეტიციების სიმძივრის პრობლემა. ვერობის თეატრებმა დიდი ხნით ჩამოიტყვეს ის დრო, როცა წარმოდგენებს სხვადასხვოდ მართავდნენ. ხუთიოდე რეპეტიციით მოხსნავდნენ სპექტაკლს მუდამ თანადგედა თავისი აქილევსის ქუსლიც. სხვა რომ არ იყოს, ზოგჯერ როლების შესწავლასაც კი ვერ ასწრებდნენ. საჭირო იყო ქართულ რეჟისურას ბერძნულამ ამ მოვლენის წინააღმდეგ. არც ეს მომენტი გამოჩნდა ილიას მხედველობიდან.

ილიას აზრით ქართული თეატრის სპეციფიური პრობემით აიხსნებოდა ისიც, რომ ქართველ მსახიობებს ხშირად მოკლე დროში უხდებოდათ როლების მოწადეობა. ილია ჭაჭკაძეაძემ კარგად იცნადა თუ როგორ იყო ამ მხრივ ვერობის მსახიობთა მდგომარეობა. ქართველი მსახიობები, „ერთნი და იგიენი კვირაში ერთხელ სულ სხვადასხვა პიესებს ამსადებდნენ“. ხანდობან კვირათ სულ ორჯერად და მერე კა რიგად კამაშობენა ის რომ უთხრათ ვისმეს ვერობებს, არ დაიჯერებს. თუ რომელი არტისტი გაპბედავს სცენაზე გამოვიდეს რომ ათი და ოცი რეპეტიცია მაინც არ გამოიაროს, სულ ცოტა ორი და სამი თვე არ ემსახურა“.

ილია ჭაჭკაძეაძემ იცის ყოველივე ეს და მაინც უკომპრომიოსოდ იხილავს მსახიობთა ნაღვაწსა და ნაშაგარს, მათი შემოქმედების შუქრდრილებს. ბრძენ კაცს არც ის ავიწყდება, რომ მსახიობმა როლი კარგად უნდა დისწავლოს, შეისწავლოს როლის.

ამვე საკითხს შეიხი კ. მესხის, როგორც რეჟისორის მოსწონს ფანჯერული თეატრის გულმოდიგენ და ხანგრძლივი მუშაობა პიესაზე. მსახიობები დიდხანს ამსადებენ როლს. მისი აზრით ამას უპირატესი მნიშვნელობა აქვს წარმოდგენის დადგმისას. როლის ცოდნა სცენური ყურადღების პრობლემასთან, პარტნიორთან ურთიერთობასთან და საერთოდ სპექტაკლის ბედიან არის დაკავშირებული. ყურადღების გარეშე ვერ შეიქმნება ნამდვილი მხატვრული სახე. ვერ დამყარდება შემოქმედებითი ატმოსფერო. ამიტომ კ. მესხის მართებულად თვლის, რომ „როლების ცოდნას ყველაზე უპირატესი მნიშვნელობა აქვს სცენაზე. ერთმა მოთამაშემ რომ არ იცოდეს როლი, შეუძლია ყველა აქტიორის თამაშისა და პიესის ჩაფუშვა. ამას ვარდა, თუ აქტიორმა როლი იცის, იმას შეუძლია ნიადაგში თამაშში იშ პრა მარტომ მაშინ, რომ სხვამც თმითინ ლაპარაკობს“ (ხაზი ჩვენია — ვ. კ.). როგორც ზუსტი რეჟისორული შენიშვნაა. „სიწუმის თამაშის“ ხელოვნება

ხომ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მომენტად იქცევა. შემოქმედრობის რეჟისურისათვის!

კ. მესხი არსებითად ეტება ანსამბლიან პრობლემას. მსახიობის უსიტყვოდ მოქმედების, სცენაზე ცხოვრების საკითხის ეს რეჟისურის კარდინალური პრობლემებია. რა მნიშვნელობა აქვს ამ შემთხვევაში პროფესიულ ტრენინგოლოგიას! მთავარია საკითხის თვით არსი. კ. მესხი წერდა: „როდესაც ვინმე გელაპარაკება საინტერესოს და საჭირო საქმეზე შენ იმას თვალეში შესცქერიხარ, სახესზე გეტყობა — თუ შენთვის საინტერესოს ის საკანი თუ კი ნამდვილი ასეა, რატომ თეატრშია აკარ უნდა იყოს ევრო?“

ჩვენ აქვე უნდა გავისხიოთ ნ. გორჩაკოვის სიტყვები, რომელიც კ. სტანისლავსკის რეპეტიციაზე მოუხმენია: „დუმილი, რომელიც თვალდით ისევე მიტყველებს, როგორც ხმახალა წარმართქული სიტყვა“. ორივე შემთხვევაში ერთნაირი რეჟისორული მოთხოვნაა, თავისთავად კი კ. მესხის რეჟისორული პროფესიონალიზმის, მისი აზროვნების მაღალი დონის დასაბუთება. რეჟისორული ხელოვნების წარმოქმნამდე ნიჭიერმა მსახიობებმა კარგად იცოდნენ ყოველვე, ისინი ინტუიციით, თავიანთი ბუნების კარნახით აკეთებდნენ იმას, რაც შემდეგ რეჟისორთა ვიწვნითა და სარეპეტიციო გარემოთ მიიღწეოდა. ყველაფერი, რაც სცენაზე ხდება, გაქნობიერება და საკუთარი სახელის დარქმევა, მაინც რეჟისორის სახლთან არის დაკავშირებული. კ. მესხის ზემოთ აღნიშნული ნააზრი იმის დასტურებია, რომ მსახიობებს უნდა ესწავლები „ყურადღების ხელოვნება“. პარტნიორისადმი უსაღვრო ყურადღება კი იმის ნიშნავს, რომ „ვერცაფერი მოქმედება შეგნით, ყველაფერი თავშეკავებულია, გაქნთილია აზრით, შინაარსით, ენა დაბეჭეულია. მიტყველებენ თვალეში“.

ნ. გორჩაკოვი, თანამედროვე რეჟისორის ტრენინგოლოგიით, პროფესიულ დინეზე წერს იმას, რასაც მრავალი მწიფი ადრე ამბობდა ილია და აკაკი, კ. მესხი და ლ. მესხიშვილი, ოღონდ ეს არის, მათ სიტყვებში ცოტაა თანამედროვე რეჟისორული ტრენინგოლოგია. ისინი ზოგჯერ ინტუიციის, მსახიობის ბუნების ცოდნის საშუალებით ამბობდნენ იმას, რაც ზოგჯერ მხოლოდ პროფესიონალ რეჟისორთა ნააზრებით მიიღწევა.

70-80-იანი წ. ქართველ მოღვაწეთა თეატრალურ ნააზრებში უპირატესი ადგილი უკავია თეატრის მხატვრული პოზიციის პრობლემას. წარმოდგენის დამდგემლის მიმართ წაყენებული ეს მოთხოვნა იმის მკაფიებელია, რომ მკვეთრად გაიზარდა იმ ადამიანის ფუნქცია, ვინც პასუხი უნდა აგოს სპექტაკლის პოზიციას. ეს იმასაც ნიშნავს, რომ დავაგ დრო, როცა აუცალკებელი გახდა წარმოდგენის ერთი მთლიანი გააზრება. ამას კი ვერავინ შესძლებს უკეთ თუ არა ის, ვინც სპექტაკლს ქმნის. ცხადია, იმეამდ რეჟისურა ჯერ კიდევ არ არის იმ ხარისხში, რომ წარმოდგენის ადგენის იმ პრინციპებს იყავდეს, როგორცდა დღევანდელი რეჟისურა იყავს, მაგრამ საწყისი პერათიანისთვის, რეჟისორული აზროვნების განვითარების მოქმედი ეტაპისათვის — რაც არის, ისიც უკვე დიდი მიღწევაა. რეჟისორი მოვალე იყო ზუსტად ისევე „დეტალთა

ნ. გორჩაკოვი, კ. სტანისლავსკის რეჟისორული გაკეთილები, „ხელოვნება“, 1962 წ., გვ. 405.



ნილოანობა“¹. მაკაფიო და საინტერესო და გამოესტა წარმო-
დგენის იდეური ჩანაფიქრი, მისი სოციალური ბუნება. ერის
თავაყაყბის ხომ თეატრიც ამისთვის უნდა იყოს. საექტაკლის
მხატვრულ პოზიციას უნდა გამოვლინოდა სათქმელი. ვა-
ნა მოხატვის ძირითადი საშუალება კი მსახიობი ვახლდათ, რე-
ჟისორი განსაზღვრული უფლებით სარგებლობდა სცენაზე.
ეგი ჯერ კიდევ არ იყო საუკუთო დამორჩილებული „რეჟისო-
რულ არტისტის“².

ილია ჭავჭავაძემ არა ერთხელ მიაქცია ამ საკითხს ყურად-
ღება. იგი არაფის არ აპატივდა სცენაზე წესობრივი იდეა-
ლის შეზღავნას, განზოგადებულ მსახიობთა ცალკეულ წარმუშებე-
ლობაში, იგი მუდამ იმას ეძებდა, მათში ხომ არ იყო რაიმე
წოვადი და კანონზომიერი, რაიც ქართული აქტიურობის სე-
ლოფენების ნაგებულ მაგვანიშნებდა? თუ არა ეს, — მამ რა
საწყისზე ანოცენდა ნაკლი, რამ განაპირობა იგი? ასე შეიძ-
ლება გაგრძელდეს კითხვათა რიგი, რომელიც ერისა და იმა-
ვის გვიდასტურებს; ილია ჭავჭავაძე თავისი დროის მოწინავე
პროფესიული თეატრალური ზრუნების დიდი წარმომადგე-
ნელი იყო და მას ჩინებულად ესმოდა მსახიობისა და რეჟისო-
რის სელოფენების როლი. „ვერ მოვიწონებთ თამაშობას ბ-ნს
საგაროებისა“³. ამბობს ერთ-ერთ წერილში. რატომ? იმიტომ,
რომ მან ერთ-ერთ გადმოქართულულ პიესაში („ცოლი —
მუღელა“⁴), მუღელის როლის განსახიობის დროს დახატა
ცუდი წნეობის ქალი, მაგრამ არ გვიჩვენა სოციალური საფუძ-
ვითი მორალისა. „იგი მსხვერპლია, — ამბობს ილია ავღ-
გაზრდილობისა და არა ძვილსა და რბილში გამაგრებ ავ-
წნეობისა“⁵. ამიტომ მკურებელში ეს ქალი ზონის იწვევს და
არა სიზარტულს. როლს ბუნება კი მოითხოვდა მაკურებლის
წინატესტს, გულისწყრმობას იმ სოციალური უკუღმართობის
პრობლემაზე. რომელსაც მკურებრი ქალი უნდა აცენდა. არა-
წიორად გააზრებულმა რომლამ ის შედეგი მოგვცა, რომ
„მსხვერპლს განდევნივდით იმ სასჯელს, რომელიც მემსხვერ-
პლის, მსხვერპლის მიზეზს უნდა გადახდომოდეს, აქ არ შეიძ-
ლება არ მოგავიწყდეს. კლდიაშვილის წერილი გუგარაინის
ქალისადმი. წერილში გამოთქმულია ზოგიერთი რჩევა „მსხვერ-
პლის“ დადგმასთან დაკავშირებით. „დალაპარაკეთ ფიგურა არა
როგორც მტარგალი, არამედ როგორც თვითონ მსხვერპლი,
ბნელი, გაწყალებული ცხოველის მსხვერპლი, დატანჯული, გა-
კაცებული, ერთი სიტყვით, იმის მიხივებული ვიქნები, რომ
მხატვრული სიბნელი იქნას გამოსახული და ის რომ მას
მსხვერპლად იწვევებს ადამიანი, ეგი ვაგაუბრებო, გულგა-
ვაგებულა ცხოველისაგან და არასოდეს ცუდი ადამიანი
არა“⁶.

თეატრისაგან „მხატვრული სიბნელი“ წინააღმდეგ ბრძო-
ლას მოითხოვდნენ ილია ჭავჭავაძე და დავით კლდიაშვილი —
მათი პირით კი მთელი კლასიკური მწერლობა. ორივე ფაქტი
საქტაკლის რეჟისორული გადაწყვიტის პრობლემა და თეატ-
რის მოქალაქეობრივი პოზიციის საკითხს ეხება.

ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა და სხვა მოადრეებმა
თავიანი შრომებით ნიადაგი შეუზრადეს რეჟისურას, მის და-
მოკუადებლობას შეუქმნეს ერთგვარი „იდეოლოგია“⁷, აღიარეს
რეჟისურის როლი, თეორიულად გაათვინეს მისი მნიშვნელობა
თეატრში. და ეს ყველაფერი იმდენად საუფიქლოანი იყო, იმ-
დენად ძლიერი მიძიე მისცეს მას, რომ მთოვე საუკუნის ქარ-
თული რეჟისურა „მთოვლი სტანდარტების“ იმონეზე
ამაღლდა. რეჟისურის ასეთ აღწევებაში თავისი წვლილი შე-

იტანეს ქართველმა მწერლებმა. ისინი ბევრს ფიქრობდნენ
თეატრზე, მის ყველა კომპონენტზე უფლისყურით: არცაქმნენ
თეატრალურ პრობლემებს საერთოდ და რეჟისურის საკით-
ხებს კერძოდ. ამ საერთო დინებას ორგანულად უერთდებო
ქართველ მწერალთა თეატრალური ნაწარვეც.

ილია ჭავჭავაძემ საუფიქლოად განიხილა რეჟისურის სა-
კითხები რა საკითხები უშუალოდ არის დაკავშირებული თე-
ატრალურ პრაქტიკასთან. ჩვენ ერთგან აღვნიშნეთ, რომ ილია
გულისკვიცილით თანაურდინებდა მსახიობებს, რომლებიც რე-
ჟისორის სიმცირის გამო ვერ ასწრებდნენ როლებს შესწავ-
ლას, მაგრამ ილია მაინც არ პატივდება მათ და „უხამს ჩვეუ-
ლებას“ უწოდებდა. ვან უნდა შეტრძობებოდა ამ მოგონებას?
საჭიროა ამ საგანს „სასტიკი ყურადღება მიაქციოს რეჟისო-
რისა“ — ამბობდა ილია. „იმიტომ, რომ ბევრია რეჟისორი მის-
პობს ამას“ დასკვნის იგი. მაშასადამე, საქმე ენება რეჟისო-
რის პასუხისმგებლობას. ხოლო ვისაც კონტროლისა და მით-
ხივნის უფლება აქვს, იგია ხელმძღვანელიც. ილიასათვის რე-
ჟისორი ის ადამიანია, რომელიც მოგვალე „სასტიკი ყურად-
ღება“ მიაქციოს მსახიობის პროფესიონალიზმს. ილია რო-
ლის გაუხპირებას როდო მოითხოვს, „მარტო სიტყვების გაუ-
პირება თუთოქმსაც შეუძლიან საქმე სიტყვის თქმის კილოს
ზოგანა“⁸. აი, საქ მაღალ შემოქმედებით მისიან აკისრებს
მსახიობს და მის ხელმძღვანელს რეჟისორს. საგულისხმოა ის
ფაქტი, რომ როლის გ. წ. „დაუპირებლ“ პრობლემა აწუხებ-
და სხვა მოღვაწეებაც, განსაკუთრებით კი რეჟისორებს.
კ. მუხის პსრით იუდი იყო, როცა მსახიობს შექანაყურად და-
უპირებულნი ქმნიდა როლი „თუ კი ცოტათი ლაპარაკი და
კითხვა შეუძლია აქტორის, — წერდა მუსხი — ის აზრანად
წაითხავს თავის ჩაუპირებულ როლს, დროზე შეჩერდება
და დროზე შეიცვლის კილოს, ხმას, ამაღლებს ტონსა და და-
ამაღლებს“⁹.

კ. მუხის მტკყარელების საკითხის რეალიზმის პრობლემას
უაგნიორებს, მაჩანია, რომ „თეატრული მოთამაშე ისე უნდა
შეიქცეს და ილაპარაკოს. როგორც ნამდვილ ცხოველებში მოქ-
მედებენ და ლაპარაკობენ თორემ თუ გამოიფონა სხვა კილო
ლაპარაკისა და დიწყო სცენიდან ღრინა, რასაკვირველია,
ნამდვილი ვერაფერს წარმოადგენს“¹⁰. ამავე საკითხს არა ერთ-
ხელ შეიხს აკაკი წერეთელი. აკაკის, როგორც რეჟისორის, მი-
აჩნდა, რომ სპექტაკლის წარმატება ბევრად იყო დამოკითხ-
ებული მტკყარელების კულტურაზე. საგულისხმოა ის ფაქტი,
რომ აკაკის რეჟისორულ დოქტრინაში¹¹. რომელიც ხუთი მუხ-
ისაგან შესდგებოდა. ერთ „გასპექტაკლებული“ ქართულით მტ-
კყარელებს ეხებოდა. აკაკი, როგორც თეატრის მსატვრული
ხელმძღვანელი, მსახიობებისაგან „გასპექტაკლებული ქართულის“
გარდა შემდეგ მოითხოვდა: 1. როლები გაუკეთებინა, რომ
ქარანახს (სუფლორის) იმდეთ აღარ იყოთ, 2. პიესების
მთავარი აზრის შეგნებას. 3. თავთავის როლები დაგვირე-
ბით შესწავლას. 4. რეჟისორის სურვილთან თქვენი სურვილის
შეთანხმებას, რომ აღარავინ სთქვას: „ეს დიდი როლია“, „ეს
პატარა“, „ეს შემშენისო“, „ეს არაო“, „ამას ვითამაშებ“,
„იმას არა“ — და ამგვარები. ხმელწინება მუხინიძეობა და

(გაგრძელება 44-ე გვერდზე)



ქ ე ბ ზ ლ ი ს
ქ მ ე ლ ე ნ ი - 2

თბილისის მეტროპოლიტენის
ახალი სარეკვი



ქ ზ ე კ ე თ ლ ი ს
ბ ე ზ ი რ ი



ქ მ ლ ი ტ ე ქ ე ს ე ჯ მ
ი რ ს ტ ი ტ ე უ ტ ი



ქ მ ე ჯ ე ჯ ი კ ე ლ ი



ე ე ლ ი ს ი






სადგურ „პოლიტექნიკურის“ პანო. მხატვრები რ. თორღია, ა. ხარებავა, ი. ტაბიძე.

დასრულდა თბილისის მეტროპოლიტენის მეორე რიგის მშენებლობა საბურთალოს მიმართულებით. სახელოვანმა მეტრომშენებლებმა ვადაზე ადრე ჩააყენეს მწუობრში ექსკლემეტრიანი ხაზი ზუთი სადგურით, რომელიც ფაქტობრივად მეტროს პირველი რიგის გაგრძელებაა, „დელისი“ — „კომკავშირელი“ — „პოლიტექნიკური ინსტიტუტი“ — „წერეთლის გამზირი“ — „ვაგლის მოედნის“ მეორე სადგური — მთელი ეს ტრასა მაღალი ზურთომოდერული, მხატვრული და სამშენებლო ღირსებებით გამოირჩევა.

მშენებლების, არქიტექტორების, მხატვრების შრომამ დედაქალაქს შემატა გრანდიოზული ნაგებობა, რომელიც ასე დიდ როლს შეასრულებს მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურების საქმეში.

ჩანართზე მარცხნივ: „ვაგლის მოედნის“ მეორე სადგური, — არქიტექტორი თ. კალანდაძე; სადგური „ა. წერეთლის გამზირი“ — არქიტექტორები: ვ. აბრამაშვილი, დ. მორბედაძე; სადგური „პოლიტექნიკური“ — არქიტექტორები — გ. მომანიშვილი, დ. იოსავა; სადგური „კომკავშირული“ — არქიტექტორები ნ. ლომიძე, გ. მომანიშვილი, დ. იოსავა; სადგური „დელისი“ — არქიტექტორი ნ. ლომიძე, მხატვარი თ. ცხომელიძე.



აკაკი წერეთლის პორტრეტი. მოქანდაკე ე. ამაშუკელი.

სადგურ „კომკავშირული“ პანო. მოქანდაკე ი. ტაბიძე.



შეზღვევებში კი თავისთავად დიდი ღვაწლი არ იმისა. (ხაზი ჩვენი — ვ. კ.).

აკაკის მოთხოვნათა ნუსხაში დასახლებული პირობები რეჟისურას აქტუალური პირობებში გახლდათ. მასში კარგად ჩანს თავისი დროის რეჟისურის მთავარი საზრუნავი. თუ ისტორიული ასპექტები განვიხილავთ მათ ნათელი გახდება, რომ ეს არის საკითხების წრე, რომელიც განსაკუთრებით აღვღვებდა ქართულ თეატრს. მასში იგულისხმებოდა არაერთხელ განხილული რეპერტუარის პირობები, რომელიც მოიცავდა ეროვნული დრამატურგიის განვითარების, უცხოური პიესების დადგმისა და მათი გადმოქართულების თეორიისა და პრაქტიკის ფართო წრეს. საგანგებო ანალიზის მოთხოვნს თითოეული საკითხი. ყოველ მათგანს არა მარტო ქართული თეატრის რეჟისურის შესწავლის შემსწავლელისათვის აქვს მნიშვნელობა, არამედ იგი აღძვსაც არ არის მოკლებული აქტუალობას. უფრო მეტიც. ზოგიერთი დღე ეღებება კვლავ რჩება რეჟისურის ძირითად პირობებზე.

აკაკი წერეთლისათვის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი იყო კარგი რეპერტუარი. პიესათა შერჩევაში უნდა გამოეყოფილიყო თეატრის მხატვრული ორიენტირი, მისი სოციალური ფუნქცია ილიასა და აკაკის მიერ განხილულ თეატრს დიდი როლზე. იგი ფუნქცია ჰქონდა და ბუნებრივია, რომ მისი გადაწყვეტილება შეუძლებელი იყო მაღალმხატვრული რეპერტუარის გარეშე. რეჟისორთა უპირველესი საზრუნავიც ეს იყო.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ თეატრული „კასპრეკაბიუტო“ ქართულით მიტყვევებისა და „როლებების გახუპირების“ შესახებ იქვე მიუთითეთ, რომ საკითხი რეჟისორის საგანგებო ზრუნვის საგანი იყო, რადგან იგი წარმოადგენდა მტკად მწვევი პირობებს. მის გადაწყვეტას უნდა მოჰყოლოდა რეჟისორის ავტორიტეტის ამაღლება. მისი მხატვრული ფუნქციის გაზრდა, არსებითად იგი მოასწავებდა ახალ საფეხურს ქართული რეჟისურის განვითარებაში. შემთხვევითი არ არის, რომ აკაკი როლების შესწავლის საკითხს უშუალოდ უკავშირებს „პიესების მთავარი არის შერჩევა“. მასხიბი უკვე მარტო თავის როლზე აღარ ფიქრობს. უკვე ცოტას ნიშნავს იცოდეს რომელი, მისი მოვალეობაა შეისწავლოს პიესის აკადრირება, დრამა ჩასწავლოს მის აზრს, რის თქმა უნდა დრამატურგს, რა პირობების სტაჟს თავისი პიესით, რა ჩანს იკუთვნის პიესა, — ყველაფერი ეს თეატრალური მოვლენის ერთი მხარეა. მეორე მხრეა საქმე ენება პიესის რეჟისორულ გადაწყვეტას. რამდენად სანტიმეტრისდ გამოხატავს იგი სცენაზე მწერლის ჩანაფიქრს, რა ფორმებით და დასწავლობით აკლენს თეატრის მხატვრულ პოზიციას. ეს არის დრამატული ნაწარმოების უბრალო ინტერპრეტაციიდან რეჟისორული აზროვნების სტრუქტურისაკენ სულა სულ უფრო და უფრო რთული ფორმები სდება პიესის დამდგმელი. აკაკი წერეთელმა იცის, რომ თანამედროვე თეატრს უკვე აღარ აკმაყოფილებს ის, რასაც იგი ათობდა ათი თუ ოცი წლის წინათ. თანდათან ისტორიას ბარბოტას ის დრო, როცა წარსულის ამსახველ დამდგმებში თითქმის ნივალურებელი იყო სხვადასხვა საუკუნეთა განსხვავებანი, მამინ როდესაც „ერთი საუკუნე მეორეს აღარა ჰგავს“. სცენა ვადლებულია, რომ სხვა და სხვა ისტორიული ეპოქის გააფართოვების დროს სინამდვილის არ უმტკუნოს“. აკაკი აქ პირველ რიგში წარმოდგენების სცენოგრაფიას გულისხმობს. მოთხოვნს სპექტაკლს მხატვრობის დროის ამდლებს. მან კარგად იცის, რომ ქართული სცენა დიდ გაჭირვებას განიც-

დის და ხშირად ისტორიული პიესის დადგმა „მოუხერხებელია სიღარიბის გამო“, მაგრამ პრობლემის გადაჭრის საშუალებლობა უკვე შეგნებული აქვს თეატრსაც და მაყურებელსაც. მიუხედავად ამისა, რომ პრაქტიკულად დიდი როლი ეკუთვნის მხატვრობას. აკაკი იმასაც აღნიშნავს, რომ ამ მხრივ ბევრად უკეთესი მდგომარეობა ევროპის თეატრებში.

აკაკი თავისად აყრტიკებს რეცეზენტებს, რომელთაც „სულიერი მოძრაობა და ხორციელი კონტრუსი უფრ გაურწყევია“ და რეჟისორს კი აქებენ. აკაკი რეჟისორისაგან მოითხოვს: თვითმზრუნად არ შესცვლოს ავტორის ტექსტი, სცენაზე მიადლოს ნამდვილ მოქმედებას, შემოქმედებით პრობლემას არ დაუშვას თვითმზრუნე გატაცება ფორმით. ყველაფერი ეს თავისი დროის მოწინავე რეჟისორული აზროვნების, მისი სიმწიფის მაჟსტრული გახლდათ.

აკაკის აზრით რეჟისორისთვის სცენაზე მთავარი უნდა იყოს მსახიობის მოქმედება, აზრანია, მიზანშეწონილი ფსიქიკური ქცევა და არა „ხორციელი კონტრუსი“. „სულიერი მოძრაობა“ — აი რა არის მსახიობისთვის მთავარი, მასშია განვნილნი თეატრალური ქმედობის არსიც.

აკაკი წერეთელს რეჟისორის დიდ შეცდომად მიანჩნია, როცა სცენაზე სანახაობისა და რიტმის შექმნის ილუზიისათვის ამბავებს ადგილს, რომელთაც მხატვრული ფუნქცია არ გააძნედათ. აკაკი წერეთელს აყრტიკებს თეატრის რეცეზენტებს, რომელიც სწორ ორიენტაციას არ აძლევს მაყურებელს. რეჟისორი უნდა იმას, რასაც ნაკლად უნდა მიიჩნეოდეს.

შეუცვლელი ავტორიტეტი ჰქონდა აკაკის სიტყვებს, რომ „ხელოვნება მშენებრებია და მშენებრებმა კი თავისთავად დიდი და პატარა არ იციან“. ეს ხომ იყივია, რასაც კ. სტანისლავსკი ამბობდა: თეატრში არ არსებობს დიდი და პატარა როლი, არსებობს დიდი და პატარა მსახიობები. ბოტია, აკაკიმ და სხვა ქართულმა მოღვაწეებმა შესანიშნავად იცოდნენ, რომ თეატრში პატარა როლიც — დიდია, თუ ის მხატვრულად სრულქმნილია, თუ ის მშენებრებია. ეს იყო საკითხი, რომელიც „მუდმივად მხატვრობის ნიშნელობას იძინდა და ყოველი რეჟისორის ერთ-ერთ მთავარ საზრუნავს სავნად რჩებოდა. იგი პირდაპირ უკავშირდებოდა ანსამბლის პრობლემას, რომელიც თავის მხრივ რეჟისურის როლის გაძლიერებასთან არის დაკავშირებული.

აკაკი წერეთელი როცა სათავეში ჩავდგა თეატრს, თავის დასს შედგევი ამოცანა დაუყვანა: 1) უნდა გადათავიღებდნენ ჩვენი პიესები და რაც სასარგებლო არ არის. გამოთივების რეპერტუარიდან, 2) ენა გასწორდეს, 3) რეჟისორმა ჯერ უნდა წაუკითხოს არტისტებს თავიდან ბოლომდე პიესა, გააყენოს დედა-აზრს, აუხსნას თვითთული მოქმედი პირობის ხასიათი და ყველა მისთანა როლი წაუკითხოს, რომელიც მის ნიჭს შემოვნიის მოთამაშებმა ჯერ უნდა გაიზრდებინონ თავთავისი როლი და მერე დაიწყონ რეპერტივები. ინტრადებისა და გულისხმი მითქმა-მითქმას ერიდონ და კლავიკორების იმედით არ იყონ ხოლმე“.

აკაკის ფართო ამოცანა აქვს დასახული, მაგრამ აქ თითქმის არ არის არც ერთი საკითხი, რომ ყველა დროის თეატრისათვის არ იყოს მნიშვნელოვანი. აქ არის რეპერტუარის, მსა-

⁴ აკაკი წერეთელი თეატრის შესახებ, „ხელოვნება“, 1955, გვ. 23.



ხიობის აღზრდის, რეესურსის, თეატრის შემოქმედებითი ატმოსფეროს, მსახიობთა ურთიერთობის, მასყურდობის საკითხები. ყველა მთავანი კე პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით დაკავშირებულია რეესურსის პირობებთან.

ქართული თეატრის მრავალფეროვანი შემოქმედება მართო თბილისის თეატრით არ განისაზღვრებოდა. 80-90-იან წლებში თითქმის მთელ საქართველოში იყო აქტიური თეატრალური ცხოვრება. ზოგადი მტკიანების, ზოგან პრიმიტიულ დონეზე, მაგრამ ყველგან ცოცხლობდა თეატრის რელიგია, იგი სულ უფრო და უფრო ღრმად იჭრებოდა ხალხის ცხოვრებაში და მისი განუყოფელი ნაწილი ხდებოდა. ერთ-ერთი ასეთი ძლიერი კერა გახლდათ ქუთაისი. კ. მესხი იყო მისი აყვავებულ დიდი მოამბე და მსყალობელი. „ერთი თევა ავერ, რაც ქუთაისში შესვდა ქართული დასი კ. მესხის თაოსნებით და ჯერ-ჯერობით წარმატებითაც მიიღეს ახალი დასის საქმე“ — წერდა გაზ. „თეატრი“⁵. ამ პერიოდისათვის კ. მესხი „უკვე დაჩელოვებული რეჟისორი“ იყო. „როგორც აქტიორის, წერს იგივე ვაზუთი — ამას იცნობს მეითხველი საზოგადოება, და ჩემის მხართ აქ პატივით უნდა მოვიხსენიო ის, როგორც რეჟისორი მუყაითა და სცენის მცოდნე“⁶. ა. წუწუნავას აზრით კ. მესხი იყო „სათეატრო საქმიანობის საუკეთესო ორგანიზატორი და თავისი დროის გამოჩენილი რეჟისორი“⁷. მან დიდი როლი შეასრულა ფრანგული დრამატურგიის თარგმნითა და დადგმით საერთოდაც ლ. მესხიშვილამდე იგი იყო კლასიკური რეპერტუარის საუკეთესო შემსრულებელი და ამდგომლამდე კ. მესხმა პირველმა დადგა შექმნილი „ჭირველი ცოლის მოჩვენება“ და გაიმართვა კიდეც (შ. დედინა). კ. მესხის რეჟისურის შესახებ საინტერესო მოგონება შემოგვიანხა ნინო ჩხეიძემ: „როდესაც დასადგმულ ბივსა და როლებს ახსნა-განმარტებას შეუდგებოდა, თვალუბა უბრწყინებლობა და მისი დამაჯერებელი კილო მსახიობს რწმენასა და განბედლებას უნერგავდა. რეპტიციების დროს ყოველთვის ფეხზე იდგა. მსახიობს თვალში შესჭკურდა. მიზორხას, აზრის სწორად გამოთქმას ასწავლიდა, მსახიობისაგან დიდ ყურადღებებს მოითხოვდა და ვაი იმის ბრალი, მისი ნასწორად და გასწორებულ დაავიწებებოდა“⁷. კ. მესხი თურმე „მრისხანე რეჟისორი იყო. მან იმთავითვე დაიწყო ბრძოლა აქტიორული ინდივიდუალიზმისა და სცენისმოყვარეთა ჩვევების წინააღმდეგ. მის თეატრში საგრძნობი განხა რეჟისორის დიქტატო, კოტე მესხს სხვაგვარად ვერც კი წარმოუდგინა ახალი თეატრის შექმნა. კ. მესხი იცნობდა საფრანგეთის თეატრებს, აღტაცებული იყო სანა ბერნარის თამაშით, მაგრამ ამასთანვე ავირტიკულიად ფრანკულ თეატრში „გალობით ლაპარაკს“. „როდესაც დრამას წარმოდგენაზე დაესწრება, ასე გგონია არტისტები კი არ ლაპარაკობენ, მეყრია“⁸. მესხის აზრით ეს „ხელოვნების წინააღმდეგე არის და ცხოვრებასთან მიუმსგავსებელი“⁹. იგი როგორც რეალისტი მსახიობი, ვერ ვგუბა სცენაზე რეალიზმიდან გადახრას. მესხი ბუნებრივად აპოლოგეტი გახლდათ და აქვეთ წარმართა მთელი თავისი რეჟისორული და სასმახიობო მოღვაწეობა. მას როგორც „ი. ჭავჭავაძისა და ა. წუ-

რეთლის რეალისტური თეატრის მსახიობს, ბუნებრივი, მსახიობის მთავარ მოწოდებად საზოგადო საკიობის წამოჭრა, საზოგადო ცხოვრების გამოხატვა მიანდა“¹⁰. ამიტომ სასცენო ბუნებრივად, როცა კ. მესხი ვერ უჩივრებოდა იმეო სპექტაკლებს, სადაც „დეკორაციებს და ტანისამოს პირველი ადგილი უჭირავს, აზრი კი ღმერთმა შეინახოს — ხამცეცხვად ვერ იპოვით“¹¹.

კ. მესხი ფართო დიაპაზონის რეჟისორი იყო. მის რეპერტუარში ქართულ პიესებთან ერთად წარმოდგენილი იყო რუსული და დას. ევროპის მწერლობა ნაწარმოებები. („რევილიორი“, „მსკარადაი“, „ვაი ტკუნილი“, „ფრანსი“, „ძალი სტიმი“ და სხვა). მან თეატრში დაამკვიდრა როლზე სერიოზული მუშაობის პრაქტიკა, განამტკიცა შემოქმედებითი დისციპლინა და რაც მთავარია შეინარჩუნა მსახიობთა აღზრდის თავისებური წესი. ვ. გერეთლის აზრით, კ. მესხს „შეუძლია პირველი მსახიობთა გაწერონა და სკოლის შექმნა“¹². „საზოგადოდ კოტე, — წერდა ეფ. მესხი — სასტაკი იყო რეჟისორის დროს; ჩვენს რეპტიციებზე ყოველთვის სრული დისციპლინა იყო, ვარჯიშს არავის უშვებდა თეატრში და მსახიობებმა კარგად იცოდნენ იმის საბაბი, შეგნებულ ჰქონდათ იმის მინერა და სიამოვნებით უდებდნენ ყურს იმის სწავლებას“. მოუვსნით და. მესხის მოგონებასაც¹³. „იციდა ყვიროლი, ჩინი, კაცი, როგორ დაბაიზავთ, ადამიანურად გაიარე. ხშირად იატაკზე ცარციით შემოუფარგლავდა მსახიობს დასადგომ თუ გასასვლელ ადგილს. ეს, ცხადია, ნების შემორცხა იყო მსახიობის, მაგრამ იმ დროს უამისობა არ ივარგებდა“¹⁴. ძველი თეატრის მსახიობთა ამ მოგონებებში ნაოლად გამოქვია 80—90-იანი წლების რეესურსის ბრძოლა, მისი ფორმირების რთული პროცესი. მსახიობის უფლებების მოთხოვნის, ნების შემორცხის „ერთპიროვნული ხელმძღვანელობის, მტკიცე დისციპლინის გარეშე თეატრი ვერ შესძლებდა წარმატებას სწორედ ამ პერიოდში დაიწყო ქართული თეატრის დიდი განმანახლებელი მოძრაობა. ვ. აბაშიძის კომედიის თეატრის გერული წარმოქმნა დრამის თეატრი. გაჩაღდა სტილური მრავალფეროვნებისათვის ბრძოლა. ყოფითი რეალიზმი, რომანტიკული ნაკადი, ნატურალიზმი, ფსიქოლოგიური რეალიზმი — ყველაფერი მოძრაობდა და ცოცხლობდა ქართული თეატრის ჰქვეშა. დრამადეობა მინაგანი წინააღმდეგობას, რომელიც ახალ იმპულსსა და სტიმულს აძლევდა თეატრის განვითარებას. „ამ დროს თეატრში ორი ცანკია — იგონებს ნუცა ჩხეიძე — ახალაზრდობა, რომელსაც სიასლე, წინსვლა სწავრია, უცხოეთი მომავლასავე გზას იკავავს, და ძველი თაობა, რომელნიც ძველი წესების, ძველი მიმართულების და საზოგადოებრივად ძველი აზრების შეშინახვლნი არიან. რადიკლების მეთაური და ბელადი ყოველთვის კოტე იყო. ბრძოლის საბაბს უნთავრესად თვითონ კოტე აძლევდა: ბრძოლა უყვარდა, იბრძოდა სიხარულით, ხალისით, მედგრად“¹². კ. მეს-

5 გაზ. „თეატრი“, 1885 წ. № 2.
6 იქვე.
7 ნ. ჩხეიძე „კოტე მესხი“. „ხელოვნება“.

8 დ. ჩანელიძე „კოტე მესხი“. „ხელოვნება“, 1953, 155.
9 ეფრ. „კვალე“ 1899 წ. № 7.
10 კ. მესხი „ხელოვნება“ 1953, გვ. 27.
11 იქვე.
12 ნ. ჩხეიძე „კოტე მესხი“. „ხელოვნება“, 1913, 136.



ხო ერთდროულად რევისორი იყო. ის კარგად ვრცელდა ლატვიანებისა და ხელოვნების საკითხებში, იცოდა თუ რა ხდებოდა ხელოვნების სამყაროში. ცხოვრობდა თავისი დროის თანამედროვე თეატრალური მოვლენების ცენტრში. ასლის იცნობდა კ. სტანინსკის, ნემიროვიჩ-დანჩენკოს, ერმოლოვა-ს. და სხვა განმარტულად აღმართებს. ჯეროვანად აფასებდნენ ასი ნაჭა რუსული კულტურის გამოჩენილი მოღვაწეები.

როცა კ. აქსენა სიტყვა უთხრა მ. ერმოლოვას მოსკოვში აუდილზე, მას დიდი თავისი გაუპარეს. ამ დამის შთაბეჭდილება იხსნებოდა იგი ი. მესხს წერდა: „ხელოვნებას-სიყვარულს და სულოვნებას ცალკე წვეულებას მართავს. „რეის“ შემდეგ სტანინსკისა თვითად ჩემთან და აბიგაბედდირეკტორს გვეწვევით, თეატრალიც მომხმანებო“. ეს ერთი პატარა დეტალი თეატრალური ურთიერთობისა, მაგრამ კარგი დეტალი. აქაც ჩანს, რომ კ. მესხი ნიჭიერი, განათლებული. თავისი დროისათვის აღარჩენილი ცნობილი მოღვაწე იყო. მის აზრს ანგაიშის უწევდნენ, მის სიტყვას ისმენდნენ. კ. მესხს მთავარ რევისორად იწვევდნენ თბილისში, ქუთაისში, ბაქოში.

ქართული რევისორის ფორმირების რთული გზა, ვერ წარმოადგენდა „მსახიობთა რევისორის“ გარეშე. ანალოგიური მოვლენებთან გვაქვს საკმე რუსეთისა და დას. ევროპის თეატრებშიც. ეს ერთიანი გლობალური პროცესისა მსოფლიო მასშტაბით, სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულ პერიოდში და განსხვავებულ პირობებში გაიარა თავისი გზა „მსახიობთა რევისორის“, მაგრამ ყველა მათ აერთიანებდათ საერთო ნიშნები, საერთო ტენდენციები. ერთის მხრივ ეს იყო მსახიობთა უფლებების გაფართოების, სამსახიობო ოსტატობის ტრეინინგის აქტივობა, ხოლო მეორეს მხრივ მისსავე წიაღში წარმოიქმნა ასალი ძალა, რომელსაც უნდა შეეზღუდა მსახიობთა განსუსაზღვრელი უფლებები, თეატრს სტანდარტად ეს შინაგანი გაორება და წინააღმდეგობა. სულ უფრო და უფრო მეტად იგრძნობოდა ასლის დაბადების ტკივილი. ისტორიული აუცილებლობა მოითხოვდა თანდათან „ერთმანეთს დაშორებოდნენ“ ერთ პირივენიში მოქცეული მსახიობი და რევისორი.

მაგრამ ვიდრე ეს პერიოდი დადგებოდა, ქართულ თეატრში დიდი წარმატებით რევისორებდნენ ვ. აბაშიძე, ლ. მესხიშვილი, კ. ყიფიანი, ვ. გუნია და სხვები. ისინი დგამდნენ პიესებს, ხელმძღვანელობდნენ დასებს, წერდნენ სტატიებს, თავიანთი პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე აწვავდებდნენ რევისორის საკითხებს, ამდიდრებდნენ და აძლიერებდნენ ქართული რევისორის პრაქტიკულ და თეორიულ საფუძვლებს.

ქართულ რეალისტურ სამსახიობო ხელოვნებაში ფუძემდებელი როლი შეასრულა ვ. აბაშიძემ. ვ. გუნიას აზრით მან „შექმნა თამაშობის სკოლა“. ა. ცაგარლის აზრითაც ვ. აბაშიძის დიდი დამსახურება ის იყო, რომ „შექმნა საკუთარი ხელოვნების სკოლა და მოწაფენიც შეიძინა“¹³.

ვ. აბაშიძემ დიდი ხნით ვანსასუფრეა ქართული თეატრის გზა. 80-იანი წლებიდან იქმნებოდა „მისი“ სკოლის ტრადიცია. მან განსუსაზღვრელად დიდი როლი შეასრულა კომედიის თეატრის წარმატებაში. ეს თეატრი დიდი პოპულარობით სარგებლობდა მასურებელში. ვ. აბაშიძის თამაში „ტექნიკის მხრივ მთელი სკოლა ასალგაზრდა მსახიობებისთვის“ — წერდა „ივერია“¹⁴. ბუნებრივია, რომ ამგვარ მსახიობს საინტერესო სპექტაკლებზე უნდა ჰქონოდა დადგმული. ვ. აბაშიძე ხშირად იყო ანტრეპრენიორი. მისი მუშაობა ორ მხრივ წარმოებდა. ერთი ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული და მეორე შემოქმედებითი როლიც თეატრის ხელმძღვანელს, ვ. აბაშიძეს უპირველეს საზრუნავად დასისა და რეპერტუარის ფორმირება მიანდა. „გონიერი მსახიობი შეიძლება მხოლოდ კარგი რეპერტუარის წყალობით შეუმავდეს“. წერდა იგი. მის თეატრში თანამედროვე ქართველი ავტორების პიესების გარდა, იდგებოდა შექსპირის, შილერის, გოგოლის, ოსტროვსკის, მოლიერის ნაწარმოებები. რეპერტუარში დიდ ადგილს უთმობდა ა. წერეთლის, გ. ერისთავის ა. ცაგარლის, შ. ანატოლის, რ. ერისთავის, გ. სუნდუკიანის პიესებს.

ქართული რევისორის ისტორიისათვის დიდად საყურადღებო ფაქტია ის, რომ ვ. აბაშიძე იყო არა უბრალოდ დამდგმელი რევისორი, არამედ რევისორ-პედაგოგი. ამას განააკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მ. მინ. ვ. აბაშიძე ზრუნავდა მსახიობთა აღზრდაზე, ბევრს ფიქრობდა ახალგაზრდა ხელოვნათა აღზრდის პრობლემებზე მიანდა, რომ შეუძლებელი იყო „მსახიობის გაწრთვა“ აღზრდის გამოკვეთილი მეთოდოლოგიური საფუძვლების გარეშე. იგი მსახიობებს ასწავლიდა: „სიმათლის ხელოვნებას“, მას მიანდა, რომ „სრულსა და საამურს მოქმედების მხოლოდ მაშინ იქონიებს მსახიობი მასურებელზე, როცა იგი სცენაზე ცხოვრობს და არ ადგენს“¹⁵. ეს იყო ვ. აბაშიძის მხატვრული კრედი. ამ პრინციპით დგამდა სპექტაკლებს, იგივეს მოითხოვდა თავისი უფროსი და ახალგაზრდა კოლეგებისაგანაც. „ნამდვილი მასწავლებელი დრამატული ხელოვნების არაა: „ცხოვრება, პრაქტიკა და დაკვირვება“ — წერდა აბაშიძე. მისი აზრით, „დაკვირვება საფუძველი და დიდობითა ყოველის დიდი ნიჭისა“.

¹⁴ ვახ. „ივერია“, 1902, № 240.

¹⁵ ვ. აბაშიძე, „ხელოვნება“, 1951, გვ. 37.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

¹³ ავ. ცაგარელი „ვისილ ალექსიძე აბაშიძე“, ვახ. „ცნობის ფურცელი“ 1902, 10 მარტი.

120

კოსტა ხეთაგუროვი და ოსეთის მატერიალური კულტურა

ვალერიან ითონიშვილი



ოსი ხალხის საამაყო შვილი კოსტა ხეთაგუროვი არა მარტო გამოჩენილი მწერალი, პუბლიცისტი, ფოლკლორისტი და საზოგადო მოღვაწე იყო, არამედ თვალსაჩინო ეთნოგრაფიც. იგი დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა XIX საუკუნის რჩეულ მოღვაწეთა შორის, რომლებმაც თავისი ხალხის ყოფისა და კულტურის შესწავლა დაუქვემდებარეს მშობლიური ლიტერატურისა და სულიერი კულტურის ეროვნულ ნიჟარებზე განვითარების ინტერესებს. ხალხურ ტრადიციებზე აღზრდილმა პოეტმა სანიმუშო სიზუსტით აღწერა ოსთა ყოფა-ცხოვრება და შთაომავლობას უანდერძა ძვირფასი ეთნოგრაფიული მატერია, რომლის მნიშვნელობა სულ უფრო იზრდება.

კოსტას ეთნოგრაფიული დაკვირვების ძირითადი ობიექტი იყო მისი მშობლიური ნაოის ტაფობი — ალაგირის ხეობის სათავე, რომელიც მას მაინცა მთელ სოხეთოში ტრადიციულობით გამოირჩეულ კუთხედ. ამ

კუთხეზე უშუალო დაკვირვებისა და მთხრობელთა გამოკითხვის გზით მწერალმა დაგვიხატა ტიპური ოსური ყოფაცხოვრების სურათი იმ ძირითადი კომპონენტების ჩვენებით, რაც დამახასიათებელი იყო არა მარტო საკუთრივ ნაოის მოსახლეობის, არამედ ოსეთის ყველა ხეობის მცხოვრებთა ყოფისა და კულტურისათვის საერთოდ. შემთხვევითი არ არის, რომ კოსტამ თავის ეთნოგრაფიულ ნარკვევს უწოდა „ოსობა“,¹ რაც გამოხატავს ოსური მამა-პაპური ყოფის ტიპურობას, ხოლო მისი დახასიათების წყაროდ მან გამოიყენა ოსეთის ერთ-ერთ საინტერესო კუთხეში მოპოვებული მასალები.

ტიპური ოსური ყოფის ანუ „ოსობის“ ძირითად თავისებურებებთა გამომზეურების მიზნით კოსტა თანაბარ ინტერესს იჩენდა მატერიალური კულტურის, მე-

¹ K. Xetagurov, *Osoba, sobranie sochinenij v trex tomah*, t. III, M., 1951, str. 202-263.



ურნობის ფორმების, სოციალური ურთიერთობისა და სულიერი კულტურისადაც. ეს იყო ისთა ყოფისა და კულტურის კომპლექსურად შესწავლის სერიოზული ცდა, რამაც განსაკუთრებით ინტენსიური ხასიათი მიიღო საბჭოთა პერიოდში.

ზემოხსენებულ საკითხების მიხედვით მწერლის მე-მეკვირვობის განხილვა შესაძლებელი გახდება მისი დამსახურების შეფასებას ეთნოგრაფიის დარგში, მაგრამ ეინიდან ეს მოითხოვს ვრცელ მიმოხილვას, ჭრჭვროებით შევებით მხოლოდ კოსტას ცნობებს მატერიალური კულტურის ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტების შესახებ, როგორცაა საცხოვრებელი ნაგებობანი, დასახლებების ფორმა და ჩაცმულობა.

როგორც კოსტა ეთნოგრაფიული ნარკვევიდან ჩანს, მთაწირეთის საცხოვრებლის საყოველთაოდ გავრცელებულ სახეობას წარმოადგენდა ქვის მშრალი წყობით ნაგები და ბანით გადახურული სახლი. ასეთი სახლის კედლის შუაში დარჩენილ ორბუქებს აესვენდნენ ქვის ნაბუქითა და მიწით, კედელს შიდა მხრიდან ლესავდნენ თიხისა და ნაკელის ნარევით, ხოლო ვარეთა მხარეს შეუღლესავდ ტოვებდნენ. გადახურვის კონსტრუქციაში მთავარ ნაწილებად მიჩნეულ იყო კედლებზე დართული კოჭები, რომლებსაც საყრდენებად უყენებდნენ ცენტრალურსა და გვერდის ბოჭებს. კოჭებზე ერთიმეორის მიყოლებით აწყობდნენ ნამორებს, ქვის ბრტყელ ფილებს და ფიხს, ზემოდან ფენდნენ ჩაღას, ხოლო შემდეგ აყრიდნენ ქვიშნარევი თიხარ მიწას, რომლის საგულდაგულოდ გაზებვის შემდეგ წყალსადენი ღარებით წყალი ბანინად გადადიოდა. ბანს დატანებული ჰქონდა საკაშპური ხერული, რომელსაც ისეთნარინად აწყობდნენ, რომ წვიმისა და ქარისაგან დაცული ყოფილიყო. სახლის კედლებსა და ტიხარებში გამოყვანილი იყო დაბალი კარები, ხოლო საისინათლოდ იყენებდნენ უფარი მეტად მზიან მხარეზე კედელში დატოვებულ მცირე ზომის სარკმლებს. საცხოვრებელი ფართი და სამეურნეო დანიშნულების მქონე სათავსოები დატირხული იყო ლატითა და ფიცრულით. ასეთივე ტიხარებით მიჯნავდნენ ადამიანისა და საქონლის სადგომსაც.

საცხოვრებელ განუთქვნილ ვახაფოდებულებს შორის ოჯახის მთავარ სამყოფად კოსტას მიერ დასახელებულია „ხაძარა“-ი მასში მოწყობილი შუაუცხვლით. ეს საჯალბო ოთახი, სადაც ოჯახი თითქმის მთელ დღეს ატარებდა, სადაც თებოდნენ, ჰმადნენ, ბჭობდნენ თუ რელიგიური რიტუალებს ასრულებდნენ, ორ მხარედ იყოფოდა. კერიდან ერთი მხარე კედელთან მდგარი გრძელი სკამით განუთქვნილი იყო სამამაკაოდ, ხოლო მეორე მხარე — სადღეაკაოდ. ამის შესაბამისად მწერალი ვკვირვებდა თითოეულ მათგანისათვის დამახასიათებელ კომპონენტებს. თუ საქალებში მხარეს ელაგა ან კედელზე კიდა ქალის შრომა-საქმიანობისათვის საჭირო დგამ-ჭურჭელი, სამაგიეროდ, სამამაკაო მხარეს ამშვენებდა კედელზე ჩამოკიდებულ სარბოლო და სანადირო იარაღი, ჭიხვის რქები და მუსიკალური სიმებიანი ინსტრუმენტი ვანდარი.

ხაძარის შიდამოწყობილობაში კოსტა განსაკუთრებით მნიშვნელოვან ნაწილად გამოყოფს კერას, რომლის ფსკერი დაფარული იყო ქვის ფილებით, ხოლო შემო-

სასვლელის მხრიდან, დედაბობის სიხალეოვს, კედლის პარალელურად იდო გრძელი ქვა. კერაში მდებარე ელემენტი იყო გამკვარტლული ვროლა—ჭერიდან ჩამოშვებულ კაჭვი ქეხსადაი კავით. კოსტას ცნობით, კერა, რომლის ნაცარქვეშ ეცხვლს მეორე დღისათვის გაუქრებლად ინახავდნენ, სახლის უწმინდეს ცენტრად ითვლებოდა. ეს შეხედულება დაკავშირებულია კერის კულთან, რაც საყოველთაოდ იყო აღიარებული, როგორც კავკასიის მოსახლეობის, ისე ყველა სხვა ხალხის რელიგიური აზროვნებაში, სადაც კი კერა საოჯახო რიტუალის ცენტრს წარმოადგენდა.

სახლთან და ოჯახთან დაკავშირებული რელიგიური რწმენა-წარმოდგენების სფეროში კერასთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა აგრეთვე ე. წ. „ბედნიერების ქეხს“. კოსტა მოგვითხრობს იმის შესახებ, რომ ამ ქეხს ისები მიაწერდნენ ოჯახისთვის კეთილდღეობა-ბარაქიანობის მომზიებულ ძალას. ოჯახის უფროსი ისე ორბად დარწმუნებული ყოფილა მის სასწაულომოქმედებაში, რომ სხვისი თვალთ მისი დანახვაც კი საშიშ მოვლედ მიჩნეოდა. მასპინძელს სტუმრისთვის შეიძლება ეჩვენებინა ნებისმიერი ძვირფასი ნივთი, მათ შორის ნადავლიც, მაგრამ არასეზით არ გამოუჩინებდა „ბედნიერების ქეხს“. მას, როგორც უძვირფასეს საოჯახო რელიკვიას, სიღმუღლოდ ინახავდნენ. თვით ოჯახის წევრებშიც კი მას მხოლოდ წვლიწადმი ერთხელ მოინახულებდნენ და ისიც მისთან ლოცვა-ავაღებებით მისვლის ეპას. სირდიტ კოსტის ან მტრედის კვერცხის ოდენა და ოდნავ გამკვირვალუ მკრთალი ყვივთა ფერის ქვა, რომელიც დამით ფს-ფორებით ასხივებდა, ხალხის გავებთ ბუნებრივ იზვიათობას წარმოადგენდა. მოსახლეობაში გავრცელებული რწმენის თანახმად, ამ ქვას რომელიმე „ბედნიერი“ დიდი ხიფათით თუ მოიპოვებდა, ვინაიდან ის ყველაზე უფრო შხამიანი გველისთვის პირიდან უნდა წაყრებოდა. კოსტას მიერ ფიქსირებული ვადმოცემის თანახმად, ქვის ხელთგდება თითქმის ის გავრებობა აძნელებდა, რომ გველს ეს განძი მოტანილი ჰქონია ინდოეთიდან. მას, როგორც „თავიანთ უფროს დას“, ათობით სხვა გველი იცვდა და ვინც კი „სიუხვის მძივის“ მისი პირიდან ამორთმევას შეეცდებოდა, გველები მას უშლდ თავს ეს-ხმოდნენ.

რასაკვირველია: იქ, სადაც ასეთი შემზარავი ლეგენ-დის შინაარსით იყო გავლენილი ცრუმორწმუნე ადამიანის შუგნება, ე. წ. „ბედნიერების ქეხსაც“ ადიდოდ მიეჭრებოდა ამგვარი სასწაულომოქმედება. კოსტას მიერ ფიქსირებული ეს ვადმოცემა პარტოოდენ ისთა რელიგიური მსოფლმხეველობის ჩარჩოებში არ თავსდება. ოჯახის დოღოთიანობის მომზიებლად რწმენა და მისთან დაკავშირებული რიტუალი, რაც დელსტრუბული იქნა ისთა ცხოვრებაში, დიდ მსგავსებას აძლავნებს კავკასიისა და მის ფარგლებს გარეთ ფართოდ გავრცელებულ ანლოგოური ხასიათის რწმენა-წარმოდგენებთან და თავისი შინაარსით ორმალადა დაკავშირებული გველის კულტის არსებობასთან, რაც მთელი კაცობრიობის რელიგიური აზროვნებისათვის დამახასიათებელ მოვლენას წარმოადგენდა.

საცხოვრებელ ნაგებობათა შესახებ მსჯელობისას კოსტას დაკვირვებულ თვალს შეუნიშნავს ის მნიშვნელო-



ვანი მომენტე, რომ სახლების ტიპოლოგიაში გარკვეულ როლს ასრულებდა მოსახლეობის დიფერენციაცია სოციალურ-ეკონომიკური ნიშნის მიხედვით. საცხოვრებელ ნაგებობათა ურთიერთშედარების საფუძველზე მან გარკვევით აღნიშნა, რომ ჩვეულებრივი სახლისაგან განსხვავებით, რომლის საცხოვრებელი ფართობიც და მისგან ტიპარის გამოყოფილი საქონლის სადგომიც ერთიმეორის ვეგორით იყო მოთავსებული, შეძლებული იქავახის სახლი წარმოადგენდა მრავალსართულიან ნაგებობას. ამგვარ სახლში საცხოვრებელი და სამეურნეო განყოფილებების იზოლირება გამოირცხვდა ხაძარში ბოსლის სუნის შესწავლას, როგორც ამას ადასტურებდა ლარიბთა სახლებში. შეძლებული იქავახის მრავალსართულიანი სახლის ქვედა სართულზე მოწყობილი იყო ბოსელი, საცხენე და საცხენის, ხოლო ზედა სართულები განკუთვნილი იყო ადამიანის საცხოვრებლად. ხაძარში ერთად; რომელიც, ჩვეულებისამებრ, დიდ საერთო ოთახს წარმოადგენდა, შეძლებული იქავახს ქვიზია ბუხრანი ოთახებში ცოლმშობლიან კაცებისთვის, ხოლო სსტუმროდ განკუთვნილი ოთახი მოწყობილი ყოფილა ხალჩიბთა და ძვირფასი იარაღით. საწოლი და სასტუმრო ოთახები უბოში იზოლირებულია მდგარან, ხოლო საოჯახო საყუბრი მოთავსებული ქვიზითა კოშკის ქვედა სართულზე. შეძლებული იქავახის უპირატესობას შეადგენდა, აგრეთვე: ორნამენტებით შემკობილი ძვირფასი ავეჯი, ბლომად ჭურჭელი და საუკეთესო იარაღი.

აღნიშნულ განსხვავებასთან ერთად, რაც მწერალს დადგენილი აქვს რიგითი მეთემეებისა და შეძლებული იქავახის საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა შედარებითი შესწავლის საფუძველზე, კოსტა გაცენობის ყველაზე უფლები და ღარიბი ადამიანების საცხოვრებელ პირობებსაც, მხედველობაში გვაქვს „ქავდასარდის“ (ტყე ქალთან ნაყოლი და მექვიდრობის უფლები მსოკლებული პირის) მდგომარეობა. როგორც კოსტა შენიშნავს, მამისგან ცალკე გამოყოფილი ქავდასარდის თავდაპირველ საცხოვრებელ განკუთვნილი იყო მტოვებულ ბოსელი, ან ფარდული, რომლის კარები ფანჯრის როლსაც ასრულებდა.

როგორც ხედავთ, საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა აღწერაში კოსტა უყრდნობდა მიაქცა ოჯახების სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს, რასაც სათანადო მნიშვნელობა ენიჭება ნაგებობათა ტიპოლოგიისათვის.

საცხოვრებელ ნაგებობებთან ერთად კოსტა შეეხო თავდაცვითი ხასიათის ნაგებობებსაც. ადგილობრივ მოღვაწეთა შორის მან ერთ-ერთმა პირველმა აღნიშნა მრავალსართულიანი კოშკების არსებობა და გვარებისადმი მათი კუთვნილება. მისთვის ასევე ცნობილი იყო, რომ კოშკები, რომელთა უმრავლესობა დანგრეულია რუსეთთან კავკასიის შეერთების პერიოდში, წარსულში მოსახლეობის თავშესაფარად გამოიყენებოდა. მწერალი იმ გარემოებასაც აღნიშნავს, რომ საცხოვრებელი ნაგებობისაგან განსხვავებით, რომელსაც აშენებდნენ ქვის მშრალი წყობით, კოშკის სამშენებლო მასალად თილი ქვას და კირს იყენებდნენ. რაც შეეხება კოსტის ან სახლის გარეგნულ სახეს, მათთვის დამახასიათებელი ნიშნად მწერალს მიაჩნია წაყვეთილი პირამიდის ფორმა,

როგორც ნაგებობის გამძლეობის აუცილებელი შემთავაზება.

ოსეთში გავრცელებულ ნაგებობათა შორის მოცულობით უმცირესსა და ფორმით პრიმიტიულს, მაგრამ თავისი დანიშნულებით უაღრესად მნიშვნელოვან ნაგებობას წარმოადგენდა წისქვილი, რომლის კონსტრუქციას და ფუნქციასაც კოსტა მოკლედ გვაცნობს. მისი დახასიათებით, ამ პატარა ნაგებობას, ძალზე დაბალი კარებით, არცერთი სარკმელი არ ჰქონია დატანებული, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მშრალი წყობით ნაგებ კედელში დარჩენილ ჭეჭურტანებს. ამასთან ერთად, მწერალი აკავთირთ ენება ოსური წყალწისქვილის მარტეკ კონსტრუქციას, გვიჩვენებს მისი მექანიზმის მუშაობის პრინციპებს და გვაცნობს წისქვილთა სარგებლობის წესს. მისი ცნობიდან ირკვევა, რომ წისქვილი ერთ შემთხვევაში ერთ ოჯახს ეკუთვნოდა, ხოლო მეორე შემთხვევაში რამდენიმე ოჯახის საზიარო კუთვნილებას შეადგენდა. თუ რა უბო ზღობდა წისქვილი საზიარო, ამის შესახებ კოსტა არავფრს გვჩვენებს, მაგრამ თავისთავად იგულისხმება, რომ წისქვილს საზიაროდ ხმარობდნენ ოჯახის დაყოფის შემდეგ ერთ პატრონობიულ უბნად დასახლებულ ნათესავები, დღი ოჯახის განაყოფი, რომლებიც ხშირ შემთხვევაში საზიაროდ ტოვებდნენ საოჯახო ქონების იმ ნაწილს, რომლის თანაბრად დანაწილება ვერ ხერხდებოდა. ამგვარ ქონებას, პირველ რიგში, წარმოადგენდა წისქვილი, რომელსაც განაყოფი მორიგეობით იყენებდნენ.

საცხოვრებელ, სამეურნეო და თავდაცვით ნაგებობებთან ერთად კოსტა ენება დასახლების ფორმასაც. ამ შემთხვევაშიც მისი დაკვირვების ობიექტს წარმოადგენდა ნარის ტავობი, რომლის ტერიტორიაზე მდებარე უბნისმიერი სოფელი, როგორც დასახლების ძირითადი ერთეული, სრულსა და ზუსტ წარმოდგენას გვიქმნის მთუარი დასახლების ხასიათზე. აქ, ისევე როგორც ოსეთის სხვა ხეობებში და კავკასიის მთიანეთში საერთოდ, დასახლების ფორმას განასახიერებდა ბორცვზე ან კლდოვან კონცხზე მდებარე პატარა სოფელი. მის ტიპურ სახეს ქმნიდა ბანიანი, ერთ ან რამდენიმე სართულიანი ქვით ნაგები სახლების მჭიდრო ტერასული განლაგება. კოსტას დაკვირვებით, სოფელში ვერ შენიშნავთ ვერც ქუჩას და ვერც ფოს; ვერ ვაიგებთ მის ეკუთვნის ან თუ იმ სახლის ბანი ან კვდელი. სახლის სარკმელი რომ დაინახოთ, გამყოლის გარეშე ვაგვიკრძებთა მიაჯნოთ ამ სახლის კარებს. სახლის სართულებისა და თვით სახლები ტერასულად განლაგების გამო ნაცნობთან მეორე სართულზე მიმსვლელმა კაცმა შეიძლება თავი ამოყოფს თვითონ სახლის მესამე სართულის ბანზე, რომელიც მისი მხრივ, შესაძლებელია, მისი ნაცნობის ბოძის გეოგამოადგეს. ამასთან ერთად, ვაქვე შესაძლებლობა აკოცდეთ კლდებზე, კიბის მაგივრობას რომ ეწევა, გაიართო რამდენიმე ბნელი გასასვლელი, მოხვედო რომელიმე ღია აივანზე და ამ გზით მიაჯნოთ სახლის პატრონი.

კოსტას მართებული შეხედულებით ასეთი ტიპის დასახლება ოსეთში შესაძამებოდა ადგილობრივ სამეურნეო-ეკონომიკურ პირობებსა და მოსახლეობის თავდავის ინტერესებს. მან მწვენივრად იცოდა, რომ სამეურნეოდ ვარჯის ტერიტორიის ნაკლებობა და მისი მკ-



სიმაღლურად გამოყენების საჭიროება მოსახლეობას კარნახობდა სამეურნეო გამოუსადეგარი ბორცებისა და კინცხების სამოსახლოდ ათვისების აუცილებლობას. მწერალი მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნევს აგეოთეკ სტიქიური მოვლენებისაგან (თოვლის ზვავი, მიწყვრი, ნიაღვარი) საშიში ადგილებიდან მორიდებას და შემალღებულ ადგილებზე, განსაკუთრებით კი კლდოვან კონცხებზე დასახლებას. რომელიც ვერ მისწვდებოდა ზვავი, მიწყვრი თუ უღაროფი. კოსტას მხედველობაში ჰქონდა ის კარგად ცნობილი გარემოებაც, რომ მტრისთვის შედარებით ძნელად ხელმისაწვდომი იყო სიმაღლეზე მდებარე და ციხე-კოშკებით გამაგრებული მჭიდროდ დასახლებული სოფელი.

ამასთან ერთად კოსტა დაკვირვებია მთის სოფლის სოციალურ სტრუქტურასაც. მას ყურადღება მიუქცევია იმ მნიშვნელოვანი ფაქტორისათვის, რომ ერთი ოჯახის გამრავლებისა და რამდენიმე ოჯახად მისი დაწყოლების შედეგად მამა-პაპური სახლის ირგვლივ შენდებოდა ვანაყართა სახლები და ასე იქმნებოდა სათესვეებით მჭიდროდ დასახლებული უბანი. ასეთი ტიპის დასახლებას კოსტა უკავშირებს გვაროვნული დასახლების ფორმას, რაც საბჭოთა ეთნოგრაფიულ მემკვირვებაში კვლავიერებულა პატრონოიდულ დასახლებად. ეს გასაგებიცაა, რამდენადაც პატრონოზია (სისხლით ნათესავების ავანტიური გაერთიანება) დიდ ოჯახთან (საოჯახო თემთან) ერთად გვაროვნული წყობილების დაშლის (გვარის, როგორც უმცირესი სოციალურ-ეკონომიკური ერთეულის დაშლისა) და ადრეკლასობრივი საზოგადოებრივი ურთიერთობის ფორმირების მიჯნაზე შექმნილი ნათესაობრივი გაერთიანება იყო, რაც, დიდი ოჯახის მსგავსად, კოსტას დროინდელ მთაისეთში გადმონათვის სახით არსებობდა.

ოსთა მატერიალური კულტურის მიმოხილვისას კოსტა საინტერესო ენება ტანსაცმელს, იარაღსა და სამკაულს, როგორც ერთიმეორესთან მჭიდროდ დაკავშირებულ ელემენტებს. მწერალი, უპირველეს ყოვლისა, ერთი მთლიანი კომპლექსის სახით გვეცნობს მამაკაცის ჩაცმულობა-შეიარაღებას, ვინაიდან ტრადიციული გაგებით ჭიჭიტის ჩაცმულობა უიარაღოდ არ წარმოიდგინებოდა. კოსტას ცნობით, მამაკაცის ჩაცმულობის ძირითადი ელემენტებია იყო მასზეებით გაწყობილი ადგილობრივი მაულის ჩოხა, იმავე მატერიალზე, ზაქები და ტყავის ფესხაცემლი, ხოლო იარაღთაგან ატარებდნენ ხანჯალს, ხმალს, თოფსა და შუბს. მწერალს ისიც შეუნიშნავს, რომ ჩაცმულობა-შეიარაღების ზოგიერთი ელემენტი იშვიათობას წარმოადგენდა და ფუფუნების სავნად ითვლებოდა. ასეთად დასახელებულია მამაკაცის სამკერდული და განსაკუთრებით კი მთლიანი პერანგი, რომელსაც მხოლოდ დიდ დღესასწაულებსა და საზეიმო ვითარებაში ხმარობდნენ და ისიც უმთავრესად მორიგებით, ვინაიდან ხშირად მთელ გვარს ერთადერთი პერანგი გაჩნდა, ხოლო მას ზოგჯერ გარეშე პირსაც ათხოვდნენ განსაკუთრებული პატრიარქების ნიშნად. ასევე იშვიათად ვისმე ჰქონია ნაბადი, ხოლო მწერლის ეპოქაში გავრცელებული ბეშმეტი ადრე საერთოდ უცნობი ყოფილა. სამაგიეროდ, ოსეთში შედარებით გავრცელებულ ჩასაცმელად ითვლებოდა ახალგაზრდებისათვის

ცხვრის ტყავის მოკლე ჭუბაჩა, ხოლო მოხუცებისათვის ცხვრის ტყავისავე გრძელი ქურჭი. სხვათა შორის, საცნებო საცნებო მასალად ცხვრის ქურქს იც ფართოდ იყენებდნენ, რომ სხვა სახის ტანსაცმლის ჩაცმის შესაძლებლობას მოკლებულ დარბილ ქურქებს ატარებდნენ არა მარტო ზამთარში, არამედ ზაფხულშიც.

კოსტას შთაბეჭდილებით, მამაკაცებთან შედარებით ქალები ჩაცმულობას მეტ ყურადღებას აქცელებდნენ. ისინი, ჩვეულებისამებრ, ატარებდნენ მწვერი ან ლურჯი ფერის ნაწიბის პერანგს, ქართული მატერიალ მოკლე ბეშმეტის, ხვოს ტყავის ჩუსტებს, ხბოს ტყავისავე წინსაფარს, შავი ფერის მოსახვევის, ხბოს გასათხველი ქაღალის, მოსახვევის ნაცვლად, ქუდს. მწერალი ცალკე გამოყოფს სამელოვიარო ტანსაცმელსაც (შავი ფერის უხეში მაულის გრძელი კაბა და შავი ფერის თავშალი), ხოლო სამკაულს კოსტა ქალის ტანსაცმლის ისეთსავე ორგანულ ნაწილად წარმოგვიდგენს, როგორც მამაკაცის ჩაცმულობისათვის იარაღს. მისი აღწერილობიდან ირკვევა, რომ ქალი აბრეშუმის მოსახვევსა და ვერცხულულს საზეიმო ვითარებაში ატარებდა, ხოლო სამელოვიარო სიტუაციაში სამკაულს იშვიათად თუ გამოაჩენდა.

მატერიალური კულტურის სფეროდან კოსტა ხეთავურთი სხვა საკითხებს აღარ შეხებია. ყველა მათგანის განხილვა მცირე მოცულობის ეთნოგრაფიულ ნარკვევში შეუძლებელია იქნებოდა. მწერლის მიზანს არ შეეძლოდა ოსთა ყოფა-ცხოვრების დეტალური შესწავლა. მან განიხილა ოსთა ტრადიციული ყოფის ყველაზე უფრო ნიშანდობლივი მოვლენების ჩვენება და ეს წარმატებითაც შესძლო. ბუნებრივია, რომ მატერიალური კულტურის სფეროდანაც განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე კომპონენტებს უნდა მიქცეოდა ყურადღება და კოსტას, როგორც ეთნოგრაფს, ამ შემთხვევაშიც აღდომ არ უმტყუნა — მან მკითხველის ყურადღება შეაჩერა მატერიალური კულტურის ისეთ ელემენტებზე, რომელთა გაცნობა რელიეფურად წარმოაჩენდა „ოსობის“, ანუ მამა-პაპური ყოფა-ცხოვრების ტიპურობას რიც თავისებურებას.

ზემოთ განხილული საკითხები არაერთი მკვლევარი თუ მოგზაური იყო დანიტერესებული რევოლუციამდელ ხანაში, ამ საკითხებს ინტენსიურად სწავლობენ საბჭოთა ეთნოგრაფები, მაგრამ რაც არ უნდა მაღალ დონეზე წარმოებდეს მათი კვლევა, კოსტა ხეთავუროვის ნარკვევს ყოველთვის უტყუარი პირველწყაროს მნიშვნელობა ექნება ოსთა ყოფისა და კულტურის ეთნოგრაფიული შესწავლის საქმეში.

ალექსანდრე იმედაშვილი

ეთერ გალუსტოვა

ჰმელს ეამაყებოდა მასთან მეგობრობა, ყელა ცულობდა მისი პატივისცემა დემსახურებინა. კოლეგების მოგონებებში ამ აღამიანის პორტრეტს ემატება ისეთი თვისებებიც, როგორცაა გულმართლობა, განსაკუთრებული ერთგულება და სიწმინდე მეგობრობაში, თავისებური აწონილ-დაწონილი ანგარიშიანობაც კი. ამავე დროს ყველა აღნიშნავს მის უარეს ნიჭიერებას, რასაც ახლდა დიდი შრომისმოყვარეობა, გულმოდგინე პროფესიონალიზმა, ტალანტის სიმკაცრე და ვაჟკაცურობა.

საქართველოს თეატრალურ პანთეონში მას უცილობლად უჭირავს სხვებისაგან გამოჩენილი თვითმყოფადი ადგილი — იმედაშვილისეულად მონათლული. სხვებში მისი „აღრევა“ ან საერთო რიგში დაყენება, როგორც ერთ-ერთი მრავალთაგანის, რომელსაც გააჩნია ადვილად საცნობი ნაკვთები, ყოვლად შეუძლებელია. ვერა კომისარევესკაიას შედარებას თუ გამოვიყენებთ (თავის ნაცნობებს იგი ადარებდა რიცხვებს, კვირის დღეებს, ფერებს) ალექსანდრე იმედაშვილი გვაგონებს კენტ რიცხვს, რომელიც არაფერზე იყოფა! იგი თვით იყო სკოლა, სისტემა, სუვერენული აქტიორული სახელმწიფო. რაც შეეხება მის თეატრალურ წილ-ხვედრს, ბედი არასოდეს ანებებდა, ამიტომ დიდი წარმატებებისა და საყოველთაო აღიარება-მოწონების გვერდით

აქტიორული სიმწიფის ასაკში იძულებითი გაცდენებიც ბევრი ჰქონდა, სამწუხარო უყურადღებობის ჩრდილში ექცეოდა და საბოლოოდ ადგილს „მეორე ეშელონში“ კპოვებდა ხოლმე.

როდესაც თერამეტი წლის ჰაბუკი ალექსანდრე იმედაშვილი თეატრს მიადგა, მეოცე საუკუნე ის-ის იყო იღამდა ფეხს, ხოლო აღდგენილი პროფესიული ქართული თეატრი მხოლოდ მესამე ათწლეულში დგებოდა. მეცხრამეტე საუკუნის ბოლო წლების ქართული სცენის ფუძემდებელთა უმცროსი თანამედროვე იმედაშვილი (ვასო აბაშიძე მასზე 28 წლით იყო უფროსი, ვალერიან გუნია კი — ოციით), იძულებული იყო ისტორიისაგან განკუთვნილი მცირე როლით დაკმაყოფილებულიყო, რასაც მოწაფე და მიმდევარი ჰქვია, თუმცა იქნებ უფრო მნიშვნელოვანი თეატრალურ-შემოქმედებითი მისიის აღსასრულებლად იყო მოწოდებული. და მაინც, როგორც შემდეგ გახდა ცნობილი, იგი არ იქცა ამა თუ იმ აქტიორული სკოლის განუწყველ მომხრედ თუ მიმდევრად. თავის მასწავლებელთა ბრწყინვალეობით დაბრმავებულ მორიდებულ ეპიკონად. პირიქით, დრო-ჟამია მოწმე, რომ ქართულ თეატრში ბევრი რამ სწორედ ამ ხელოვნება დაიწყო, რასაც მისი ნიჭის, პიროვნების და საქმის ფტყუარი ბეჭედი აწის.

აქ ისმის საკითხი, ალექსანდრე იმედაშვილს და მის



ექტირულ თაობას ვინ უნდა შეეცვალოს, ქართული თეატრის ისტორიის გზაზე ვინ უნდა ვაპყრობდნენ?

1879 წელს აღდგენილ ქართულ თეატრის საფუძველი ჩაუყარეს ვასო აბაშიძემ და მრავალმხრივი, ბრწყინვალე მსახიობური ნიჭით მაღლობისაში მივლინა პულიადი. გარემო თვალს ერთ დასში მათი თავმჯერა ექნებ გამკრაბი ორგანიზაციულობის წყალობად მივიჩნა, ნამდვილად კი ყველაფერი ეს შემთხვევით მოხდა, გაუთვალისწინებლად, მაგრამ ისტორიული აუცილებლობით კი იყო ნაყარანბევი.

ექმნებოდა რა უძველესი კულტურის ქვეყანაში, რუსული და ევროპის თეატრების ძირფესვიანად გადახალიკების ეპოქაში, ქართული თეატრი ძველი არჩევანის წინაშე იდგა — დამოუკიდებელი გზით ევლო, ეროვნული ტრადიციების მდინარეებს ვაპყრობდა, თუ ხარისხობრივად ახალი თეატრი შეექმნა, მაგრამ სხვის „თარგზე გამოშვარ“ რაც ნიშნავდა ევროპის ყველაზე მოწინავე თეატრალურ სახელმწიფოთა მიწვევების თავის ნიადგაზე მექანიკურად გადმონერგვას. ეროვნული თეატრის არსის გასარკვევად წამოჭრილი დისკუსიისას ერთმანეთის ეგარებდნენ რუსული და ევროპული, კერძოდ, ფრანგული ორიენტაციები, იმის მიხედვით, ქართველ თეატრალურ მოღვაწეთაგან ვინ სად უხიარა თეატრალურ ხელოვნებას. საბოლოოდ დავა თავის სასარგებლოდ გადაწყვიტეს ქართულმა მსახიობებმა, რომელთა ნიჭის ბუნებაც უცხო სახათა მიმბაძეველობა თუ მექანიკურ გადმონერგვას ვერაფრით ეგუებოდა. მართალია, ისინი თავისი ეპოქის შვილები იყვნენ, მაგრამ, უბრალოდ უცხო ყოფნისა, იყვნენ თავისი ერის შვილები, მისი ისტორიის ლეიძლი მემკვიდრნი. სწორად ამან განსაზოგრა მათი თეატრალური მოღვაწეობის შინაარსი, მიმართული და მასსტაბიცი.

გასული საუკუნის ბოლო წლების ქართული სიყინის კორიფეები მრავალმხრივი ნიჭის მოღვაწენი იყვნენ. არა მგონია, მათზე ვინმემ თქვას — თეატრალური შეზღუდულობა სჭირდათო. ისინი ავლზე ხელუბრაყევილნი არ ელოდნენ საქართველოში თეატრის ისტორიკოსება, თეორეტიკოსება და პროფესიული კრიტიკოსება როდის გამოჩნდებოდაო, აუცილებლობის გამო თეატრის მოსაზღვრე ბევრ პროფესიას თვითონ ითავებდნენ. ამით იმ საპრობლამო თვალსაზრისსაც დაღაბდნენ, რომ ვიწრო სპეციალიზაცია მკორეტიცხოვანი ხალხის მოღვაწისათვის ერთბო გაუმართლებელი ფუფუნებაა. ვ. აბაშიძე, ლ. მესხიშვილი, ვ. გუნია, ე. მესხი, კ. ყიფიანი ერთბოლოდ იყვნენ მსახიობები, დრამატურგები, მთარგმნელები, ჟურნალისტები, გამოცემელები და, ბოლოს, თეატრის თეორეტიკოსებიც. საზოგადოებრივ აზრსა და პოლიტიკურ ინსტრუქციებს ისინი მთელი ფორმით უტყვენდნენ — მაღალხეობრივი, ერისათვის მნიშვნელოვანი, შექმნარბიტად პროფესიული ქართული თეატრის მუქამწმელად. მათთვის უცხო ხილი არ იყო ანტრეპრენიორული მუშაობაც, რასაც მოწოდებდნენ კი არ აკეთებდნენ. არამედ ვარემოების კარნახით (რამეთუ თეატრს აღმინისტრატორებიც პაერობით სჭირდებოდა). თეატრალური ყოველდღიური ცხოვრების სათარგანოხაიო საქითხთა მოსაგვარებლად, დიხაც, თავიანთ ნიჭს ფლანგავენდნენ, მაგრამ რა ექნათ, თუ ასეთ მსხვერპლს

მაშინდელი სათეატრო ვითარება მოითხოვდა ამ მხრივ, ვასო აბაშიძის, ლადო მესხიშვილის და ვალენტინ გუნიას თეატრალურ მოღვაწეობას თუ ვინმეს შეუღარებათ, უბრაველს ყოფილას, გაგვასხედნება გუსტავო მოდენა—იტალიური რისორჯინენტოს ეპოქის სახელგანთქმული კაპოკომიო, სალვინის და როსის მასწავლებელი. ისეთივე შეგნება მოქალაქობრივი მოვლეობისა, მ.გავსი სისტემა ახალგაზრდა თაობის აღზრდისა, უმარავო პროფესიის შეთვისებისა... გუსტავო მოდენას მგავსად, იასო აბაშიძემ და ლადო მესხიშვილმა შექმნეს თავიანთი თეატრული სკოლა, რომლის ყველბეც მტყეცედ ააშენეს საკუთარი ბუმბერაზი ნიჭის, უხარბაზრი გ.მ. დიდილების, ფართო განათლების და თეატრალური დრამატურგი სიყვარულის შედღაბებით. ასევე შევიდნენ ისინი ქართული თეატრის ისტორიაში—დიდებული შემოქმედნი, მოძღვრები, ქართული სცენის მამამთავრები. დიხა, მიუწვედნენ და თვალშეუღამი იყო ვასო აბაშიძის და ლადო მესხიშვილის ავტორიტეტი თითქოს ერთმანეთში გაინაწილეს რა თეატრის ორი ძირითადი ვანიო — კომედი და ტრაგედია, მათში ერთი ტახტის გაუყოფლად მეფობდნენ. ყველა მათი საუკეთესო მსახიობური ნამუშევარი ესეთიველი ნორმის რანგში იყო აყვანილი და მათგან ყოველგავრი გადახევევა, კრიტიკის „დენვსა“ და მაყურებელთა ბირო მიუღებლობას იწვევდა. საჭურო იყო დრო, რათა სხვა მსახიობს „ბრძოლით მოეპოვებინა“ და „შენარჩუნებინა კიდეც“ თავისებური წაითხვა იმ სახეებისა, აბაშიძე და მესხიშვილი რომ თამაშობდნენ. განსაკუთრებით ეს ითქმის მესხიშვილზე, რამეთუ ქართულ სცენაზე ტრადიციული გმირის ისტორია ამ დიდი ხელოვანი იწყება.

რეველუციამდელ ქართულ თეატრში მეორე თაობის მსახიობებს საკუთარი „მეობის“ დასამტყეცებლად ერთბო ძნელი ასაპრეხი დახდა. თავიანთი ადგილის დასამკვიდრებლად ისინი ედავებოდნენ. ასე ვთქვათ, უდ ვოს, უცილობლად, იმ გადაულახავი ზღუდებისა გადალახვე უხელოდნათ, რასაც ერქვა ხალხის გონებაში ღრმად დახეიდრებული „აბაშიძის და მესხიშვილის ტრადიციები“.

სცენისკენ მიმავალ ალექსანდრე იმედაშვილს, რა თქმა უნდა, არ უფიქრია და არც შეიძლება სცენიოდ, წინ რა სიმნელები ელოდებოდა. იგი მიელტვოდა თეატრს, სადაც მისი სათაყვანო ღმერთი ლადო მესხიშვილი მეფობდა. იგი თავმოწმონდ, მთელი სიამაიხით ბაძავე ლადის ტრაგიკული როლების დეკლამაციას და აღტაცებაში მოჰყავდა ამით საბულატრო კურსების მსმენელები, ვითან ერთბაეც თეატრში მისულამდე სწავლობდა. ოცნებით ვაბუცო თავის თავს უკვე მესხიშვილის რეპერტუარში ხედავდა და უნდა ვიფიქროთ, „ემზადებოდა“ კიდეც დიდი ტრაგედიებისა თუ დრამებისათვის.

და რაზე გულატრებულნი დარჩა, როდესაც სასინჯ სპექტაკლში შესთავაზეს თამაში ვოდევლიური ახალგაზრდა კაცისა და პოლიკოენიკისა, რომლებსაც არამართო გირებდად ვერ მონათლავ, პერსონაჟებადაც ვერ მიიჩნედა ამ შემთხვევაში როგორც გამოყენებისა მესხიშვილისეული დეკლამაცია, თავისი ნიჭი აქ რანაირად გამოიჩინა?!

იმედაშვილი იძულებული იყო ბედს დამორჩილებოდა და თეატრალური ცხოვრების მიერ ნაკარანხვევი პირველივე რბალოკა თავისი ჩვეულებრივი ხმით წარმოეთქვა, ემოქმედა გარდაუსახავად. დიხაჯე რომ ჰქონდა გულაცრუების, უკმაყოფილების და აღშფოთების მიზეზი! თუმცა იქნებ სწორედ მაშინ მიხვდა იგი, რომ მიზანვა დიდი ხელოვნება არაა და ჭეშმარიტი შემოქმედი თავისი ხმით და იერით უნდა დააყვიროდეს ხელოვნებაში? მიხვდა კი არა, იგარანო ქვეშეცნეულად, ხოლო მოგვიანებით, აქტიორული მომწიფების ასაკში, როცა შემოქმედების პროფესიულ იდემალებას სწვდებოდა, კვლავ გაიღვიძა ამ გრანობამ და ეს ჭეშმარიტება თვალნათლივ დაანახა გაცნობიერებულად? ასე იყო თუ ისე, თავისმა დებიტტმა ჭაბუტი გრანაწყენა და პატარა როლები ისე შეიჯავრა, რომ როცა თეატრში ჩარიცხვისთანავე ვალერიან გუნიაშვილს „ერისთავის „სამშობლოში“ პატარა როლი შესთავაზა, კატეგორიული უარი განაცხადა. თანაც თავისი ინტერესების „დასაცავად“ ისე გაეჭიდა, „პროტესტის“ ნიშნად თეატრი მიატოვა, მიატოვა მანამდე, ვიდრე ფეხს შედგამდა თეატრში! თეატრალურ ცხოვრებაში ეს არც თუ ისე ხშირი შემთხვევაა.



ალექსანდრე იმედაშვილი

ეპიზოდური როლებიდან ამეთმა სასტიკმა სიძულვილმა იგი ლამის ვასო აბაშიძესთანაც წაახიზება, რომლის ბენეფისზე სათამაშოდ მ. საფაროვამ იმედაშვილისათვის ძლივს მოინადირა ჯარისკაცის უმნიშვნელო როლი ფრანგულ მელოდრამაში „ორი ავაზაკი“, მაგრამ აქ ჭაბუქმა დროულად დაიოჯა თავი. ეს მოხდა გზის დასაწყისში და უღმობელი ანალიტიკოსი იმედაშვილი მერმე თავისი აქტიორული სიყმაწვილის შეცდომებს ირონიანერეულად იგონებდა. შემდგომ იგი არც თუ ისე იშვიათად დიდ როლებზე უარს ამბობდა, იქვე პატარა რომ ეთამაშა. ვთქვათ, ჰამლეტს ამკობინა პირველი მსახიობი, ხოლო „ურჩილ აკოსტაში“ სამოცნებო თამაშობდა დე სანტოსს, ჰამონი, როცა პოლანდიელი ფილოსოფოსის სახის თამაშიც ხელუწიფებოდა და ამ ორ როლთან ერთ-ერთის არჩევა მისი ნება იყო. აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მსახიობი ამა თუ იმ როლზე უარს უბრალოდ როდი ამბობდა, გაუზარებლად. პრემიერაზე ნათამაშებ როლს, წარმოდგენის შემდეგ მიუღვ ლამეს იტყობოთ ათამაშებდა, თავიდან ბოლომდე აკვირდებოდა, ანალიზებდა და თუ დარწმუნდებოდა, თამაშში „გამოიქსურებელი“ ნაკლი მჭირსო. დილით უკვე იმ როლის შესრულებაზე უარი ჰქონდა ნათქვამი. რწინაური ანალიზი! ინტუიციით ნაკარანხვე აზრს უმტკიცებდა, ამ ახალ ხასიათთან შეხვედრა შემოქმედებით სიამოვნების არ მომგვირისო. თუ სახეს მთლიანად ვერ მოიჩვენებდა და ვერ მოინდობდა, დაუნახებლად ეთხოვებოდა, სულის აუფორიაქებლად, განცდის გაუმტკიცებლად, მსახიობური თავმოყვარეობისა თუ ამბიციის შეუღლახავად. ერთდერით ნაბიჯს სიყვარულიდან სიძულვილამდე იგი დგამდა უკან მიუხედავად, თამამად ანადგურებდა უკან დასახვე ყველა ხილს, რათა უარყოფილ სახეს აღიაროს დღეს დარბრუნებოდა. ასეთ ფუნქტში ჩანს მთელი იმედაშვილი! და თუმცა მისი ბუნება-ხასიათი, რამაც განსაზღვრა იმედაშვილის მსახიობური და ადამიანური ბედლი, წლობით ყალიბდებოდა, ბევრი რამ ჭერ კიდევ მი-

სი სცენური გზის დასაწყისშივე გახდა თვალსაჩინოდ საცნაური.

თავის პირველსავე თეატრალურ სეზონში იმედაშვილს ბედმა გაუღიმა, ქართული თეატრის მსახიობ-ლენინსად, ლადო მესხიშვილს შეხვდა. იმედაშვილმა მისგან მიიღო „ნამდვილი“ როლი, თანაც ლადოს პარტნიორობის უფლება. მესხიშვილი — ჰამლეტი, იმედაშვილი — პირველი მსახიობი! იმედაშვილის ბიოგრაფიას თუ გავხედავთ-გამოვხედავთ, როლებს ასეთი განაწილება ჭეშმარიტად სიმბოლურ მნიშვნელობას იქმნის. მესხიშვილი მოძღვრავდა, უვლიდა, მზრუნველობდა და თანდათან ზრდდა იმედაშვილის ნიჭსა და უნარს, ასე უღვებდა თეატრალური ხელოვნების კარს ფართოდ. მესხიშვილმა „არ იძუნა“ და საკუთარი რეპერტუარიდან რამდენიმე როლი გადაუღოცა. ალბათ იმიტომაც, რომ მასში თავის მემკვიდრეს ხედავდა. მაგრამ როდესაც დიდებულმა მსახიობმა ჭაბუქს გადაუღოცა ის სახები, რომლებმაც ლადოს სახელი განაღდა, როლებს ტექსტთან ერთად იმედაშვილმა მემკვიდრეობით მიიღო ხასიათთა მესხიშვილისეული გაზარტება — მხატვრულ წარმატებათა გვირგვინებით აღმატებულ.

ამან ახალბედა მსახიობი უმაღლეს დიდების წინაშე დააყენა — მესხიშვილი გაემეორებინა თუ მისი მემკვიდრეობა „გადაეჩინა“. თუმცა აღმერთებდა მესხიშვილს, ისიც ჩინებულად ესმოდა, თვითონ მეორე მესხიშვილი ვერასოდეს გახდებოდა. ლადოს ხეობ ბუნებაში



იმანუელ კანტი — იმედაშვილი
(„საქალებში“)

იმდენი სიყვარული მოჰმადლა, წარმოუდგენელიც კი იყო ამ უხვი სიმდიდრისათვის რაიმეს მიმატება. თვალში უმაღლეს საცემი ლამაზნაკეთებიანი საოცარი პირისახე, არც თუ ისე მაღალი, მაგრამ ფრიად პროპორციული ტანადობა, ხმა — თეთონ ჰარმონია. მართალია, მათი ნაცნობობის ქაშა მესხიშვილი თავის ადრინდელი დიდებული ხმის პატრონი აღარ გახლდათ (იგი უმსხვერპლა სცენური ეფექტებს, რომლის დიდი მოყვარულიც იყო რომანტიკოსი მესხიშვილი), მაგრამ ერთი, თუნდაც დიდი და ძვირფასი ქვის გახუნება, მესხიშვილის დიდების გვირგვინს წინანდებური ბრწყინვალეების შარავანდდს ვერაფერს ავლებდა.

იმედაშვილს მასწავლებლს დიდებისა და ბრწყინვალეებისათვის რა უნდა დაეპირისპირებინა?

კარგი თვალტანადი მსახიობიო, მასზე ვერ იტყოდით. ვარეგნული იერი ხელს არ უწყობდა. არც სიარული იცოდა მოხდენილი, პირიქით, დაბაჯნაჯებად.

მისი ნიჭის ძლიერებას გამოხატავდა — ჭეშმარიტად ტრაგიკული ხმა, ტემპერამენტი, ანალიტიკური გონება და უდიდესი შრომისმოყვარეობა.

ლდი მესხიშვილი, როგორც ცნობილია, თავისი სცენური გმირის სახეში აყვებდა ყველაფერს, რასაც

მისი მდიდარი ფანტაზია უკარნახებდა, და ყველაფერი გამართლებაც ეძებებოდა — ჰეივანი ელვებზე მიხედვით. ბოდა ეს თუ ესთეტიკური მომხიბვლელობა. ალოკუტორ რამესაც კი, დაუფერებლს, მოგონილს, რალცანარიად ამართლებდა. კლასიკური პიესების გარდა მას ხომ ხშირად მელოდრამატული სიტუაციებით სავსე რომანტიკული დრამების თამაშიც უხდებოდა, ანდა — თითქმის კონიუკური მელოდრამებისაც, რომლებშიც მთავარი საქციელის ლოგია კი არაა, არც ხასიათის ფსიქოლოგიური საფუძვლის პოვნა, არამედ, სოციალურ და დრამატურგიულ ძალთა მეტაფიზიკური ვანლაგებითა და ამ ქანრისათვის დამახასიათებელი სიუჟეტით ფაქტების ახუნულაგება.

იმედაშვილი მოაზროვნე ადამიანი გახლდათ და რეალისტურად აფასებდა თავის „პოსა“ და „არას“. მან დაიწყო მასუბრებელთა გულისაკენ მიმავალი საკუთარი გზის ძიება, მისი ნდობისა და მერმე სიყვარულის მოპოვების ხერხთა ჩარჩება.

იმედაშვილს თანამედროვეებთან სერიოზული დიალოგი ეწადა, ქვეყნად ადამიანის ადამიანურ მოვალეობაზე ზნეობრივი კამათი ეწადა, ხოლო ვინ უნდა გამხდარიყო ამ დიალოგის თუ კამათის ქაშა მისი მოკავშირე და გულითადი მხარდამჭერი, მისი სიტყვისა და მოქმედებისათვის ძალის მომნიჭებელი? ასეთ მოკავშირედ მან იპოვა კლასიკური დრამატურგია და პირველი რიგში — შექსპირი. დიდ ინგლისელთან შეხვედრამ მთელი სიცოცხლით განსაზღვრა იმედაშვილის დრამატურგიული სიყვარულის აღტკინება, შემოქმედებითი ნორმატივი, ანუ და მხატვრული გემოვნება. ამ თვითმოყვადმა ხელოვანმა გაიარა შექსპირისმცოდნეობის სრული „უკრისი“, ოლონდ საკუთარი სულის უნივერსიტეტში და სამუდამოდ მის მადლიერ თაყვანისმცემლად დარჩა.

უზიარა რა კლასიკურ დრამატურგიას, იმედაშვილმა ისწავლა პიესის ტექსტზე სერუპულოზურად და მოწიწებით მუშაობა. როცა იგი თავისი გმირების ინტელექტუალურ-მგრანობლობით საყარის უღრმავდებოდა, ფრიად სიამოვნებდა, რამეთუ განჭკვრეტილ პოულობდა რთულ, მრავალფენოვან ურთიერთობებს, სხედასხვა ბედობლის ადამიანთა ურთიერთკავშირსა და ურთიერთჭიკრილობას. ამავე დროს დრამატურგიული ქსოვილის ფაქტურას ხელშეწყობდა რანობადა, ხოლო მთელი პიესის სახეობრივ აღნაგობას მიმოიხილავდა, ასე ვთქვათ, პანორამულად, ყოველნარი განათებით, მეორეხარისხოვან მთავარისავე გამოყოფდა და პირიქით. ამით ყველაფერს უმაღლეს თავის ადგილს მიუჩენდა. დრამატურგისადმი მისი დიდად იმდენად მოკრძალებული გახლდა, რომ მას თამაშად შეეღო გაემეობინა თავისი სახელოვანი თანამედროვის, კოლეგ-უფროსის სიტყვები: „მსახიობის პატიოსნება ის არის, ავტორზე ჰკვივანდ თავის წარმოჩენას არასდროს ეცადოსო“.

როდესაც იმედაშვილი სცენაზე ახალ რომში გამოდიოდა („აღტელოში“ პირველად 1915 წელს თიამაშა, მაგრამ მანამდე 6 წელიწადს ემზადებოდა. ასევე წლობით მუშაობდა სხვა სახეებზე — ოილიპოსზე, მაკბეტზე, ლირზე), მან თავისი გმირის გარშემო უკვე ყველაფერი იცოდა — ყველაზე განთქმულ შემსრულებელთაგან ამ



სახეს ვინ როგორი გააზრებით თამაშობდა. მუშაობისას ადგენდა თავისთვის „სასწავლო სახელმძღვანელოს“ — პეისის მოსახლე ყველა მოქმედი პირის დაწვრილებით ანალიტიკურ დახასიათებას, თითქმის, ერთს კი არა, ყველა როლს ერთდროულად თამაშობს (ჩაიხივდით მის ჩანაწერებში, „ოტელოს“, „ლირისა“ და „მაკბეტს“ რომ ეხება). მსახიობი ისე ამომწურავად იცნობდა თავისი გმირის სულსა და გულს, საჭიროების შემთხვევაში, საჭაროდაც შეეძლო მისი დაცვა, როგორც ეს ვაკეთა თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე 1924 წელს მოწყობილი ოტელოს ლიტერატურული გასამართლების ინსტუციებისას. მსახიობი დასკვნითი სიტყვა, მთლიანად ტრაგედიის ტექსტისაგან შედგენილი, ორატორული ხელოვნების ნიმუშად სცენს.

განა ამაზეთუ არა მტკველებს მისი დავა კრიტიკოს ტ. როკოტოვანს, რომელმაც ეურნალ „ტეატრიში“ (1940 წ. № 10) ბრწყინვალე რეცენზია გამოაქვეყნა იმედაშვილის ოტელოზე? კრიტიკოსი მსახიობს შეეკამათა ვენეციელი მავრის ასაკისა და ტრაგედიის ზოგორით სცენის გააზრების გამო. მსახიობმა კრიტიკოსის ყველა შენიშვნა მოიგერია, ოტელოს სახელით თქმული ყველა სიტყვა გაამართლა, ასევე — უწერილმანესი ნიუანსების და განწყობილების შერტილად-შემოტრიალებების გათვალისწინებით მთლიანად გაამართლა ოტელოს ყოველი სცენური მოქმედება და საქციელი.

იმედაშვილი თვითონ იყო საკუთარი თავის რეჟისორი. მსახიობთაგან მასაცივთ ცოტას თუ ხელეწიფებოდა, თავისი თამაშისათვის უცხოისაგან, გარეშე თვალით ეყურებინა, კრიტიკულად შეეფასებინა იგი, გაეკონტროლებინა, სრულყოფილებისათვის ეზრუნა და თანდათან სასურველი შედეგისთვისაც მიეღწია. ჰუმბოლტი შემოქმედებითი სიხარულით და, წარმოიდგინეთ, სიამაყითაც კი იცინებდა იგი, ოტელოს პრემიერის მეოცე წელს (!), ჭიათურაში თამაშისას, უტებ რა შეება, ნეტარება და სიამაყედ იგრძნო, ტრაგედიის მეოთხე და მეხუთე მოქმედებაში ადრე „ვერ დაღლეული“ სიძნელე რომ გადალახა — მოქმედების სიმძაფრის წარმართვა აღმავალი ხაზით რომ მოახრახა.

